



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018 - 2022



ხულო- სამოთხე მთებში

5 ივნისი, 2018

www.khulolag.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, პროექტის: „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG), ხორვატიის სოფლის განვითარების ქსელსა (HMRR) და PMC-ის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ჩეხეთის რესპუბლიკას საქართველოში (CCRG) და ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG), და არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება არც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, არც ნებისმიერ პირს, რომელიც მათი სახელით მოქმედებს.



აბრევიატურები

LAG	ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
RDS	სოფლის განვითარების სტრატეგია
GEOSTAT	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
LDS	ადგილობრივი განვითარების სტრატეგია
DMP/DMO	დესტინაციის მენეჯმენტის გეგმა/დესტინაციის მენეჯმენტის ორგანიზაცია
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სარჩევი

წინასიტყვაობა და რეზიუმე	5
LEADER-მიდგომა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)	7
საზოგადოების ჩართულობა	11
დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი	15
ზოგადი მიმოხილვა	18
1. ტურიზმი სოფლად	20
ტურიზმი სოფლად- SWOT ანალიზი	29
ტურიზმი სოფლად- ამოცანები და აქტივობები	31
2. სოფლის მეურნეობა	38
სოფლის მეურნეობა - SWOT ანალიზი	47
სოფლის მეურნეობა - ამოცანები და აქტივობები	49
3. კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა	57
კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა - SWOT ანალიზი	58
კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა - ამოცანები და აქტივობები	59
4. კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა	60
კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა - SWOT ანალიზი	62
5. არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობა	66
არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობა - SWOT ანალიზი	68
არასასოფლო სამეურნეო საქმიანობები -ამოცანები და აქტივობები	69
6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	74
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - SWOT-ანალიზი	79
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - ამოცანები და აქტივობები	80
7. ხულოს LAG-ის დამატებითი აქტივობები	84
ინოვაცია, კავშირების დამყარება (ნეთვორკინგი) და თანამშრომლობა	84
პროექტების შერჩევის პროცესი	85
კომუნიკაცია და საჯაროობა	89
რისკის საერთო ანალიზი	89
მონიტორინგი და შეფასება	90
დანართი 1 – ხულოს მუნიციპალიტეტის რუკა	93
დანართი 2 – ხულოს LAG-ის მმართველი კომიტეტის წევრები	94
დანართი 3 –ხულოს მუნიციპალიტეტში ტურისტული მარშრუტების მაგალითები	95
დანართი 4 - მეწარმეობისა და მომსახურების მაგალითები სოფლის ტურიზმში	98
დანართი 5 - პოტენციური ინვესტიცია – მცირე გრანტები და კონტრიბუცია ობიექტების მიხედვით	100
დანართი 6 – წარმომადგენელი ძირითადი მოსავალი თემების მიხედვით (2017)	101
დანართი 7 – წარმომადგენელი მრავალწლოვანი კულტურები თემების მიხედვით (2017)	102
დანართი 8 – რქოსანი პირუტყვი თემების მიხედვით (2017)	103

წინასიტყვაობა და რეზიუმე

ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (LDS) უზრუნველყოფს კონცეპტუალურ სქემას მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტი მომზადდა პროექტ: - „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში. პროექტის საერთო მიზანია - ხელი შეუწყოს სიღარიბის დამლევას საქართველოში. კერძოდ, პროექტი მიზნად ისახავს ხულოს მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის გზით. LDS-ი შემუშავდა

ადგილობრივ თემებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნეს სექტორსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ფართო კონსულტაციებზე დაყრდნობით, რომელიც დაამტკიცა ხულოს ადგილობრივმა განვითარების ჯგუფმა (LAG) 2018 წლის 23 ივლისს. დოკუმენტი დაიგეგმა LEADER-ის მიდგომის გამოყენებით, რაც სოფლის თემებს უზრუნველყოფს ინსტრუმენტით - დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩაერთონ ადგილობრივ განვითარებაში.

პრიორიტეტების, მიზნებისა და სტრატეგიული ქმედებების მოკლე შეჯამება

პრიორიტეტი	ამოცანა	სტრატეგიული აქტივობა (სა)
1. ტურიზმი სოფლად	ამოცანა 1.1 სოფლის ტურიზმის რესურსების იდენტიფიცირებისა და დანიშნულების ადგილების განვითარების ხელშეწყობა	სა 1.1.1 - ადგილობრივი ტურიზმის რესურსების შესწავლისა და დანიშნულების ადგილების მართვის გეგმის შედგენის ხელშეწყობა
	ამოცანა 1.2 ხულოს სოფლის ტურისტული შესაძლებლობების მარკეტინგი და რეკლამირება	სა 1.2.1 - ხულოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის რეკლამირება და მარკეტინგის ხელშეწყობა
	ამოცანა 1.3 ადგილობრივი ტურისტული ბიზნესების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა	სა 1.3.1 - ტექნიკური დახმარება, რომელიც მიმართულია სასტუმროების ბიზნესზე, აგროტურიზმზე, ეკო-ტურიზმზე, სათავგადასავლო სპორტსა და ადგილობრივ ტურ-ოპერატორებზე
	ამოცანა 1.4 დანიშნულების ადგილების მართვის გეგმის მიხედვით სამიზნე ადგილების მართვის ხელშეწყობა	სა 1.4.1 - ადგილობრივი ტურისტული დანიშნულების ადგილის ორგანიზაციის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც იქნება აღმასრულებელი ორგანო ლაგის ხელმძღვანელობით.
	ამოცანა 1.5 ინოვაციური ტურისტული ბიზნესის შექმნის და არსებული ტურისტული აქტივობების ხელშეწყობა.	სა 1.5.1 - მცირე გრანტები ტურისტული ბიზნესებისთვის
2. სოფლის მეურნეობა	ამოცანა 2.1 მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდა	სა 2.1.1 - თესვებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა სა 2.1.2 - ხელოვნური განაყოფიერებისა და ვაქცინების უზრუნველყოფის მხარდაჭერა
	ამოცანა 2.2 თანამედროვე სოფლის მეურნეობის პრაქტიკის ხელშეწყობა	სა 2.2.1 - მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა

		სა 2.2.2 - მეფუტკრეობისა და თევზის მეურნეობის გასავითარებლად სპეციალური აღჭურვილობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა
	ამოცანა 2.3 სოფლის მეურნეობის ტექნიკის ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და ბაზრის ხელშეწყობა მოსავლიდან მოგების მაქსიმალური გაზრდისთვის	სა 2.3.1 - შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგების უზრუნველყოფაში დახმარება და ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება
	ამოცანა 2.4 არსებული მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება	სა 2.4.1 - საინფორმაციო სესიების ორგანიზება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროგრამების შესახებ
	ამოცანა 2.5 აგრო-გადამამუშავებელი, სასათბურე მეურნეობებისა და სასაწყობე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	სა 2.5.1 - ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა. სა 2.5.2 - სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა მოსავლის შესანახად და სასათბურე მეურნეობების აშენება.
3. კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა	ამოცანა 3.1 მაღალი სიჩქარის ინტერნეტ-კავშირთან ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა სოფლად	სა 3.1.1 - მცირე მასშტაბის ინტერნეტ აღჭურვილობის შეძენის ხელშეწყობა.
	ამოცანა 3.2 მცირე მასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	სა 3.2.1 - მცირე მასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარება პროექტების თანადაფინანსების ხელშეწყობის გზით.
4. კულტურა, ჯანმრთელობა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა	ამოცანა 4.1 არსებული სათემო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტების განახლება	სა 4.1.1 - არსებული სათემო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტების განახლების და ახალი აღჭურვილობის შეძენის ხელშეწყობა.
	ამოცანა 4.2 ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერა	სა 4.2.1 - ახალი სათემო ახალგაზრდული ობიექტების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის ახალი აღჭურვილობის შეძენის სა 4.2.2 - ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტრენინგ პროგრამები
5. არასასოფლო-სამეურნეო მეწარმეობა	ამოცანა 5.1 ახალი ინოვაციური ბიზნესის შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოვების მხარდაჭერა	სა 5.1.1 - არსებული და სტარტაპ ბიზნესების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა სა 5.1.2 - ახალი ბიზნესების შექმნა და არსებულების გაფართოვება
	ამოცანა 5.2 ხულოს მუნიციპალიტეტში ინვესტირების შესაძლებლობების გაძლიერება	სა 5.2.1 - ხულოში ინვესტირების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.
	ამოცანა 5.3 კავშირების, ბრენდირებისა და ინფორმაციის გავრცელების მხარდაჭერა	სა 5.3.1 - ბიზნეს პარტნიორობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირება და წარმატებული ისტორიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება
6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	ამოცანა 6.1 გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მაცხოვრებელთა ცნობიერების ამაღლება, ცნობიერების ამაღლება გარემოს ცუდად დაცვის შედეგების შესახებ და საგანგებო სიტუაციების შესახებ ცნობიერების ამაღლება	სა 6.1.1 - გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და დასუფთავების აქციების ჩატარება სა 6.1.2 - გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა
	ამოცანა 6.2 –კატასტროფის რისკის შემცირებაზე რეაგირების ეფექტურობის გაზრდა	სა 6.2.1 - ხულოს მუნიციპალიტეტის კატასტროფის რისკის შემცირების გეგმის განვითარების ხელშეწყობა

		სა 6.2.2 - ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარების ხელშეწყობა და დამკვიდრება (EWS)
	ამოცანა 6.3 დეგრადირებული მიწის და ტყის მიწების გატყვანება.	სა 6.3.1 - დეგრადირებული მიწის და ტყის აღდგენის ხელშეწყობა
7. ხულოს LAG-ის დამატებითი აქტივობები	ამოცანა 7.1 - ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მდგრადობის მიღწევა	სა 7.1.1 - საინფორმაციო ცენტრის შექმნა სა 7.1.2 - ფონდების მოძიების ჯგუფის ჩამოყალიბება

LEADER-მიდგომა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

LEADER-მიდგომა (აკრონიმი ფრანგულ ენაზე აღნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკის განვითარების მიზნით დაგეგმილ ქმედებებს შორის) გახლავთ ევროკავშირის ინიციატივა სასოფლო დასახლებების გამოცოცხლებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ადგილობრივ დონეზე ინიცირებული სოფლის განვითარების პროექტების მხარდასაჭერად. LEADER წარმოადგენს ინტეგრირებული განვითარების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თემების დაინტერესებას, ჩართვას, მათთვის რესურსებისა და საშუალებების უზრუნველყოფას და უფლებამოსილების მინიჭებას, რომ თავის თავზე აიღონ საკუთარი ადგილობრივი განვითარება. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება დაშვებას, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები უფრო ეფექტურია და ქმედითი, თუ დაგეგმილია და ხორციელდება ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი მოთამაშეების მიერ. ის სასარგებლო მიმართულებას აძლევს ადგილობრივი განვითარების ჯგუფებს (LAG-ები), მოიცავს რა, როგორც ეფექტური LDS-ის შექმნისთვის საჭირო მონაწილეობით პროცესებს, ასევე ამ სტრატეგიების საკვანძო კონტენტს. არსებობს სამი საერთო და ურთიერთდაკავშირებული ელემენტი, რომლებსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს თემების მიერ განხორციელებადი

ადგილობრივი განვითარების მიდგომებისთვის: ადგილი ან ტერიტორია; პარტნიორობა, და ადგილობრივი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგია. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები პასუხისმგებელი არიან თემების მიერ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების დაგეგმვა-განხორციელებაზე.



ხულოს LAG-ის აღწერა

ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) დაფუძნდა 2018 წლის 18 იანვარს LAG-ის გენერალური ასამბლეის მიერ LEADER მეთოდოლოგიის გამოყენებით და არჩეულ იქნა LAG-ის მმართველი კომიტეტი (გამგეობა). LAG-ი ფუნქციონირებს ხულოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. ის დაარსდა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და მოქალაქეების გრძელვადიანი და აქტიური ჩართულობის საფუძველზე. 2017 წლის ივლისის თვეში პროექტის გუნდმა დაიწყო საინფორმაციო კამპანია. აღნიშნული კამპანიის დროს ხულოს LAG-ის წევრობის მსურველ ხულოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთ შეჰქონდა წევრობის განაცხადები და ავტომატურად ხდებოდა მისი წევრები.

ხულოს LAG-ის იურიდიული სტატუსია:
არაკომერციული (არასამეწარმეო)
იურიდიული პირი.


ორგანიზაციის მთავარი მიზნებია:

- ხულოს მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და მექანიზმების მხარდაჭერა;
- ხულოს მუნიციპალიტეტის სოცო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით;
- ახალგაზრდობის განათლების, დასაქმებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური მეწარმეობის და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ხულოს მუნიციპალიტეტში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერა;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის სტიმულირება LEADER მიდგომაზე დაყრდნობით

ხულოს LAG-ის ძირითადი ფუნქციები/ამოცანებია:

- პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ადგილობრივი მოთამაშეების პოტენციალის ამაღლება;
- პროექტების მართვის შესაძლებლობების ხელშეწყობასთან ერთად მუნიციპალიტეტში კოორდინატორის როლის შეთავსება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანების საშუალებით ადგილობრივ სოცო-ეკონომიკურ განვითარებაზე მუშაობისთვის;
-
- მიზნების მისაღწევად პროექტების შერჩევისა და განხორციელების უზრუნველყოფა LDS-ის შესაბამისად

- LAG-ში ყველა სექტორიდან და ინტერესთა ჯგუფებიდან მრავალფეროვანი წევრობის უზრუნველყოფა;



- ადგილობრივი მოქალაქეების აქტიური ჩართულობითა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების მხარდაჭერა.

ხულო არის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით, გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობითა და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტში საუკუნეების განმავლობაში გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-საქარავნო გზა და სატრანზიტო ფუნქციას დღემდე ინარჩუნებს. ადგილობრივი წარმოების პროდუქცია და მომსახურება პოპულარულია რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება და დივერსიფიკაცია დამყარებულია სხვადასხვა სექტორის ურთიერთანამშრომლობაზე, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვასა და გარემოს დაცვაზე.

ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მისია:

“ხულოს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარება ადამიანურ და სხვა ადგილობრივი რესურსების საფუძველზე; და ადგილობრივი შესაძლებლობების ხელშეწყობა ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე”

LAG-ის ორგანიზაციული განვითარება – LAG -ის წევრებმა და მმართველმა ერთეულებმა განსაზღვრეს მათი შესაძლებლობების განვითარების შემდეგი თემატური საჭიროებები: ა) გრანტები და თანხების მოზიდვა; ბ) მართვა და ხელმძღვანელობა; გ) ფინანსური მართვა; დ) სტრატეგიული დაგეგმარება, მიმოხილვა და განახლება ე) პროექტის შემუშავება და მართვა; და ვ) მხარდამჭერი კამპანიები. LAG-ი გეგმავს ინსტიტუციონალური და ადამიანური შესაძლებლობების უწყვეტ მხარდაჭერას გადამზადებისა და კონსულტირების დახმარების ძიების გზით. LAG-ის წევრებმა მიიღეს გადამზადება LEADER მეთოდოლოგიაში, LAG-ის ინსტიტუციონალურ დაგეგმვასა და პროექტის შემუშავება/წერაში.


სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში- 2018 წლის 7 მაისიდან 13 მაისამდე, LAG-ის 12 წევრიანი ჯგუფი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ხორვატიაში. ჯგუფი შეირჩა მმართველი კომიტეტიდან და იმ წევრებიდან, რომლებიც მუშაობდნენ LDS-ზე. სასწავლო ვიზიტის დროს, ჯგუფი ესტუმრა ადგილობრივ LAG-ებს და მათი პროექტების ბენეფიციარებს. სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავდა უკეთესი ცოდნის მიღებას ხორვატიაში LAG-ების მუშაობის შესახებ და გამოცდილების გაზიარებას ხულოს LAG-ის წევრებისთვის. უფრო მეტიც, ხულოს LAG-ის წევრებმა მიიღეს კონსულტაციები პროექტების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით.

საარჩევნო პროცესი – 2018 წლის 18 იანვარს გაიმართა ხულოს LAG -ის საერთო კრების შეხვედრა. შეხვედრაზე წევრებმა მიიღეს ინფორმაცია მმართველი კომიტეტის საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. მათ, ვინც გამოხატა სურვილი საკუთარი თავი დაესახელებინათ კანდიდატებად, მიეცათ ვადა მათი შემოთავაზების მოსამზადებლად და წარსადგენად. საერთო კრების შეხვედრის შემდეგ, 2018 წლის 22 იანვარს გაიმართა მმართველი კომიტეტის არჩევნები (ფარული კენჭისყრით).



ხულოს LAG-ის ლოგო – ხულოს LAG-მა ორგანიზება გაუკეთა ლოგოს კონცეფციის კონკურსს ხულოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეეთათვის. წარდგენილ იქნა 8 პროექტი და ხულოს LAG-ის კომისიამ (რომელიც დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა წევრებისგან) შეარჩია ფინალისტები - სამი ვერსია. გამარჯვებული გახდა თამთა თავართქილაძე, მე-9 კლასის მოსწავლე. მის კონცეფციაში წარმოადგენილია კომუნიკაციის საჭიროებები ადგილობრივი განვითარებისთვის, ასევე ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალი. მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური საჩუქრები და სერტიფიკატები.

ორგანიზაციული სტრუქტურა



საერთო კრება - უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება. ამჟამად, ხულოს LAG-ში 112 წევრია, რომელთაც გამოთქვეს წევრობის სურვილი. მათგან 15%-ს ახალგაზრდები შეადგენენ, 20%-ს კი - ქალბატონები. სექტორული განაწილება შემდეგი სახისაა: 24.1%-კერძო, 49.1% - სამოქალაქო და აქტიური მოქალაქე და 26.8% - საჯარო სექტორის წარმომადგენელი. წევრთა 42% წარმოადგენს ყველაზე დასახლებულ ორ თემს (დეკანაშვილები და დიოკნისი). საერთო კრება იმართება სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ, რომელიც ასახელებს და ირჩევს კანდიდატებს მმართველი ჯგუფის წევრობისთვის. საერთო კრებას ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა ხუთ წელიწადში ერთხელ შეიმუშავოს და მიიღოს ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია.

წევრები - ხულოს LAG-ის წევრობა თავისუფალია. ხულოს მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მცხოვრებს 18 წელს ზემოთ უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი წევრობაზე და გახდეს წევრი თუ იზიარებს LAG¹-ის პრინციპებსა და ღირებულებებს და წვლილს შეიტანს LAG-ის საქმიანობაში. წევრებს მოეთხოვებათ საერთო კრების შეხვედრებსა და საქმიანობებში მონაწილეობის მიღება.

წევრები დაჯგუფებულნი არიან შემდეგ თემატურ ჯგუფებად²: 1) ტურიზმი; 2) სოფლის მეურნეობის/სოფლის ეკონომიკის განვითარება; 3) განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები; 4) სოციალური ინფრასტრუქტურა და სოციალური საკითხები; 5) გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. აღნიშნული თემატური ჯგუფების ფარგლებში წევრებს შეაქვთ საკუთარი წვლილი შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიკაციასა და მათთან დაკავშირებული ქმედებების შემუშავებაში. **მმართველი კომიტეტი** – შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევს საერთო კრება ორი წლის ვადით, სულ მცირე ერთი წევრი თითოეული სექტორიდან. ახლანდელი კომიტეტი არჩეულია წევრთა ხმების 88.3%-ით (ფარული კენჭისყრით). მმართველი კომიტეტის 5 წევრი წარმოადგენს საჯარო სექტორს, 8 არის სამოქალაქო სექტორიდან და 2 კერძო სექტორიდან. მმართველი კომიტეტი იკრიბება სულ მცირე სამ თვეში ერთხელ.

მმართველი კომიტეტის ზოგიერთი ძირითადი ფუნქციაა:

- საორგანიზაციო საქმიანობების დაგეგმვა;
- სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავება და თანხების მოზიდვის გეგმა;
- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება საერთო კრებასთან კონსულტაციის გზით
- საერთო კრების მიერ შემოთავაზებული აღმასრულებელი დირექტორის შერჩევა და თანამდებობიდან დათხოვნა
- ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგი

¹ საჯარო სექტორის წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ საერთო წევრების 49%-ზე მეტი

² LAG -ის წევრთა სია სხვადასხვა სექტორის შესაბამისად შეგიძლიათ მიიღოთ თამთა თავართქილაძისგან t.tavartkiladze@pmcq.ge

- საერთო კრებასთან ანგარიშგება (ორ წელიწადში ერთხელ) განხორციელებული საქმიანობების, შედეგების და სამომავლო გეგმების შესახებ.

ადმასრულებელი დირექტორი – ადმასრულებელი დირექტორის კანდიდატურ(ებ)ის შემოთავაზება ხდება საერთო კრების მიერ და ირჩევა მმართველი კომიტეტის მიერ 2 წლის ვადით. ადმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს LAG-ის ყოველდღიურ საქმიანობას მმართველი კომიტეტის მიერ შემუშავებულ და LDS-ის მიერ მიღებულ პროგრამასა და სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით. ის მმართველ კომიტეტს ასევე სთავაზობს კანდიდატებს ადმინისტრაციული პერსონალისთვის (მაგ: ფინანსურ კოორდინატორს და ა.შ.).

სამეთვალყურეო საბჭო (ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი) – ENPARD-ის ხულოს პროექტის გუნდი ეხმარება ხულოს LAG-ს როგორც ადმინისტრაციულ საკითხებში, ასევე საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. LAG-ის LEADER კოორდინატორი - პასუხისმგებელია პროექტის „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ადმინისტრაციულ და ლოჯისტიკურ კოორდინაციაზე. კოორდინატორი ჩართულია: LAG-ის დაარსებასა და განვითარებაში, LAG-ის შეხვედრების კოორდინაციასა და ზედამხედველობაში, იწერს შეხვედრის ოქმებს, ორგანიზებას უკეთებს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს და ა.შ.

ინტერესთა კონფლიქტი – თითოეულმა წევრმა LAG-ის მმართველ კომიტეტს უახლოეს მომავალში უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ყველა ინტერესის შესახებ, მათ შორის დასაქმების და ბიზნეს ინტერესების და საზოგადოების ჩართულობის შესახებ, რაც

შეიძლება ინტერესთა კონფლიქტში გადაიზარდოს ან რამაც შეიძლება მატერიალური ზემოქმედება იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე ან ფუნქციებზე, როგორც LAG-ის წევრისა. წევრებს მოეთხოვებათ ხელი მოაწონონ დეკლარაციას ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ნებისმიერ საარჩევნო საკითხთან და პროექტების შერჩევის პროცესების მიმართ. LAG-ი მუშაობს LAG-ის წევრთა ქცევის კოდექსზე, რაც უზრუნველყოფს დამატებით დეტალურ ინფორმაციას იმ პროცედურების შესახებ, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში გამოიყენება.

შენიშვნა: ხულოს LAG-ის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქციების, პროცედურები და სხვა მართველობითი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა ხელმისაწვდომია ხულოს LAG-ის დებულებაში მოცემულ მისამართზე:

<http://www.khulolag.ge/ka/publication/>.

საზოგადოების ჩართულობა

ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თემების ინფორმირების პროცესი დაიწყო 2017 წლის ივლისში და სექტემბრის თვის დასაწყისამდე საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სოფლებში: ღორჯომი, ვაშლოვანი, უჩხო, ფაჩხა, ხიხადირი, აგარა, დიდაჭარა, რიყეთი. ამ პერიოდის განმავლობაში, პროექტის გუნდი ასევე შეხვდა ხულოს საკრებულოს წარმომადგენლებს და თავმჯდომარეს, ხულოს მუნიციპალიტეტის მერს (ადმასრულებელი ხელისუფლება) „Mercy Corps“-ის ორგანიზაციის წარმომადგენლებს აჭარაში, საქართველოს პარლამენტის წევრს ანზორ ბოლქვაძეს და ხულოს განათლების რესურს ცენტრის უფროსს . აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ხულოში დაგეგმილი პროექტის პრეზენტაციას, მისი მიზნების, პროექტის ადგილობრივი გუნდის,

LEADER მიდგომის და LAG-ის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდებას.



2017 წლის სექტემბერს გაიმართა 8 შეხვედრა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან, როგორც დაბა ხულოდან, ისე სოფლებიდან: ვაშლოვანი, ღორჯოში და დიდაჭარა. შეხვედრებში მონაწილეობდა 103 ადამიანი (46 მამაკაცი და 38 ქალი). აღნიშნული თავდაპირველი შეხვედრები წარმოადგენდა დაინტერესებული პირების ინფორმირების შესაძლებლობას პროექტის და LEADER მიდგომის შესახებ, თუმცა ეს ასევე იყო დიდი შესაძლებლობა პროექტის გუნდისთვისაც, რათა მოესმინათ ადგილობრივი მოსახლეობის როგორც პრობლემებისა და საჭიროებების, ისე მათი გეგმებისა და მისწრაფებების შესახებ. ყველა საპრეზენტაციო შეხვედრაზე მონაწილეები დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ და ჰქონდათ მრავალი კითხვა, აინტერესებდათ ინფორმაცია პროექტში, LAG-ის დაფუძნებასა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში



საკუთარი მონაწილეობის შესახებ.

საინფორმაციო შეხვედრების პირველი რაუნდის შემდეგ, ხულოს პროექტის გუნდმა მოაწყო შემდგომი საინფორმაციო შეხვედრები სოფლებში ძირკვაძეები, ოქროაშვილები, ბოძაური, დანისპარაული, ბელეთი, დიოკნისი, ჩაო, ბაკო, ფუშრუკაული, თხილვანა, გუდასახო, უჩხო, კვატია, წაბლანა, ღურტა, პაქსაძეები, ტუნაძეები, საციხური, რათა დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჯგუფისთვის გაეცნოთ ინფორმაცია პროექტის და მის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ამას გარდა, ცალკე შეხვედრა გაიმართა ხელსაქმის ოსტატ ქალთა ჯგუფთან ღორჯოშიდან და ხულოს მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორებთან.



2017 წლის ნოემბერში, ორგანიზებული იქნა დამატებითი სემინარი შემდეგი მიზნებისთვის: LEADER- მიდგომის სიღრმისეული გაცნობა, ადგილობრივი თემის განვითარებაში LAG -ის როლის განმარტება, LAG-ში წევრობის და ხელმძღვანელთა ფუნქციების განსაზღვრა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის გაცნობა, სამომავლო დაგეგმარების პროცესის განხილვა და ბოლოს, LAG-ის სამუშაო ჯგუფების იდენტიფიკაცია. ხულოს პროექტის გუნდის მიერ ჩატარებული ფართო საინფორმაციო კამპანიის შედეგად, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ინსტიტუტებმა გამოხატეს აღნიშნულ სემინარში მონაწილეობის დიდი ინტერესი (49 მონაწილე, 35 მამაკაცი და 14 ქალი). მონაწილეთა დიდი რაოდენობის აქტიური ჩართულობის შესანარჩუნებლად, მონაწილეები დაიყვნენ 2 ჯგუფად და სემინარი იგივე შინაარსით ორ დღეს ჩატარდა.




სემინარებზე, თვითშეფასების კითხვარები დაურიგდათ მათ, ვინც დაინტერესებული იყო LAG-ში აქტიურად ჩართულობით თვითშეფასების ძირითადი კრიტერიუმები იყო: თავისუფალი დრო, LEADER მიდგომისა და პროექტის გაცნობის მიზნით სოფლებში შეხვედრების ორგანიზებისა და დასწრების კუთხით დაინტერესება; და LDS-ის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობით დაინტერესება და დრო, მონაწილეებმა, ვინც შეიტანა განაცხადი LAG-ის წევრობაზე, LDS-ის შემუშავების მიზნით, დაჯგუფდნენ თემატურ სამუშაო ჯგუფებად, დაბალანსებული ტერიტორიული წარმომადგენლობის, სქესობრივი და ასაკობრივი ბალანსის, ასევე ყველა თემატური სექტორიდან თანაბარი წარმომადგენლობის გათვალისწინებით.



2017 წლის დეკემბერში ჩატარებულ მესამე სემინარზე, ყველა მონაწილე იყო LDS-ის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის აქტიური წევრი, LAG-ის ფარგლებში აღნიშნულ ამოცანასთან დაკავშირებული ნათლად

განსაზღვრული ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით. სემინარი მიზნად ისახავდა LEADER მიდგომის დანერგვას, ადგილობრივი თემის განვითარებაში LAG-ის ფუნქციის განსაზღვრას, LAG-ის მომავალი მხარდამჭერი პირების და სამუშაო ჯგუფების წევრთა ცოდნისა და უნარების გამყარებას და საბოლოოდ, LDS-ის შემუშავების პროცესის დაწყებას. სემინარზე, მომზადდა SWOT ანალიზის პირველი ვერსია, მკვეთრად გამოხატული ძლიერი და სუსტი მხარეებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარების ხედვით, დაინტერესებულ მხარეთა ანალიზთან და ტერიტორიის შემდგომი ანალიზისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების ღონისძიებების დაგეგმვასთან ერთად. ყველა აღნიშნული საკითხის საბოლოო შემუშავება და გადაწყვეტა დაევალათ სამუშაო ჯგუფის წევრებს შემდგომი სემინარის ჩატარებამდე.



2018 წლის თებერვალი-მარტის განმავლობაში სამუშაო ჯგუფებმა ხულოს პროექტის გუნდთან ერთად ჩაატარეს შეხვედრები დეკანაშვილების, დიდაჭარას, ვაშლოვანის, ხიხაძირის, ღორჯომის, რიკეთის, დიოკნისის და ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან რათა SWOT-თვის მოეგროვებინათ დამატებითი ინფორმაცია.

2018 წლის მარტში გაიმართა დამატებითი სემინარი, რომლის შედეგადაც შეიქმნა LAG-ის ტერიტორიის საბოლოო SWOT ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა საბოლოო ანალიზი, და შემუშავდა ხედვის, მისიის და დევიზის პირველი ვერსიები.

მარტიდან აპრილამდე სემინარების შორის ხულოს LAG-მა მოამზადა LAG-ის ხედვა და მისია ხულოს ტერიტორიისთვის და გამოცდილების გაზიარების მიზნით ესტუმრა ლაგოდეხის LAG-ს. LAG-მა ასევე გამოაცხადა ხულოს LAG-ის ლოგოს იდეების კონკურსი. 2018 წლის აპრილში ჩატარდა სემინარი, სადაც LAG-ის თემატურმა სამუშაო ჯგუფის წევრებმა დასახეს მიზნები და პრიორიტეტები LDS-თვის.



LDS-ის სათანადო ფორმით შედგენის მიზნით, LDS-ის შესამუშავებელ სემინარებზე მოწვეულ იქნენ დარგობრივი ექსპერტები სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების განსახილველად. ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიებში და მათი მოსაზრებები დაეხმარა LAG-ის წევრებს LDS-ის მიზნების ჩამოყალიბებაში.



2018 წლის ივნისში, მოეწყო სემინარი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის საბოლოო დასრულების შესახებ, სადაც გადამოწმდა სტრატეგიის პრიორიტეტული მიზნები და განისაზღვრა LAG-ის საქმიანობები. სემინარზე LAG-ის წევრებმა ნათელი მოჰფინეს

ყველა სხვა დანარჩენ საკითხს, რომელიც რელევანტური იყო LAG-ის საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის - მართვა, ურთიერთობები ბენეფიციარებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, თანხების მოზიდვის სტრატეგია, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, სტრატეგიის განახლება. მონაწილეებმა შეაფასეს სტრატეგიის საკვანძო მიზნების შესაბამისობა SWOT-იდან დადგენილ საჭიროებებთან.

სემინარებზე და მათ ინტერვალებს LDS-ის სამუშაო ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს არსებული მონაცემების და მეორადი წყაროების წინასწარი ანალიზი ტერიტორიის პროფილის LDS-ისა და თითოეული თემის წინაპირობის შექმნის მიზნით ამას გარდა, LAG-ის წევრებმა ჩამოაყალიბეს ხულოს განვითარების საჭიროებები და პოტენციალი და პრიორიტეტულ მიზნებზე დაყრდნობით შეარჩიეს მომდევნო 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ამავდროულად, LAG-ის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი საზოგადოების მობილიზებაში მათი მოტივირებისა და LAG-ის კონცეფციის გაცნობის გზით. LAG-ის წევრები შეთანხმდნენ, რომ LDS-ის მომზადებას მოჰყვებოდა ნათლად და დეტალურად განსაზღვრული განხორციელების პროცედურები, კერძოდ:

1. სტრატეგიის განხორციელების პროცედურები, რომელიც ეხება ინფორმაციის გავრცელებასა და საჯაროობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს;
2. პროექტის მომზადება LDS-ის მიზნების მიხედვით;
3. პროექტების შეფასების და შერჩევის პროცედურები;
4. პროექტის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები.

2018 წლის აპრილში, ხულოს LAG-ი ესტუმრა ლაგოდეხის LAG-ს გამოცდილების გაზიარების მიზნით. LAG-ებს შორის გამართულ შეხვედრაზე ორივე მხარემ წარმოადგინა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაცია. შეხვედრის შემდეგ, LAG-ის წარმომადგენლები ესტუმრნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ და ლაგოდეხის LAG-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ბიზნეს ინიციატივებს. მონაწილეები კმაყოფილი დარჩნენ სემინარით და გამოხატეს მომავალში უწყვეტი მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი.

2018 წლის მაისის თვეში LAG-ის წევრები სასწავლო ვიზიტით ჩავიდნენ ხორვატიაში. ვიზიტის მიზანი იყო ევროპის სოფლის განვითარების მოდელის - LEADER მიდგომის შესახებ პრაქტიკული გამოცდილების მიღება, ხორვატიის LAG-ის სამუშაო პრინციპების შესწავლა და მათი წარმატებული ინიციატივების გაცნობა.

ამასთან, 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია ხულოს განვითარების სტრატეგიის დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი



LAG-ის წევრებმა ჩაატარეს შეხვედრების სერიები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეების იდენტიფიცირებისთვის, მათთან თანამშრომლობის დონისა და სფეროს დადგენის, განსაზღვრის მიზნით. ინსტრუმენტებად გამოყენებული იქნა მატრიცების და კავშირების გრაფიკული დიაგრამა. ცხრილში -1 წერმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის შედეგები.

ცხრილი 1- ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

სახელი	ინტერესი/უფლებ ამოსილება	მიზანი	LDS-ის განხორციელებაში ჩართვის დონე	კომუნიკაციის საშუალებები
რეგიონალური და ადგილობრივი მედია (მაგ: აჭარის ტელევიზია, გაზეთი "ხულო")	მაღალი/დაბალი	შედეგების პოპულარიზაცია	ინფორმირება	პრეს რელიზები უშუალო კონტაქტი
ბანკები და MFI-ების წარმომადგენლები ხულოში	მარალი/დაბალი	თანამშრომლობა პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება და თანამშრომლობა	უშუალო კონტაქტი
გადაუდებელი დახმარების სამსახური	დაბალი/დაბალი	ინფორმირებულობა	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
მერიის წარმომადგენლები თემებში	მარალი/დაბალი	თანამშრომლობა მოსახლეობის მობილიზაციის მიზნით	ჩართვა, თანამშრომლობა, უფლებამოსილების მინიჭება	უშუალო კონტაქტი
საჯარო სკოლები, ხელოვნების სკოლა, საგანმანათლებლო რესურს ცენტრი და საბავშვო ბაღების კავშირი	მარალი/დაბალი	თანამშრომლობა ახალგაზრდობის ჩასართავად	თანამშრომლობა	დია ზარები/უშუალო კონტაქტი
ესტენციის ცენტრები	მაღალი/დაბალი	კონსულტირება პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება	უშუალო კონტაქტი

ფერმერები და კოოპერატივები (მაგ: კოოპერატივი "ჩხრილო")	მაღალი/მაღალი	ჩართვა განხორციელების პროცესებში	ჩართვა და უფლებამოსილების მინიჭება	ღია ზარებიუშუალო კონტაქტი
კომუნალური მომსახურების ცენტრი	მარალი/დაბალი	ჩართვა რეაბილიტაციის საჭიროებების შემდგომ გამოვლენაში	ჩართვა	უშუალო კონტაქტი
ხულოს საავადმყოფო	დაბალი/დაბალი	ინფორმირებულობა	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	მარალი/დაბალი	კონსულტირება და თანამშრომლობა პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება და თანამშრომლობა	უშუალო კონტაქტი
ვეტერინარული კლინიკა	დაბალი/დაბალი	ინფორმირებულობა	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
ხულოს გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია	მაღალი/დაბალი	კონსულტირება პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება	უშუალო კონტაქტი
სასტუმროების და საოჯახო სასტუმროების მფლობელები	მაღალი/მაღალი	ჩართვა შემდგომ ანალიზში და კონსულტირება მიწოდების მექანიზმებზე	ჩართვა, კონსულტირება და უფლებამოსილების მინიჭება	ღია ზარებიუშუალო კონტაქტი
ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლები	მაღალი/მაღალი	ჩართვა შემდგომ ანალიზებში და კონსულტირება ინტერვენციის მექანიზმებზე	ჩართვა, კონსულტირება და უფლებამოსილების მინიჭება	ღია ზარებიუშუალო კონტაქტი
ხულოს სათემო კავშირი	მაღალი/მაღალი	ჩართვა შემდგომი საჭიროებების ანალიზის პროცესში და კონსულტირება ინტერვენციის მექანიზმებზე	ჩართვა და კონსულტირება	საჯარო შეხვედრები ინდივიდუალურ ი შეხვედრები
ხულოს თეატრი	დაბალი/დაბალი	კონსულტირება კულტურაში საჭიროებების გამოვლენაზე	კონსულტირება	უშუალო კონტაქტი
მცირე ზომის მაღაზიები და საწარმოები	მაღალი/მაღალი	ჩართვა შემდგომი საჭიროებების ანალიზის პროცესში და კონსულტირება ინტერვენციის მექანიზმებზე	ჩართვა, კონსულტირება და უფლებამოსილების მინიჭება	ღია ზარებიუშუალო კონტაქტი
სტუდენტები	მაღალი/დაბალი	ჩართვა ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ პროექტებში და კონსულტირება შემდგომი საჭიროებების გამოვლენასთან დაკავშირებით	ჩართვა და კონსულტირება	საჯარო შეხვედრები ინდივიდუალურ ი შეხვედრები
ემიგრანტები	მაღალი/დაბალი	ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი

ქალთა ჯგუფები	მაღალი/დაბალი	ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, კონსულტირება სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით	ინფორმირება, კონსულტირება და უფლებამოსილების მინიჭება	საჯარო შეხვედრები ინდივიდუალური შეხვედრები
ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია	მაღალი/დაბალი	ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, კონსულტირება სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით	ინფორმირება და კონსულტირება	უშუალო კონტაქტი
სურსათის უვნებლობის სამსახური	დაბალი/მაღალი	კონსულტირება პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება	უშუალო კონტაქტი
გოდერძის და ზეშუმის კურორტების ადმინისტრაცია	მაღალი/მაღალი	ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, თანამშრომლობა პროექტების შერჩევის პროცესებში	ინფორმირება და თანამშრომლობა	უშუალო კონტაქტი
ჰიდრო ელექტრო სადგური (AGL)	მარალი/დაბალი	ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
შპს "ენერგო პრო ჯორჯია"	დაბალი/დაბალი	ინფორმირებულობა	ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
სააგრომობილო გზების მართვის სამსახური იბერია	მაღალი/მაღალი	კონსულტირება დამატებით სპეციფიკურ საჭიროებებზე და ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	კონსულტირება და ინფორმირება	უშუალო კონტაქტი
ხულოს ტყის მართვის სამსახური	მაღალი/მაღალი	კონსულტირება და თანამშრომლობა პროექტების შერჩევის პროცესებში	კონსულტირება და თანამშრომლობა	უშუალო კონტაქტი
აგრო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები	მაღალი/მაღალი	ჩართვა განხორციელების პროცესში	ჩართვა და უფლებამოსილების მინიჭება	დია ზარები უშუალო კონტაქტი
მერია და საკრებულო	მაღალი/მაღალი	ინფორმირებულობა და თანამშრომლობა პროექტების შემუშავებისა და განხორციელებასთან დაკავშირებით	ინფორმირება და თანამშრომლობა	ინდივიდუალური შეხვედრები
კულტურის და სპორტის ცენტრები	დაბალი/დაბალი	კონსულტირება კულტურაში საჭიროებების გამოვლენაზე	კონსულტირება	უშუალო კონტაქტი

პარლამენტის წევრი	მაღალი/მაღალი	პროექტის შედგენისა და განხორციელების პროგრესის შესახებ ინფორმირებულობა	ინფორმირება	ინდივიდუალური შეხვედრები
წყალმომარაგების ცენტრი	მაღალი/მაღალი	კონსულტირება შემდგომ სპეციფიკურ საჭიროებებზე და ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	კონსულტირება და ინფორმირება	უშუალო კონტაქტი

ზოგადი მიმოხილვა



ხულოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ დასავლეთით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რეგიონის დედაქალაქ ბათუმიდან აღმოსავლეთ მიმართულებით, 88 კმ-ში. ხულოს მუნიციპალიტეტს სამხრეთით ესაზღვრება თურქეთი, დასავლეთით - შუახევი, ჩრდილო-დასავლეთით - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი და აღმოსავლეთით - ადიგენის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი განთავსებულია დაბა ხულოში და მასში შედის 13 თემი (მათ შორის დაბა ხულო) და 84 სოფელი. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 710 კმ². 2018 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 9.5 მლნ ლარით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მაღალმთიანია და ვრცელდება 400-3007მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ხმელეთის

საშუალო სიმაღლეა 920მ³. ის მოიცავს არსიანის ქედს (ყანლის მთა 3.007 მ სიმაღლეზე) და მესხეთის ქედს (ზოტიმერიის მთა 2.646 მ-ზე). წლიური საშუალო ტემპერატურა მერყეობს 10.1 დან 14.3-მდე C° და წლიური ნალექი 1.300 მმ-ს აღწევს (დაბლობში) და 2.400მმ-ს (მაღლობში). ხულო შედგება მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგებით. ხულოში უმეტესად გავრცელებულია ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეები. ფლორაში, ყველაზე ხშირად შეგვხვდებათ: სამეფო გვიმრა, ურთხელი, ქართული ნეკერჩხალი, წაბლი, მუხა, კაკალი, კოლხეთის ყოჩივარდა, ფურისულა, ვერხვი, თელა და ა.შ. ხულო მდიდარია ხილით და სამკურნალო მცენარეებით. ფაუნა წარმოდგენილია კავკასიური ირემით, კავკასიური მურა დათვით, არწივით, დურაჯით, კავკასიური შურთხით, მცირე აზიის ტრიტონით და კავკასიური სალამანდრით.



³ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

ხულო მდიდარია სხვადასხვა მინერალური რესურსით (სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები, გაქვავებული ხის მარაგი) და მინერალური წყლებით (ხიხადირი, დანისპარაული, საანი, დიოკნისი და ა.შ.) ხულოში ასევე უხვადაა ტბები და ჩანჩქერები. მაგალითად, მწვანე ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 2040 მ-ზე მდებარეობს.



მოსახლეობა - ხულოს მუნიციპალიტეტი ითვლის 23.7 ათას მოსახლეს (2014 წლიდან -34 პროცენტითი შემცირებით).⁴ ადგილობრივი მოსახლეობის 51 პროცენტი ქალია და 24 პროცენტი - ახალგაზრდა. 96.5 პროცენტი ცხოვრობს სოფლად. 4,534 ასაკოვანი პენსიონერია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 2,217-ს.

საერთო მოსახლეობის 50 პროცენტი წარმოადგენს სამუშაო ძალას. 6 პროცენტი დასაქმებულია საჯარო სექტორში, ხოლო 2.45 პროცენტი - კერძო სექტორში⁵. 20 პროცენტი დაკავებულია სეზონური სამუშაოებით, ხოლო 96 პროცენტი - სოფლის მეურნეობით, ძირითადად, მეცხოველეობითა (მესაქონლეობა, მეფუტკრეობა) და მებაღეობით.

საშუალოდ, სამუშაო ასაკის მქონე მოზრდილთა მხოლოდ 25% გამოიმუშავენს აქტიურ შემოსავალს, სადაც მამაკაცები ქალებს 12%-ით აჭარბებენ. ხულოს ოჯახების 63 პროცენტს აქვს შემოსავალი 100-500

ლარამდე/თვეში და 33 პროცენტს - თვეში 500-1000 ლარამდე⁶. ოჯახების 68 პროცენტს აქვს ფულადი ვალი. 7110 პირმა მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება, რაც საერთო მოსახლეობის 30 პროცენტია (მნიშვნელოვნად მაღალი სახელმწიფო საშუალო დონესთან შედარებით, რომელიც 12.1%-ია)⁷. ეს შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც მუნიციპალიტეტში არსებული სიღარიბის დონის გარკვეული ინდიკატორი.

პოლიტიკური კონტექსტი

ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია ავსებს რეგიონალურ და სახელმწიფო ნორმატიულ ბაზას.

2018 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ახალი რეგიონალური განვითარების პროგრამა 2018-2021 წლებისთვის. ამ პროგრამაში, ხულოს LDS-ს საკუთარი წვლილი შეაქვს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში: ა) გაზრდილი რეგიონალური კონკურენტუნარიანობისა და ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის. ბ) SME-ის განვითარებისა და გ) კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ხულოს LDS-ის გამოყენება ასევე შესაძლებელია მუნიციპალური განვითარების გეგმების მომავალი განახლებისას

2017 წელს საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიიღო. იმავე პერიოდში, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ სოფლის განვითარების სტრატეგია დაამტკიცა. ხულოს LDS შემუშავდა ეროვნული და რეგიონალური სოფლის განვითარების სტრატეგიებში განსაზღვრული პრიორიტეტების, მიზნების და აქტივობების გათვალისწინებით. LDS-ის მომზადებისას გამოყენებულ სხვა სახელმწიფო

⁴ ჯეოსტატი, მოსახლეობის აღწერის მონაცემები

⁵ ჯეოსტატი, 2018 წლის 10 მაისს მოძიებული მონაცემები

⁶ FAO - სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და შესაბამისი გაზანგძლივების საჭიროებები, 2017

⁷ სოციალური სამსახურის სააგენტო, 2018 წლის 6 მაისს მოძიებული მონაცემები

პოლიტიკურ დოკუმენტებს შორის იყო: SME საქართველოს განვითარების სტრატეგია 2016-2020; საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების განვითარების სახელმწიფო სტრატეგია 2013-2020; საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2015-2025; საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (2014).

1. ტურიზმი სოფლად

ეროვნული კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის (შემუშავდა 2014 წელს) მიზანია შექმნას გზამკვლევი საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ღირებულების, რენტაბელობისა და მდგრადობის გასაზრდელად.

ცხრილი 2 - (2014 წელს) 2015-2025 წლებისთვის განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ტურიზმის სტრატეგიის მთავარი ინდიკატორები

2014 წლისთვის დაგეგმილი ეროვნული სტრატეგიის მიზნები	2015	2025
საერთაშორისო ჩამოსვლები	5,515,559	11,000,000
საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი	1.8 bln. \$	5.500 bln. \$
უშუალო წილი მშპ-ში GDP	6%	6.7%
ტურიზმის შედეგად შექმნილი სამუშაო ადგილები	180.000	335.000
საშუალო დანახარჯი ერთ ჩამოსვლაზე	320 \$	500 \$
დარჩენის ხანგრძლივობა ერთ ჩამოსვლაზე - დღეები	4.3	5.3
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტურიზმში	559 mln. \$	910 mln. \$

ჩამოსვლები მეზობელი ქვეყნებიდან	88%	80%
WEF ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი	66	35

ცხრილი 3 - ვიზიტორთა წარმოშობის ქვეყნები

ქვეყანა	2017	y/y 2016-2017
სომხეთი	1,718,000	+14,8%
აზერბაიჯანი	1,694,000	+11,2%
რუსეთი	1,392,000	+34,1%
თურქეთი	1,246,000	-0,8%
ირანი	0,322,838	+118%
არაბული სახელმწიფოები და სპარსეთის ყურის ქვეყნები	0,056,247	+164%

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით: ევროკავშირის სახელმწიფოებიდან ვიზიტორთა ზრდამ შეადგინა +15%; ევროკავშირის ქვეყნების პირველი ხუთეულიდან: პოლონეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და საფრანგეთი. ვიზიტის მთავარი ინტერესი და პრიორიტეტული ადგილები იყო: აჭარა - გართობა და დასვენება, კახეთი - ღვინო და კულტურა; მცხეთა-მთიანეთი - მთა და თავგადასავალი.

WTTC-ის (მსოფლიო ტურიზმისა და ტრენინგის ცენტრის) „ქვეყნის მოგზაურობისა და ვაჭრობის შესახებ 2017 წლის ანგარიშის“ მიხედვით, საქართველო პირველ ადგილზეა, როგორც მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ტურიზმის ქვეყანა. UNWTO-მ საქართველო ტურისტული დანიშნულების 10 საუკეთესო ქვეყანას შორის დაასახელა.


აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარების მიმოხილვა

აჭარის რეგიონი წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების მთავარი ადგილებიდან ერთ-ერთს, რომელსაც მოაქვს სარგებელი რეგიონალური ეკონომიკისთვის, მასპინძლობს

რა 2.5 მლნ მნახველზე მეტს რეკრეაციული და მოგზაურობის მიზნით. ესენი არიან უმეტესად ზღვაზე დასასვენებლად, მათ შორის საქმიანი ვიზიტებით, მოგზაურობის მიზნით და FRV-ით ჩამოსული სტუმრები.

მომსახურების სექტორი წარმოადგენს ძირითად ინდუსტრიას, რომელიც გამოიმუშავებს მშპ-ის 17%-ს, და დასაქმებაში შეაქვს 10%-იანი წვლილი, რაც ძირითადად დაკავშირებულია საზღვაო დასვენებასა და სასტუმრო ინდუსტრიასთან. ტურიზმის საქმიანობის სხვა სექტორები, როგორცაა სამთო მოგზაურობა, კულტურული ტურები, გამაჯანსაღებელი ტურიზმი, ეკო ტურიზმი მაჭახელას და მტირალას ეროვნულ პარკებში, ტურები ქობულეთსა და კინტრიშში, მომლოცველობა პირველი ქრისტიანების “წმ. ანდრეას გზით” და ა.შ. შედარებით ნაკლებადაა განვითარებული და მნიშვნელოვანი რესურსები აქვთ, რომელიც გასათვალისწინებელია მომავალში.

სურათი 1 –ვიზიტორთა რაოდენობა აჭარის ა/რ-ში (ათასი)



წყარო: აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი

ცხრილი 4 - სასტუმროში ნომრების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	# ნომრები	# საწოლ	# სასტუმროები
----------------	-----------	---------	---------------

⁸ წყარო: აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი

		ები სულ	
ბათუმი	4939	10250	225
ქობულეთი	1795	4233	77
ხელვაჩაური	317	842	17
შუახევი	17	39	2
ქედა	3	8	1
ხულო	27	54	3

წყარო: აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი

აჭარის მოსახლეობის 56 პროცენტი ტურიზმის სექტორშია დასაქმებული. 2016 წელს, ტურისტთა 70% აჭარას აპრილი-სექტემბრის პერიოდში სტუმრობდა⁸. ვიზიტორები ძირითადად მოდიოდნენ: თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან, პოლონეთიდან, ბელარუსიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან და ირანიდან. 2012 წელთან შედარებით 2016 წელს სასტუმროების და რესტორნების ბრუნვა გაიზარდა 135%-ით (225 მლნ ლარი).

ტურიზმი ხულოს მუნიციპალიტეტში

აჭარის ტურიზმის სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ტურიზმის პროდუქტების მრავალმხრივი განვითარება, რომელიც ვიზიტორებს შესთავაზებს ახალ შთაბეჭდილებებს არამხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლის სტუმრობით, არამედ, მათი მიპატიჟებით აჭარის მთების სილამაზის აღმოსაჩენად, თვალსმოფარებული სოფლების დასათვალიერებლად, სადაც შენარჩუნებულია ავთენტური კულტურა და ფოლკლორი, ეროვნული პარკების გავლით სამოგზაუროდ, რომლებიც მდიდარია საუცხოო ბიომრავალფეროვნებით, თავისუფალი სრილით და თხილამურებით ახლადშექმნილ სათხილამურო კურორტ „გოდერძე“ სიამოვნების მისაღებად“ 2300მ-ზე, რომელიც ზღვიდან მხოლოდ 110 კმ-ითაა დაშორებული. ხულოში, ტურიზმისთვის ხელსაყრელი

კლიმატური პირობებია მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით ⁹.

2014 წლის რეგიონალური სტატისტიკის მიხედვით **ხულოს მუნიციპალიტეტმა აჭარის რეგიონიდან ვიზიტორთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0.4%-ს უმასპინძლა**. ეს უნდა იყოს მთავარი გამოწვევა, რომელიც დაიძლევა ზღვაზე მყოფი ტურისტების მოზიდვით მთის სოფლებში, ეროვნული პარკებისა და საკურორტო დანიშნულების ადგილების მოკლე გასართობი ტურებით.

დაბალი შემოსავლის, შეზღუდული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების და მცხოვრებლების გათვალისწინებით, რომლებიც უმეტესად დასაქმებულნი არიან დაბალი პროდუქტიულობის სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, ხულო განიცდის ადგილობრივი ეკონომიკის მრავალმხრივი განვითარების მწვავე საჭიროებას. ახალ მიდგომაში გათვალისწინებული უნდა იყოს ალტერნატიული ეკონომიკების ინტენსიური გამოყენება, მათ შორის მომსახურების სექტორის, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მომსახურების სექტორში არსებებულ სისტემურ შესაძლებლობებთან და უპირველესად, უნდა მოხდეს მზარდი შესაძლებლობების გამოყენება სოფლის საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარებისთვის.

დადგენილია ოთხი ძირითადი სისტემური შესაძლებლობა, როგორც ძლიერი მხარდამჭერი ფაქტორი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და კერძოდ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის:

შესაძლებლობა 1:

საგზაო კავშირის გაუმჯობესება ხულოსა და ზღვის სანაპირო ზოლს შორის და უფრო მეტი ვიზიტორის მოზიდვა ცხელ სეზონზე. არსებობს აშკარა ტენდენციები, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ზღვაზე

დამსვენებელთა რაოდენობის უფრო მეტი ზრდა მომდევნო წლებში, რაც გასათვალისწინებელია, როგორც მნიშვნელოვანი პირველადი ბაზარი სამთო დანიშნულების ადგილების ხანმოკლე სტუმრობისთვის.

რეკომენდებული მიდგომა:

ა) ლანდშაფტის, ხელუხლებელი გარემოს, სუფთა მდინარეებისა და გაუვალი ტყის სილამაზეზე, ადგილობრივ სტუმართმოყვარეობასა და კულინარიაზე დაფუძნებით, „აჭარის მთებში დასვენების“ ადგილობრივი ავთენტური ტურიზმის იმიჯის შექმნა.

ბ) ერთდღიანი მოკლე ტურების შეთავაზება, რათა ტურისტებმა თავი დააღწიონ „გადატვირთულ ზღვის სანაპიროებს“ და ისიამოვნონ მრავალფეროვანი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებებით და მთებში დასვენებით.

გ) სათანადო ობიექტების შერჩევა და 2-3 დღიანი ტურ-პაკეტის შექმნა, რომელიც ტურისტებს შესთავაზებს მთებში გასეირნებას, მდინარის აქტივობებს, ეთნოგრაფიულ ტურებს მთიან სოფლებში კომფორტულად გატარებით ზღვაზე დასვენებასთან ერთად.

მნიშვნელოვანი წინაპირობა: საზღვაო ზოლთან ხულოს დამაკავშირებელი გზის ხარისხის გაუმჯობესება. გზის საფარი ცუდ მდგომარეობაშია მდინარე აჭარისწყალზე ჰიდრო საინჟინრო სისტემების მშენებლობის გამო.

⁹ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013



სოფელი თაგო

შესაძლებლობა 2:

ტურისტების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების კარგად განვითარებულ ქსელს (მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები, დაცული ტერიტორიები, გოდერძის ბოტანიკური ბაღი). ეროვნული პარკები ეკო-აგრო ტურიზმის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორად იქცა, ვინაიდან დამთვალიერებლებს უღვივებს ინტერესს და სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის, რომლებიც მდებარეობენ ეროვნული პარკების საზღვრებთან, აძლევს რა მათ კონკურენტული მომსახურებების დამკვიდრების შესაძლებლობას. ხულოს მუნიციპალიტეტთან უშუალოდ არაა დაკავშირებული რომელიმე ეროვნული პარკი, თუმცა ხეობების სილამაზე, ხელუხლებელი ტყეები, ღრმა კანიონები და ტრადიციული სოფლის ლანდშაფტი იძლევა შესაძლებლობას, რომ განვითარდეს ბილიკების ქსელი, მათ შორის მონაკვეთები ლაშქრობისთვის, მთის ველოსიპედით სეირნობისთვის, ჯომარდობისთვის, ცხენოსნობისა და სათხილამურო ტურისტისთვის ზამთარში.


რეკომენდებული მიდგომა:

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება გამოცდილების გაზიარების მიზნით, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ბუნებრივი ბილიკები ეროვნული პარკებიდან და დაცული ტერიტორიებიდან. გასათვალისწინებელია მეზობელი თემების ჩართვა, რომლებიც შესთავაზებენ მგზავრობასთან დაკავშირებულ

მომსახურებას (მეგზურობა, ტრანსპორტი, საკვები) და განთავსების ადგილებს (მცირე სასტუმროები, ოჯახური სასტუმროები, სოფლის სახლები და ქოხები). საერთო მიზანია ჩამოყალიბდეს „ორმხრივად მომგებიანი“ თანამშრომლობა, რომელიც ტურისტებს შესთავაზებს ტურისტულ პაკეტებს, სადაც გაერთიანებული იქნება ბუნებაში ეკო-აგრო ტურისტული აქტივობები. პირველ რიგში უნდა განვითარდეს „დანიშნულების ადგილები“ ტურისტული მარშრუტის გასწვრივ, მოშორებით სოფლებში, ადგილობრივი სტუმართმოყვარეობის სიკეთეების გამოყენების გზით

შესაძლებლობა 3:

გოდერძი ახლად განვითარებული კურორტია, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. კურორტის საბაგირო საშუალებებში შედის ორი ახალი საბაგირო გზა (გონდოლა და 6 კაციანი საბაგირო სავარძელი) დაახლოებით 2000 კაცი/საათში დატვირთულობით, რაც საკმარისია დღეში დაახლოებით 3000 მოთხილამურის მომსახურებისთვის, ზღვის დონიდან 1700 – 2300მ სიმაღლეზე. 2018 წელს დასრულდება ორი მცირე საბაგირო “ti-bar-ის ტიპის საბაგირო და მოძრავი ბილიკი) დამწყებთათვის. სამთო-სათხილამურო კურორტებზე მიმდინარეობს განთავსების ობიექტების განვითარება, რამდენადაც ეს აჭარის მთავრობისთვის წამყვან ტურისტულ პროექტს წარმოადგენს. 2018-2019 წლებისთვის იგეგმება საერთაშორისო დონის საკურორტო სასტუმროს და პატარა სახლების მშენებლობა, რომელიც დაფინანსდება 80 მლნ ლარის ღირებულების ახალი კერძო ინვესტიციით, რაც შექმნის დაახლოებით 500 სამუშაო ადგილს და განთავსების ადგილს 435 ვიზიტორისთვის. ამჟამად, განთავსების პოტენციალი მეტად შეზღუდულია, რაც შემოიფარგლება 6 კოტეჯით, სულ 80 საწოლითა და რამდენიმე ადგილობრივი საოჯახო სასტუმროთი სოფელ დანისპარაულში (უახლოესი დასახლება სათხილამურო კურორტთან).



რეკომენდებული მიდგომა:

გოდერძის ახალი სამთო კურორტის განვითარება გრანდიოზულ შთაბეჭდილებებს სთავაზობს მოთხილამურეებს/სნოუბორდისტებს, ზამთრის და ზაფხულის დამსვენებლების, რომ ისიამოვნონ აქტიური დასვენებით შორეულ მთებში. კურორტი წარმოადგენს ძლიერ

"ლოკომოტივს", რაც ხელს შეუწყობს ეკო-სათავგადასავლო და აგრო-ტურიზმის განვითარებას მეზობელ თემებში და მთელი გზის მონაკვეთზე, კერძოდ ხულოდან გოდერძის კურორტამდე (დაახლოებით 25 კმ).

თოვლის კარგი ხარისხით, ხანგრძლივი ზამთრის სეზონით, ფართო ფერდობებით, შერეული ტყეებითა და ალპური მდელოებით, სამთო ტურიზმისა და "კეტსკინგის"- (თხილამურობის ერთერთი სახეობა) უსაზღვრო შესაძლებლობებით მან, როგორც ზამთრის კურორტმა, პოპულარობა მოიხვეჭა მათ შორის, ვინც ერთობა თოვლითა და სათხილამურო დასვენებით შორეულ ადგილებში. ადგილობრივ სოფლებს მიეცემათ ფართო შესაძლებლობა, რომ სახლები გადააკეთონ (ხის კოტეჯის ტიპის) მცირე საოჯახო სასტუმროებად რომლებიც სტუმრებს შესთავაზებს ღამის გათენებას, საჭმელს, ტრანსპორტს, მეგზურობას, ცხენის გაქირავებას, და ა.შ.

კურორტი ადგილობრივებისთვის შექმნის სამუშაო ადგილების მრავალფეროვან შესაძლებლობას, როგორიცაა ადმინისტრაციული პერსონალი, სათხილამურო ინსტრუქტორები, სამთო-სათხილამურო საბაგიროებზე მომუშავე პერსონალი, სათხილამურო ტრასის გამწმენდი დანადგარების მძღოლები, სტუმრების მომსახურე პერსონალი (კაფეებში, რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ.) დღესდღეობით, გოდერძის სათხილამურო კურორტი წარმოადგენს საქართველოს სამთო კურორტის განვითარების კომპანიის ნაწილს (სახელმწიფო კომპანია), სადაც მხოლოდ 28 თანამშრომელი მუშაობს.

შესაძლებლობა 4:

გოდერძის უღელტეხილის და აჭარის რეგიონთან სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სრული რეკონსტრუქცია. საქართველოს მთავრობა ინვესტირებას ახორციელებს ხულოსა და ადიგენის დამაკავშირებელი გზის

ბოლო მონაკვეთის (16 კმ) რეკონსტრუქციაში, რომლის საშუალებითაც გაიხსნება ახალი კომფორტული და მოკლე დამაკავშირებელი გზა საქართველოს ორ რეგიონს შორის. კომფორტული გზატკეცილის გახსნა გოდერძის გადასასვლელზე არსებითად შეამცირებს სამგზავრო მანძილს ბათუმსა და ბავრასთან სომხეთის საზღვარს შორის, გზას თბილისისკენ ახალციხისა და ბორჯომის გავლით. შედეგად, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში ტურისტული ადგილების დაკავშირებით, მოგზაურთა ჯგუფების "რადარებზე" გამოჩნდება ახალი ტურისტული ბილიკი, რომელიც მათ შესთავაზებს უნიკალურ შთაბეჭდილებებს მრავალფეროვან ლანდშაფტში მოგზაურობით, ავთენტური სოფლების მონახულებით, განსხვავებული კულტურების გაცნობისა და ნამდვილი სამთო თავგადასავლებით სიამოვნების მიღების გზით, როგორცაა მთის ველისიპედებით სრიალი, რაფტინგი, სათხილამურო ტურიზმი ან ტრეკინგი. მოგზაურობების ბოლოს, დასვენება ზღვის სანაპიროზე იქნება სასიამოვნო ჯილდო.

რეკომენდებული მიდგომა:

საგზაო მოძრაობის გაზრდა მოახდენს ადგილობრივი ვაჭრობისა და მომსახურების სტიმულირებას. რამოდენიმე ადგილობრივი თემი, რომლებიც მდებარეობენ გზის გასწვრივ თავად იქცევიან ტურისტული დანიშნულების ადგილად. გზის გასწვრივ კვების პატარა ობიექტების, საგზაო რესტორნების, მცირე სასტუმროების და ბაზრების გახსნის ხელშესაწყობად საჭიროა სათანადოდ დაგეგმილი ინვესტიცია. შემდეგი ნაბიჯის სახით, საჭირო იქნება სასტუმრო მომსახურებაში, მცირე ბიზნესის დაგეგმვასა და საბაზისო საცხოვრებელი ობიექტების გაუმჯობესებაში ტრენინგების უზრუნველყოფა. შედეგად, თემები დიდად ისარგებლებენ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებით, რომელიც უზრუნველყოფს განთავსებისა და კვებით სერვისებს მოგზაურთა ჯგუფებისთვის.



ტრადიციული სახლი ღორჯომში

ადგილობრივი ტურიზმის განვითარების კუთხით გასათვალისწინებელი ზოგადი ტენდენციები

აჭარის მთიან რეგიონში ტურიზმსა და სოფლის განვითარებაზე ფოკუსირებისას, რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული ტენდენციების გათვალისწინება:

1. მოგზაურთა ინტერესების გლობალური ცვლილება შეუსწავლელი დანიშნულების ადგილებისადმი და "გამოცდილებაზე დამყარებული მოგზაურობისადმი, რაც მოიცავს უფრო "აქტიურ თავგადასავლებსა და კულტურულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მოგზაურობას" უმოკლეს დროში (3-5 დღე).
2. გასათვალისწინებელია მეგობრების და საოჯახო ჯგუფების ინდივიდუალური და თვითორგანიზებული მოგზაურობების დომინირება დიდ პაკეტიან ტურებთან შედარებით. თვითდაგეგმარებული სამოგზაურო მარშრუტების ზრდა ინდივიდუალური თემატიკისა და სათავგადასავლო ინტერესის შესაბამისად. მოგზაურობის დაგეგმვისათვის განმსაზღვრელი ფაქტორია დანიშნულების ადგილებთან მისადგომობა და სოფლებში განთავსების სათანადო ობიექტების ხელმისაწვდომობა.

3. ადგილობრივი მომსახურების მიმწოდებელთა მხარდაჭერა, რომლებიც საკუთარ სერვისებს და ობიექტებს სთავაზობენ ელექტრონული დაჯავშნის სისტემების გამოყენებით, პოტენციურ ვიზიტორებს უზიარებენ ინფორმაციას ტურისტული დანიშნულების ადგილების შესახებ, დანიშნულების ადგილის შინაარსისა და თემატური ინტერესების გათვალისწინებით.
4. მომზადება გოდერძის ბილიკის რეაბილიტაციისა და გოდერძის სამთო სათხილამურო კურორტზე გაფართოების ღონისძიებების (ახალი სასტუმროები, სათხილამურო საწვევლები, მეგზურობა, გაქირავება, და.ა.შ) დასრულებასთან ერთად გზის გასწვრივ მოგზაურთა რაოდენობის სწრაფი ზრდისთვის.
5. საერთაშორისო და შიდა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც დაინტერესებული არიან მოკლე შაბათ-კვირიანი ტურებით და სეზონური რეკრეაციული დასვენებით. მოსალოდნელია ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ახლად აღმოცენებული რეგიონალური ბაზრებიდან, როგორიცაა ირანი, არაბეთის ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი, კავკასია და დსთ-ის ქვეყნები.

ყველა ამ ამოცანის განსახორციელებლად, ხულოს მუნიციპალიტეტის LAG -ს დასჭირდება მნიშვნელოვანი ტექნიკური მხარდაჭერა, რათა მოახდინოს ტურიზმის შესაძლებლობების ინტეგრირება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, მიმართოს ფინანსური რესურსები საუკეთესო "ხარისხიანი დანიშნულების ადგილებისკენ" და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მეწარმეებს ხარისხიანი მომსახურებების (განთავსება,

კვება, მეგზურობა, ტრანსპორტის უზრუნველყოფა), ტურისტული დანიშნულების ადგილების და ტურიზმის პროდუქტების შექმნაში.



საბაგირო გზის ვაგონის ოპერატორი სოფელ თაგოში

ღირებულებათა ჯაჭვის მიდგომა

განვითარებულ ქვეყნებში შორეული მთიანი ადგილები დიდ სარგებელს იღებენ ადგილობრივი ტურიზმის განვითარებიდან (საქართველოს მაგალითზე, ყაზბეგი-გუდაურის რაიონები, თუშეთი-ახმეტა, მესტია-სვანეთი), რაც ადგილობრივი თემებისთვის ძირითად ფულად შემოსავალს უზრუნველყოფს, ქმნის სამუშაო ადგილებს და ახდენს ადგილობრივი მეწარმეობის უშუალო სტიმულირებას, SME-ების საოჯახო სასტუმროებად გარდაქმნის გზით, კვების და სასმელის, ტრანსპორტის, მეგზურობის და სხვა მომსახურებების უზრუნველყოფის საშუალებით.



ღირებულებათა ჯაჭვში ყველა მოთამაშეს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის განმტკიცება წარმოადგენს წარმატებული და

მდგრადი თანამშრომლობის საფუძველს (UNWTO-ს მიხედვით, ერთი უშუალო დასაქმება ტურიზმში უზრუნველყოფს სულ მცირე 4 არაპირდაპირ დასაქმებულს მიწოდების ჯაჭვის გზით).

სოფლის საზოგადოებაზე დაფუძნებულ ეკო-აგრო ტურიზმზე უმნიშვნელო ორიენტირების გათვალისწინებით, ხულოს მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ტურისტული აქტივობების ძირითადი დაჯგუფებებია:

- ეთნო-კულტურული ტურიზმი, დაფუძნებულია აჭარელი ხალხის ტრადიციული ცხოვრების სტილის ავთენტურობაზე, რომელიც კარგადაა შემონახული მთიან სოფლებში, ისტორიულ, რელიგიური მემკვიდრეობასთან და სოფლების ტრადიციულ ხის არქიტექტურასთან ერთად.
- ზაფხულის სამთო და სათავგადასავლო ტურიზმი, რომელიც დაფუძნებულია ბუნებრივ აქტივებზე, ლანდშაფტის მრავალფეროვნებასა და შესაძლებლობებზე, რომ სიამოვნება მიიღონ სხვადასხვა აქტივობებით სუფთა ჰაერზე, როგორცაა: მთის ველოსიპედი, ტრეკინგი, მდინარის სპორტები;
- ზამთარში სნოუბორდით სრიალი და სათხილამურო ტური, "ხელი-სქი" და "ქეთ-სქი" გოდერძის კურორტის, სოფელი ქედლებისა და კურორტ ბეშუმის ირგვლივ.

ტურ ოპერატორთა/ადგილობრივ მოვაჭრეთა მიერ შექმნილი ტურისტული პროდუქტები მოიცავს ტურისტული მომსახურებების ყველა კომპონენტს, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული, როგორც "ღირებულებათა ჯაჭვი". საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი პრაქტიკის მიხედვით,

ვიზიტორთა სამოგზაურო დანახარჯი მთელ "ჯაჭვზე" შემდეგნაირად გადანაწილდება:

ცხრილი 5 – ხულოში ტურისტული დანახარჯების მოდელი

მომსახურების კომპონენტები სოფლის/აგრო ბუნებრივი ტურიზმი	დანა ხარ ჯი %	ღირებ ულება ერთ პერსონ აზე ლარებ ში	მოწოდებ ულია	კაპიტა ლდაბან დების საჭიროე ბა
განთავსება საოჯახო სასტუმროში	25%	50	ადგილობ რივი	მაღალი
გიდი თარჯიმანი, მეგზური ბუნებაში	15%	20	ადგილობ რივი	მაღალი
ტრანსპორტი	15%	30	სახელმწი ფო	ზომიერ ი
კვება და სასმელი/შოპინგ ი	20%	40	ადგილობ რივი	დაბალი
სუვენირები	5%	10	ადგილობ რივი	ზომიერ ი
ტურ- ოპერატორები	10%	30	სახელმწი ფო	დაბალი
გადასახადები	10%	20	სახელმწი ფო	დაბალი
სულ ლარი კაცზე/დღეში		200		

თითოეული ადგილის მოკლე მონახაზი და დანიშნულების ადგილების სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანი:

დაბა ხულო და სოფელი თავო: ხულო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ცენტრს. ქაოტური ურბანული განვითარების გამო, ხულოს, როგორც დასახლებას, შეზღუდული შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ გახდეს ტურისტული დანიშნულების ადგილი (ვიდრე ძირითად ურბანულ გაუმჯობესებას არ ექნება ადგილი). თუმცა, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი, ის შეასრულებს ლოჯისტიკური ჰაბის როლს. ხულოსთან დაკავშირებული საუკეთესო ტურისტული ადგილია სოფელი თავო, თავისი გამორჩეული მდებარეობითა და განსაკუთრებული სატრანსპორტო კავშირით - საბაგიროთი, რომლის სიგრძეც 1780 მ-ია. ის

საუკეთესო ტურისტული ღირსშესანიშნაობაა და უნდა მოექცეს საპროექტო ინვესტიციების ფოკუს ცენტრში. სათანადო განხორციელების შემთხვევაში, კაპიტალდაბანდება ხელს შეუწყობს სოფელ თავოში ტრადიციული აჭარული ხის სახლების შემონახვას, და ადგილი გადაიქცევა მთავარ ტურისტულ ადგილად იმ ტურისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურული გამოცდილებითა და ბუნების სილამაზით; არსებობს მცირეოდენი ადგილობრივი "ტურიზმთან დაკავშირებული" ინიციატივები, რომლებიც უკვე გადამოწმდა ადგილზე. რეკომენდებულია, რომ გაუმჯობესდეს ინტერვენციის ხარისხი ღირსშესანიშნაობის პროექტირებაში (სოფლის გეგმა) ინვესტიციების განხორციელების გზით, ამაღლდეს ცნობიერება, რათა შენარჩუნდეს სახლების ისტორიული იერსახე და მოხდეს გადამზადება სასტუმრო მომსახურებაში.



ხიზანის ხეობა, რომელიც მოიცავს ისტორიულ-მემორიალურ მუზეუმს სოფელ სხალთაში, სხალთის მონასტერს და ხიზანის ციხეს. ხეობა მიმზიდველია იმისთვის, რომ ის შეისწავლო სხვადასხვა სათავეგადასავლო მოგზაურობის შესაძლებლობების გზით - მთის ველოსიპედით სეირნობა, ცხენოსნობა ლაშქრობასთან კომბინაციაში. მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას "დანიშნულების ადგილის მდებარეობა", რომელიც კონცენტრირებული იქნება პირველ გაჩერებაზე სხალთის მონასტერთან, ხოლო სელიმ ხიმშიაშვილის ადგილობრივ მუზეუმსა და ხიზანის ციხეზე, როგორც ტურისტული ადგილის დასასრულზე. რამდენიმე მცირე საოჯახო სასტუმრო უკვე არსებობს ამ ადგილზე.



ღორჯომის ხეობა - ტრადიციული სოფლებითა და გურიაში ბახმაროს კურორტთან დაკავშირების შესაძლებლობით "გზიდან მოშორებული მოგზაურობა ეთნოგრაფიული სოფლებისკენ"; ხეობის მთავარი მომხიბვლელობა "ბრენდი" იქნებოდა ტრადიციული სოფლები ხის არქიტექტურით. რეკომენდებულია შეირჩეს სოფელი ყველაზე ავთენტური იერსახით, შეირჩეს ტრადიციული სახლი და გადაკეთდეს იგი "ტურისტული დანიშნულების ადგილად", ტურისტებისთვის ტრადიციული კერძების, ხელნაკეთი ნივთებისა და სასმელების შეთავაზების გზით.



გოდერძის სამთო კურორტი

გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი თავად წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების ადგილს თავისი ზამთრისა და ზაფხულის აქტივობებით. კურორტის ტერიტორიის გაფართოების მხარდაჭერა სოფლების დანისპარაულის, კურორტ ბეშუმის და გოდერძის უღელტეხილის, ბოტანიკური ბაღის რეკლამირებისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის აჭარასთან დაკავშირების გზით მომგებიანი იქნებოდა.



სხალთის მონასტერი

ტურიზმი სოფლად- SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა საზღვაო კურორტებსა და სამთო კურორტებს შორის; მდიდარი ბიომრავალფეროვნება; ბუბრივი რესურსები და მიმზიდველი ლანდშაფტი; კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა და სტუმართმოყვარეობა; თვალწარმტაცი ტბები და მდინარეები (მაგ: მწვანე ტბა, შავი ტბა); გოდერძის სამთო სათხილამურო კურორტი, რომელიც განავითარა ცენტრალურმა ხელისუფლებამ; სტრატეგიული საავტომობილო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სანაპირო ზოლს, აჭარის მთებს, სამცხე ჯავახეთის რეგიონს, თურქეთს და სომხეთს; აჭარის რეგიონის კულტურული ავთენტურობა ტრადიციული ხის არქიტექტურა და საცხოვრებლები, რომლებიც შემონახულია მთიან სოფლებში (ღორჯომის ხეობა, სოფელი თავო, და ა.შ.); ხელოსნობასთან, კულინარიასთან, მეხილეობასთან, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ტრადიციები და ა.შ. ახლო მდებარეობა ზღვის სანაპიროსთან და გაცხოველებული ტურიზმი შავ ზღვაზე	ტურისტული დანიშნულების ადგილებში ინფრასტრუქტურის (ძირითადად გზების) ნაკლებობა; პროფესიონალური გამოცდილების ნაკლებობა მომსახურების სექტორში: სტუმრის მომსახურების გამოცდილება, ღია ცის ქვეშ მეგზურობის უნარები, ტურიტული ადგილის მართვის უნარები; მართვისა და ადმინისტრაციული უნარების ნაკლებობა, რაც საჭიროა მარკეტინგის, რეკლამირების და ტურისტული ადგილის მართვისთვის საცხოვრებელი ადგილების, როგორცაა საოჯახო სასტუმროების უკიდურესად შეზღუდული რაოდენობა და დაბალი ხარისხი და მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის დარეგისტრირებული პატარა სასტუმროები; გასართობი ან სხვა ტურისტული აქტივობების არარსებობა მუნიციპალურ დონეზე ტურიზმის მართვისა და ღონისძიებების ორგანიზების შეზღუდული უნარები; ფინანსური რესურსების და ინვესტიციების ნაკლებობა; განათლების ნაკლებობა (უცხო ენების ცოდნა, შეზღუდული ცოდნა მომსახურების შესახებ); ინფრასტრუქტურის (კაფეების, კინოთეატრის, გასართობი ადგილების, და ა.შ.) ნაკლებობა (ან დაბალი ხარისხი) ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ ცოდნის ნაკლებობა და სტიქიური უბედურებების მართვის გეგმის არ არსებობა; სტრატეგიული გეგმების ნაკლებობა (სექტორულ და მუნიციპალურ დონეზე); ადეკვატური ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ინტერნეტის, ნაკლებობა; ადგილობრივი აგრო-პროდუქტების ნაკლებობა წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვის (გადამუშავების) უმნიშვნელო სისტემა

	საავარიო და სამაშველო მომსახურების ცუდი სისტემა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
მცირე საოჯახო სასტუმროების განვითარება გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტის ირგვლივ; 500-დან 600 -მდე კაცის განთავსების უზრუნველყოფის პოტენციალი მომავალ 3-5 წელიწადში; კვების, სატრანსპორტო მომსახურების, მეგზურობის ადგილობრივ მომწოდებელთა ქსელის განვითარების შესაძლებლობა; ვიზიტორების მოზიდვა ზღვის სანაპიროებიდან; ტურიზმის სხვადასხვა მომსახურებების და შემოთავაზებების განვითარება 3 დაჯგუფება - ეთნოკულტურული; ბუნებაში თავგადასავლი; თოვლი და თხილამურებზე სრიალი სულ მცირე სამი ტურისტული ღირსშესანიშნაობის განვითარება: 1) სოფელი თავოს რეაბილიტაცია, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, რომელიც საბაგირო გზით აკავშირებს ხულოსთან; 2) ხიხანის ხეობა: მუზეუმი, სხალთის მონასტერი, ხიხანის ციხე; 3) გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი და კოტეჯების ქსელი ირგვლივ; აჭარის მთის კოტეჯების ქსელის განვითარება- მწყემსის ცხოვრება	ტრადიციული და თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიის შერწყმა; ავთენტურობის და კულტურული იდენტობის საფრთხეებთან დაკავშირებული რისკები; ადგილობრივი მომსახურების გამოცდილებისა და ვიზიტორთა მოლოდინების და მოთხოვნების გაგების ნაკლებობა, რაც იწვევს ტურისტების დაკარგვას; კლიმატური ცვლილებები/გლობალური დათბობა და კლიმატური ცვლილებების უცნობი გავლენა ტურიზმის საქმიანობასთან (ძლიერი წვიმები, უჩვეულო და ხშირი ცხელი დღეები, ა.შ.) ბუნებრივი კატასტროფები და არარეგისტრირებული შენობა და სამშენებლო უბნები; შეზღუდული წვდომა ფინანსებზე; სპორტისა და აქტიური დასვენებისთვის საჭირო სამაშველო და სადაზღვევო სისტემის არ არსებობა

რეკომენდებულია, ფოკუსირება მოვახდინოთ ტურისტული ადგილების განვითარებაზე ოთხ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე - ხეობებში: 1. ხულო და სოფელი თავოს; 2 ხიხანის ხეობა სხალთის მონასტრითა და ხიხანის ციხით; 3. ღორჯომის ხეობა და სოფლები ტრადიციული ხის არქიტექტურით; 4 გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი და გოდერძის უღელტეხილი).

ადგილობრივი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიხედვით, წლიდან წლამდე გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა, თუმცა ძალიან ნელი ტემპით (140 ვიზიტორი მხოლოდ 2018 წლის აპრილის თვეში). შესწავლილი ადგილობრივი უნარები, მომსახურების ხარისხი და განთავსების სტანდარტები, ასევე კონკურენტული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალია და არ იქნება საკმარისი

განვითარების მიზნების მისაღწევად, გარე ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.



ტურისტული საინფორმაციო ცენტრი დაბა ხულოში

მცირე საგრანტო ინვესტიციის რეკომენდებული დიაპაზონი ადგილობრივ ტურიზმში

ტურიზმის განვითარების მიზნებისა და ადგილობრივი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, კაპიტალდაბანდების ყველაზე შესაფერისი ფორმაა

ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტისა (მომსახურების ხელშეკრულებების საშუალებით) და ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერის კომბინაცია მცირე საგრანტო პროგრამით. მომსახურების ხელშეკრულებები და მცირე საგრანტო ბენეფიციარების შერჩევა უნდა მოხდეს კონკურენტული შერჩევის პროცესის მიხედვით. საგრანტო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს როგორც შემხვედრი ფინანსირების კონტრიბუციას, ასევე შენატანს საქონლისა თუ მომსახურების ფორმით. მისაღები განმცხადებელი შეიძლება იყოს ადგილობრივი საოჯახო სასტუმროს მფლობელი, რომელიც დაინტერესებულია საკუთრების გაფართოებით, ახალი მომსახურების ობიექტების მიმატების გზით (მაღაზია, სამზარეულო, სასადილო, კაფეტერია) ან არსებული "საწოლის ტევადობის" გაზრდით, არსებულ სახლში ნომრების (ოთახების) მიმატების გზით.

ადგილობრივი ტურიზმის ერთ-ერთი უდიდესი ღირებულება უკავშირდება ტრადიციულ "აჭარულ სოფლებს" და ხის სახლების შესანიშნავ არქიტექტურას. ეს ის მემკვიდრეობაა, რომელიც საჭიროებს პატივისცემას და დაცვა-შენახვას. ამდენად, ტრადიციული საცხოვრებლის მოდიფიკაციაში ნებისმიერი ინვესტირების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ განმცხადებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს არქიტექტურულ პროექტზე და მშენებლობის ნებართვაზე სათანადო ბიზნეს გეგმასთან ერთად.

ტურიზმთან დაკავშირებული მეწარმეობის მხარდაჭერა სოფლად

რეკომენდებული ინვესტიცია განთავსების ერთეულისთვის აშშ დოლარში

ინვესტიცია თითო საწოლზე/კაცზე:	არსებულის რეაბილიტაცია	არსებული გაფართოება	ნაგებობის
მცირე სასტუმროში	8000	25000	
საოჯახო სასტუმროში	4000	10000	
საერთო საცხოვრებელში	3000	6000	
რეკომენდებული ინვესტიცია ერთი ტურისტული ობიექტისთვის აშშ დოლარში			

საწარმოს ტიპი	არსებულ შენობაში	ახალი ნაგებობა
რესტორანი/კაფე სოფელში	12500	25000
სასურსათო მაღაზია/ მაღაზია	7500	15000
სამგზავრო ნივთების მაღაზია/ ღია ცის ქვეშ განთავსებადი ტექნიკის დაქირავება	7500	15000
სუვენირების და ხელნაკეთი ნივთების მაღაზია	7500	15000

ტურიზმი სოფლად- ამოცანები და აქტივობები

ადგილობრივი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიხედვით, ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა წლიდან წლამდე, თუმცა ძალიან ნელი ტემპით (140 ვიზიტორი მხოლოდ 2018 წლის აპრილის თვეში). შესწავლილი ადგილობრივი უნარები, მომსახურების ხარისხი და განთავსების სტანდარტები, ასევე კონკურენტული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალია და არ იქნება საკმარისი განვითარების მიზნების მისაღწევად, ENPARD ხულოს პროექტის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

მთელი რიგი ქმედებებია განსახორციელებელი: დაწყებული დანიშნულების ადგილების ჯაჭვის განსაზღვრიდან (ესენია, აჭარის მთების გამორჩეული ადგილები, ავთენტური, მიმზიდველი და „შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული“ აქტივობებით), რეკლამირება, გადამზადება, ინვესტირება და მართვა. სოფლის ტურიზმში თითოეული აქტივობა შერჩეულია თითოეული პრიორიტეტული მიზნის მიხედვით.

ამოცანა 1.1 სოფლის ტურიზმის რესურსების იდენტიფიცირებისა და დანიშნულების ადგილების განვითარების ხელშეწყობა.

დასაბუთება - ტურიზმის დანიშნულების ადგილები ტურიზმის განვითარების „განმაპირობებელ

ფაქტორებს“ წარმოადგენს. ხელმისაწვდომი რესურსების კარგი ცოდნა და კონკურენტული უპირატეოსებების კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს ათვლის წერტილს ბაზრის მიერ მოთხოვნილი ტურიზმის პროდუქტების შესაქმნელად. მთავარი დანიშნულების პუნქტების შერჩევისას უნდა მოხდეს ტურიზმის პროდუქტების განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორის გათვალისწინება.

სტრატეგიული აქტივობა 1.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ადგილობრივი ტურიზმის რესურსების შესწავლისა და დანიშნულების ადგილების მართვის გეგმის შედგენის ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	ტურისტული დანიშნულების ადგილების დადგენა და ტურისტული რესურსების შეფასება. მომსახურების მომწოდებელთა და ტურისტული ობიექტების ინვენტარიზაცია საჭირო აქტივობები: ა) საუკეთესო ტურისტული დანიშნულების ადგილები და მათი დაკავშირება მარშრუტებით. ბ) ტურიზმის მომსახურების მომწოდებელთა ინვენტარიზაციის შემუშავება, მოგზაურობის საშუალებების აღწერა, ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების საჭიროებები. გ) პირველადი დანიშნულების ადგილების "კონტენტის" შემუშავება და ავთენტური პოზიციონირება დ) ინფორმაციის შეგროვება და ტურიზმის მონაცემთა ბაზის შექმნა ე) ადგილობრივი სერვისის მიმწოდებლების კონტაქტების შერჩევა, რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკურენტუნარიანი მომსახურების მიწოდების წინაპირობებს და მათი ჩართვის ხელშეწყობა დანიშნულების მართვის გეგმის (DMP) შემუშავებასა და განხორციელებაში.

ძირითადი მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ი	შემოთავაზებული მარშრუტების და დანიშნულების ადგილების ირგვლივ მცხოვრები თემები; ტურ ოპერატორები და ინდივიდუალური მოგზაურები, რომლებიც დაინტერესებული არიან ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით; გოდერძის სათხილამურო კურორტის ადმინისტრაცია; ადგილობრივი მუზეუმები; ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები და ფუნქციონირებადი მონასტრები
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს LAG-და პარტნიორი საკონსულტაციო ჯგუფები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განსახორციელებლად ხულოს LAG-ი: (1) შექმნის მოხალისეობრივ ჯგუფს, რომლებიც იმუშავებენ ქვე-აქტივობებზე (2) აქტივობებისთვის კონტრაქტორი საკონსულტაციო კომპანიის მხარდაჭერისთვის ფონდების მოძიება (3) შედეგებზე დაყრდნობით დანიშნულების ადგილების მართვის გეგმის შემუშავება და ყველა დაინტერესებული ტურისტული ინდუსტრიის ჩართვა მომზადების პროცესში.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია:	ბათუმსა და თბილისში მომუშავე ტურ-ოპერატორები; ტურიზმის ეროვნული სააგენტო; ხულოს მერია; აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აჭარის ტურიზმისა და კურორტების განვითარების დეპარტამენტი
განხორციელების ვადა	Q3-Q4 2018
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	ყველაზე რეალური რესურსები შესახებ საინფორმაციო ნუსხის შედგენა, სულ მცირე ერთი საუკეთესო სავაჭრო დანიშნულების ადგილის განსაზღვრა;

	პოპულარიზაციისა და მარკეტინგისთვის გამოსაყენებელი შინაარსი და აღწერილობები; მცირე საგრანტო ინვესტიციის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით საუკეთესო ადგილების და მომწოდებლების სიის შედგენა; LAG-ი შეიმუშავებს დესტინაციის მართვის გეგმას მარშრუტების/დესტინაციების შესწავლისა და დოკუმენტურად ასახვის მიზნით და კერძო სექტორის ჩართულობის ხელშესაწყობად. შერჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილების რაოდენობა; DMP- ში ჩართული ტურისტული კომპანიების რაოდენობა;
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 1.2 – ხულოს სოფლის ტურისტული შესაძლებლობების მარკეტინგი და რეკლამირება

დასაბუთება – ვინაიდან ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარის რეგიონიდან სტუმრების მხოლოდ 0.4% იზიდავს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა ადგილობრივი შესაძლებლობების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. კონკრეტულად, ხულოსა და აჭარის მთების იმიჯის შექმნა, როგორც ახალი აღმოჩენების ადგილისა, სადაც უძველესი ისტორია, ავთენტური ტრადიციები, პირველქმნილი ბუნება და ახალი თავგადასავლების შესაძლებლობები დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ქმნიან, ისეთ სლოგანთან ერთად, როგორიცაა - "აღმოაჩინე აჭარის მთის საიდუმლოებები".

სტრატეგიული აქტივობა 1.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ხულოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის რეკლამირება და მარკეტინგის ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ავთენტური სურათების, "მხარდამჭერი ამბავის" და ეფექტური ქმედებების დადგენა. სარეკლამო მასალების ვიდეოების და ა.შ.

	წარმოება მთიანი აჭარის და განსაკუთრებით ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დანიშნულების ადგილების პოპულარიზაციისთვის. მარკეტინგის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება ადგილობრივი ღონისძიებების/ფესტივალების, ტურისტული ბაზრობების და გამოფენების ჩათვლით. მრავალფეროვანი სარეკლამო პროდუქტების შექმნა, ტრადიციული "იმიჯის შემქმნელი" ბეჭდური პუბლიკაციის გამოყენებით, მაგრამ უფრო მეტად ინოვაციური ელექტრონული სოციალური-მედია არხების გამოყენებით -რომლებიც მოკლე ვიდეოებს გააკეთებენ სათავგადასავლო მოდურ სპორტებზე კულტურული გამოცდილების გაზიარებასთან ერთად; "ბლოგერების ახალი ამბების" შექმნა, ინფორმაციის გაზიარება დანიშნულების ადგილებსა და მოსახლეობას შორის, ონ-ლაინ სურათების და მედია და ა.შ. ატვირთვა; ტურ-ოპერატორებისთვის გაცნობითი მოგზაურობების ორგანიზება, სარეკლამო მასალების პრეზენტაცია ეროვნულ და რეგიონულ ბაზრობებზე. DMP-ის ფარგლებში ჩატარებული სარეკლამო კონცეფციის შექმნა.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	საერთაშორისო სამოგზაურო კომპანიები, ჩამომსვლელი ტურ-ოპერატორები, ადგილობრივი დანიშნულების ადგილების პრომოუტერები, ადგილობრივი მომსახურების მომწოდებლები, საჯარო ინსტიტუტები, რომლებიც საზოგადოებას უზიარებენ

	სარეკლამო ინფორმაციას და ა.შ.
პასუხისმგებელი პირები	ხულოს LAG-ი, DMP -ის მხარდაჭერის გუნდი, კონტრაქტით დაქირავებული სარეკლამო კომპანია
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განსახორციელებლად ხულოს ლაგი: (1) შეიმუშავებს მარკეტინგისა და რეკლამირების სამოქმედო გეგმას; (2) ფონდების მოძიებით პარტნიორებს თხოვს სარეკლამო მასალის მომზადებას; (3) ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კერძოდ ღონისძიებების ორგანიზებას (მაგ. ფონდების მოძიება და ადგილობრივი სათავგადასავლო ტურისტული გამოფენების ორგანიზება); (4) ორგანიზებას გაუწევს FAM-ს; (5) ხელს შეუწყობს სარეკლამო მასალების ეფექტურ გავრცელებას
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ჩამომსვლელი ტურ-ოპერატორები; ტურიზმის ეროვნული სააგენტო; ხულოს მერია; აჭარის ა / რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აჭარის ტურიზმისა და კურორტების განვითარების დეპარტამენტი
განხორციელების ვადა	Q2-Q3 2019
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაზრდილი ცნობიერება და სლოგანის შექმნა "აღმოაჩინე აჭარის მთის საიდუმლოებები". ტურ-ოპერატორთა სამოგზაურო მარშრუტებში აჭარის რეგიონის გათვალისწინება უფრო ინტენსიურად ზღვის სანაპირო ზოლიდან ჩამოსულ ვიზიტორთა რაოდენობა განხორციელებული სარეკლამო საქმიანობის რაოდენობა და ტიპი
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 1.3 – ადგილობრივი ტურისტული ბიზნესების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა.

დასაბუთება – ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწათმოქმედებითაა დაკავებული და ძალიან შეზღუდული გამოცდილება აქვს ტურიზმში. აქედან გამომდინარე, ტურიზმში წარმატებული კაპიტალდაბანდების საკვანძო წინაპირობაა ტრენინგების უზრუნველყოფა და პოტენციალის გაზრდა, იმის გათვალისწინებით, რომ ის მაღალ კონკურენტული მომსახურების ინდუსტრიაა. ტურიზმის საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა ადგილობრივი განვითარებისთვის, უნდა დაეფუძნოს აგრო-ტურიზმის, ეკო ტურიზმის, სათავგადასავლო ტურიზმის ასპექტებს.

სტრატეგიული აქტივობა 1.3.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ტექნიკური დახმარება, რომელიც მიმართულია სასტუმროების ბიზნესზე, აგროტურიზმზე, ეკო-ტურიზმზე, სათავგადასავლო სპორტსა და ადგილობრივ ტურ-ოპერატორებზე.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ტრენინგები ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების/მცირე სასტუმროების მფლობელებისთვის, ობიექტების დიზაინი და სტანდარტები, ძირითადი საქმიანობის დაგეგმარება, სასტუმრო მომსახურებები, პოპულარიზაცია ელექტრონული დაჯავშნის პლატფორმების გამოყენებით და ა.შ. ინტენსიური ტრენინგებისა და პოტენციალის გაზრდისკენ მიმართული სავარჯიშოების გზით ჩამოსაყალიბებელი სპეციფიკური უნარებია: ა) სასტუმრო ინდუსტრია (მცირე სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, კვების მომსახურება); ბ) სათავგადასავლო აქტიური

	დასვენების მეგზურობა (ტრეკინგი, ველოსიპედით სრიალი, ცხენზე ჯდომა, ჯომარდობა, თხილამურებით სრიალი); გ) კულტურული ღირსშესანიშნაობების ინტერპრეტირება და ეთნოგრაფია.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი გამყიდველები - სერვისის მომწოდებლები: საცხოვრებელი ადგილების და კვების ობიექტების მფლობელები; ადგილობრივი გიდები, ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლები, დანიშნულების ადგილების ღირსშესანიშნაობების ზედამხედველები და მუზეუმის თანამშრომლები
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს LAG-ი, მოწვეული ექსპერტები, ტურისტული კომპანიები ტრენინგების ჩატარების გამოცდილებით, DMP-ის მხარდაჭერის გუნდი
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განსახორციელებლად ხულოს ლაგი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტურიზმის სექტორის საწარმოებსა და მათ თანამშრომლებს, რათა უზრუნველყონ სესიების ორგანიზება სტუმართმოყვარეობის ბიზნესის, აგრო ტურიზმის, ეკო-ტურიზმის, სათავგადასავლო სპორტის მომსახურებების შესაძლებლობების განვითარებისთვის. ამასთან, ხულოს LAG-ი უზრუნველყოს ტერმინგ/გადამზადების სესიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	სათხილამურო კომპანია "გოდერძი", ფუნქციონირებადი

	სასტუმროები რეგიონებიდან, ოფიციალური პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრები, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
განხორციელების ვადა	Q4, 2019 – Q2 2020
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი, საქმიანობის წარმოების გაუმჯობესებული პრაქტიკა; მომსახურების მრავალმხრივი განვითარება; გაზრდილი ნეთვორკინგი; დანიშნულების ადგილების მიმზიდველი იმიჯი, რომელიც უფრო მეტ დამთვალიერებელს იზიდავს.
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 1.4 – დანიშნულების ადგილების მართვის გეგმის მიხედვით სამიზნე ადგილების მართვის ხელშეწყობა.

დასაბუთება – გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მიდგომის უზრუნველსაყოფად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მცირე აღმასრულებელი ერთეულის შექმნას - დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO), რომელსაც ზედამხედველობას გაუწევს LAG-ი და პასუხისმგებელი იქნება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ინიციატივების ადგილობრივ განხორციელებაზე, დესტინაციის მართვის გეგმასა და მის ქვე-გეგმებსა და ქმედებებზე დაფუძნებით. DMO შეიძლება შეიქმნას ENPARD-ის ხულოს პროექტის მოთხოვნით, როგორც პროექტის გუნდის განუყოფელი ნაწილი (დროებითი გადაწყვეტილება) ან შერჩეულ ადგილობრივ ორგანიზაციასთან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

სტრატეგიული აქტივობა 1.4.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ადგილობრივი ტურისტული დანიშნულების ადგილის ორგანიზაციის (DMO) შექმნის ხელშეწყობა, რომელიც იქნება

	ადმასრულებელი ორგანო ლაგის ხედამხედველობით.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	მუნიციპალურ დონეზე ძალიან შეზღუდული ადგილობრივი საქმიანობის შესაძლებლობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ LAG-მა ჩამოაყალიბოს მცირე ჯგუფი (2-3 კაციანი) კონკურენტულ გარემოში შერჩეული თანამშრომლებიდან, რომელთაც ექნებათ საკმარისი პოტენციალი და გამოცდილება პროექტის საქმიანობის მხარდასაჭერად. მოსალოდნელია, რომ LDS-ის განხორციელების დანიშნულების ადგილის მართვის ჯგუფმა (DMO) მიიღოს გამოცდილება და რესურსები იმისთვის, რომ მისი საქმიანობა გადაიტანოს DMC-ში (დანიშნულების ადგილის მართვის კომპანია) პროექტის დასრულების ეტაპზე. LAG-ის ადმასრულებელმა საბჭომ უნდა განსაზღვროს ჯგუფის ფუნქცია.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოს ადგილობრივი თემი, ადგილობრივი ტურიზმის მომწოდებლები და ოპერატორები, ტურისტები და ტურისტული კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ხულოს მუნიციპალიტეტში სტუმრობით და საქმიანობით.
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს LAG-ი და ადგილობრივი ტურიზმის მომწოდებლები და ტურ-ოპერატორები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ქვეშ, ხულოს LAG-ი შექმნის სამუშაო ჯგუფს DMO (ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების ორგანიზაცია), რომელიც შედგება 2-3 წევრისგან, რომ

	გააკონტროლოს და განახორციელოს DMP (დანიშნულების ადგილების მართვის გეგმა). ორგანიზაცია პოტენციურად უნდა გარდაიქმნას კომპანიად, კერძო პირად რომელიც სამომავლოდ განვითარდება და განახორციელებს მართვის გეგმას კომერციულ საფუძველზე, რაც მდგრადს გახდის დანიშნულების ადგილების მართვის ორგანოს.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	სამთო კურორტების სააგენტო, აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
განხორციელების ვადა	Q2-Q3, 2020
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა; LAG-ის პროფესიონალური და მუდმივი დასწრება ტურისტულ ბაზრობებსა და ღონისძიებებზე; ტურისტულ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება მთიანი აჭარის შესახებ. დესტინაციის მართვის გეგმის მდგრადი განხორციელება.
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 1.5 – ინოვაციური ტურისტული ბიზნესის შექმნისა და არსებული ტურისტული აქტივობების ხელშეწყობა.

დასაბუთება – პირდაპირი დაფინანსების საშუალება (მცირე გრანტები) არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას LDS-ის მიზნების მიღწევა. პირდაპირი ინვესტიციების კომპონენტი დაფუძნებული უნდა იყოს კონკურენტული შერჩევის პროცესზე, რაც უნდა ახდენდეს ადგილობრივი მოსახლეობის მოტივირებას და აძლევდეს შესაძლებლობას მიაღწიონ დაწესებულებების და მომსახურებების გაუმჯობესებას,

რათა ბაზარზე ტურისტული შემოთავაზებები კონკურენტუნარიანი გახადონ

სტრატეგიული აქტივობა 1.5.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მცირე გრანტები ტურისტული ბიზნესებისთვის
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	მოსალოდნელია ორი ტიპის მცირე საგრანტო განაცხადი: 1. გრანტის მოთხოვნა საჯარო აქტივობების გასაუმჯობესებლად დანიშნულების ადგილებში, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივების და ვიზიტორების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (გაუმჯობესებული მისასვლელი გზა, მიმათიებული ნიშნების ინტერპრეტირება და მათ შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა, წყალმომარაგება და სანიტარია, საჯარო სივრცე, ტუალეტები და ა.შ.) 2. გრანტის მოთხოვნა ინდივიდუალური მეწარმეობის გასაუმჯობესებლად, სადაც გრანტი ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის გაფართოებას, როგორცაა განსახლება, კვება, გიდის მომსახურება, ტრანსპორტი. მოთხოვნილ უნდა იქნას საკუთარი თავის ხელშეწყობა შემხვედრი დაფინანსების სახით. ფოკუსირება უნდა მოხდეს ფესტივალების, გამოფენებისა და ა.შ. ორგანიზებაზე.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი სათემო ჯგუფები; ადგილობრივი არასამთავრობოები, კერძო პირები; ადგილობრივი

	დარეგისტრირებული მცირე მეწარმეები; ინდივიდუალური მეწარმეები.
პასუხისმგებელი ორგანოები/პირები	LAG/DMO, გრანტის მიმღებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულო LAG მონაწილეობას მიიღებს გრანტის შერჩევის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	სამთო კურორტების სააგენტო; აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
განხორციელების ვადა	Q3-Q4, 2020
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	სერვისების ხარისხის და პოტენციალის გაუმჯობესება; დესტინაციის ადგილებში ადგილობრივებისთვის და მუნიციპალიტეტის დამთვალიერებელი ტურისტებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; დივერსიფიცირებული და ინოვაციური ტურისტული სერვისები; გრანტის მიმღებთა და მათი ჯანსაღი ფინანსური მაჩვენებლების გარკვეული რაოდენობა
პრიორიტეტი	მაღალი

ცხრილი 6 - შეფასებითი ფინანსური განაწილება სოფლის ტურიზმისთვის¹⁰

მიზნები	O1.1 (5%)	O1.2 (10%)	O1.3 (5%)	O1.4 (3%)	O1.5 (70%)
საქმიანობები	A.1.1	A.1.2	A.1.3	A.1.4	A.1.5
შიდა-ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა	2%				
საექსპლუატაციო და განხორციელების ხარჯები	5%				
სულ	100%				

¹⁰ სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტიდან

2. სოფლის მეურნეობა



ხულოს მუნიციპალიტეტში ფერმერთა უმეტესობას აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საშუალო ფართობით 0.5-დან 1 ჰა-მდე. ხულოში კულტივირებული მიწის საშუალო ფართობი შეადგენს 0.19 ჰა-ს¹¹. ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 96% დაკავებულია სოფლის მეურნეობით და ამ სექტორის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 21 696 ჰექტარს, საიდანაც 69 პროცენტი საძოვრებს უკავია. მიწების დარეგისტრირების საკითხი კვლავ დიდ პრობლემად რჩება, მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 20% -ს აქვს სასოფლო სამეურნეო მიწა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. საირიგაციო სისტემა ხელმისაწვდომია მხოლოდ 653 ჰექტარზე და სჭირდება რეაბილიტაციას.

ცხრილი 7 – სასოფლო-სამეურნეო მიწა ტიპის, ადმინისტრაციული ერთეულისა და მოსახლეობის მიხედვით

ადმინი სტრაცი ული ერთეუ ლი	კომპლექსის რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები				
			სულ	სახნავი მიწა (ha)	მრავ ალწ ლია ნი ნარგ ავებ ი (ha)	სათიბი მიწები (ha)	საძოვ არი მიწებ ი (ha)
დაბა ხულო	401	1250	7	6,8	0,2	0	0
ფუშრუ კაული	290	1454	805	107	2	213	483
აგარა	232	962	874	78,5	0,5	219	576
საციხუ რი	331	1397	953	101	1	224	627
სხალთ ა	627	3265	1042	255,5	4,5	118	664
ვაშლოვ ანი	946	3143	1206	218	16	144	828
ხიხაძი რი	462	1754	1217	141,5	5,5	311	759
რიყეთი	567	2462	1439	231,2	5,8	239	963
თხილვ ანა	439	1873	1527	116,5	0,5	213	1198
დიდაჭ არა	605	2528	2061	180	3	406	1471
დიოკნ ისი	1229	4255	2267	375	12	621	1259
დეკანა შვილებ ი	1797	6458	2879	340,2	13,3	571,5	1954
ლორჯო მი	827	3714	5414	294,5	5,5	891	4223
სულ	8753	34515	21691	2445,7	69,8	4171	15005

ერთწლიანი კულტურების წარმოება გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტის თემებში. თუმცა, არსებობს სხვადასხვა ტიპის პროდუქტები, რომლებიც იწარმოება თითოეულ თემში, რაც დამოკიდებულია ხელმისაწვდომ სახნავ მიწასა და ოჯახების რაოდენობაზე.

ცხრილი 8 - სახნავი მიწის საშუალო ფართობი ერთ ოჯახზე თითოეულ თემში

თემი	კომპლექსის რაოდენობა	მოსახლეობა	სახნავი მიწა (ha)	საშუალოდ ერთ ოჯახზე (ha)
დაბა ხულო	401	1250	6,8	0,02
დეკანაშვილები	1797	6458	340,2	0,19
ვაშლოვანი	946	3143	218	0,23

¹¹ FAO - სასოფლო სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და გაფართოვების საჭიროება 2017

თხილვანა	439	1873	116,5	0,27
დიდაჭარა	605	2528	180	0,30
დიოკნისი	1229	4255	375	0,31
საციხური	331	1397	101	0,31
ხიხამირი	462	1754	141,5	0,31
აგარა	232	962	78,5	0,34
ლორჯომი	827	3714	294,5	0,36
ფუშრუკაული	290	1454	107	0,37
სხალთა	627	3265	255,5	0,41
რიყეთი	567	2462	231,2	0,41
სულ	8753	34515	2445,7	0,29

თითო კომლზე სახნავი მიწის ფართობის მიხედვით, თემები შეიძლება დაიყოს სამ სხვადასხვა ჯგუფად:


1. ჯგუფი I – დაბა ხულო, დეკანაშვილები, ვაშლოვანი;
2. ჯგუფი II –თხილვანა, დიდაჭარა, დიოკნისი, საციხური, ხიხამირი, აგარა;
3. ჯგუფი III –ლორჯომი, ფუშრუკაული, სხალთა, რიყეთი

ცხრილი 9 –თითო ოჯახზე სახნავი მიწის ფართობის მიხედვით დაჯგუფებული თემები


პირობითი ჯგუფი	კომლების რაოდენობა	მოსახლეობა	სახნავი მიწა (ha)	საშუალოდ ერთ კომლზე (ha)
I ჯგუფი	3144	10851	565	0.15
II ჯგუფი	3298	12769	992,5	0.31
III ჯგუფი	2311	10895	888,2	0.39
სულ	8753	34515	2445,7	0.28

სახნავი მიწები ტრადიციულად ერთწლიანი კულტურებისთვის გამოიყენება. 2017 წელს მოწეული კულტურების საერთო რაოდენობიდან 96 პროცენტს კარტოფილი შეადგენს (89.4 პროცენტი) და სიმინდი (6.6 პროცენტი).

სურათი 2 – ერთწლიანი კულტურების (კარტოფილი და სიმინდი) მოსავლის (ტონა) განაწილება სათემო ჯგუფების მიხედვით (2017)¹²



სურათი 3 – ერთწლიანი ძირითადი კულტურების(კარტოფილისა და სიმინდის გარდა) მოსავლის (ტონა) განაწილება სათემო ჯგუფების მიხედვით (2017)¹³




ჯგუფი II-ის მიერ მოსავლის მაღალი რაოდენობა სხვა ჯგუფებთან შედარებით აიხსნება უფრო მეტი სახნავი მიწის ნაკვეთით.

2017 წელს კარტოფილის საბითუმო ფასის (0.6 ლარი/კგ), წარმოებისა და ტრანსპორტირების ხარჯის (დაახლოებით 5000 ლარი ერთ ჰექტარზე) და ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლის (25 ტონა) გათვალისწინებით, ერთ ოჯახზე სათემო ჯგუფების მიერ კარტოფილიდან მიღებული მოგების შესახებ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

¹² წყარო: აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო


¹³ წყარო: აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სურათი 4 – სათემო ჯგუფების მიერ კარტოფილის წარმოება (ტონა) და წლიური საშუალო მოგება (ათასი ლარი) ერთ ოჯახზე (2017)



2017 წელს სიმინდის ფქვილის საბითუმო ფასის (1.2 ლარი/კგ), დაფქვის ხარჯებისა (0.1 ლარი/კგ) და წარმოების ხარჯის (დაახლოებით 1242 ლარი ჰექტარზე), ტრანსპორტირების და საშუალო მოსავლის (2.1 ტონა) გათვალისწინებით, ერთ ოჯახზე სათემო ჯგუფების მიერ სიმინდის ფქვილიდან მიღებული მოგების შესახებ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

სურათი 5 – სათემო ჯგუფების მიერ სიმინდის წარმოება (ტონა) და წლიური საშუალო მოგება (ათასი ლარი) ერთ ოჯახზე (2017)



შესაბამისად, კარტოფილის წარმოება ფინანსურად უფრო მიმზიდველია, ვიდრე სიმინდის წარმოება. თუმცა, კარტოფილის წარმოება უკავშირდება შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- დაავადებები (კარტოფილის კიბო);
- ნარგავების დაბალმოსავლიანობა;
- თესლეულის წარმოება და მოწოდება;
- ცუდი ნიადაგი;

- ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე
- თანამედროვე აგრო-ტექნიკური საკმევანობის შესახებ


თესლეული – კარტოფილის მაგალითი

2015-2016 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტში აღმოჩნდა კარტოფილის კიბო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევის ცენტრის მიერ კარტოფილის კიბოზე ჩატარებული კვლევის მიხედვით, რეკომენდებულია კარტოფილის არსებული ძველი, უცნობი თუ გაურკვეველი რეპროდუქციული თესლის შეცვლა რჩული თუ მაღალპროდუქტიული სათესლე კარტოფილით. აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვე-პროგრამების ფარგლებში დაიგეგმა და დაიწყო თესლების გამოცვლის პროცესი (დაბალმოსავლიანი სანერგე მასალის ჩანაცვლება რჩული ან მაღალ მოსავლიანი სათესლე კარტოფილებით) 2017 წელს 101.5 ტონა „სილვანა“ – „ა“ კლასის კარტოფილის თესლი იქნა შეძენილი და მისი 95.5% გადაეცათ ადგილობრივ ფერმერებს შეძენილი თესლის სახელშეკრულებლო ღირებულების (1კგ - 1.95 ლარი) 70%-იანი ფასდაკლებით (1 კგ - 2.79 ლარი). ფერმერებს დაევაღათ ფასის დარჩენილი 30%-ის გადარიცხვა სახელმწიფო ხაზინაში. თანადაფინანსების იგივე პირობებით, ქვე პროგრამამ ასევე უზრუნველყო ფერმერები მინერალური და ორგანული (ბიო) სასუქებით. ყველაზე მაღალი მოთხოვნა იყო დიოკნისის, დეკანაშვილების, ღორჯომისა და რიკეთის თემების მხრიდან, რომლებიც კარტოფილის უმსხვილესი მწარმოებლები არიან (იხ. დანართი 6). ეს თემები აწარმოებენ მთელს მუნიციპალიტეტში კარტოფილის მოსავლის 65 პროცენტს.

აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფერმერებისთვის დარიცხულმა მაღალი ხარისხის თესლმა მოსავალი ერთ ჰექტარზე საშუალოდ 20%-ით გაზარდა (25 ტონიდან 30 -მდე ერთ ჰექტარზე). ახალი თესლიდან მოწეულ კარტოფილს ასევე კარგი ხარისხი და საგემოვნო თვისებები აქვს და გაყიდვის ფასი

საშუალოდ შედგენს 1 ლარი/კგ-ს. ქვემოთ მოცემულია ახალი და ძველი თესლების შედარების მოდელი:

სურათი 6 – სათემო ჯგუფების მიერ ძველი და ახალი თესლებიდან მიღებული მოსავალი (ტონა) და საშუალო წლიური მოგება (ათასი ლარი) ერთ ოჯახზე



შესაბამისად, ერთწლიანი კულტურების (მაგალითად კარტოფილის) წარმოების პროცესი, მაღალნაყოფიერი ნარგავების/სათესლე მასალის გამოყენებითა და აგრო-ტექნიკურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ შედეგებზე. ამ შემთხვევაში, მიმდინარე შედეგებთან შედარებით, მოგება იზრდება საშუალოდ 87%-ით, მიუხედავად იმისა, რომ მაღალმოსავლიანი თესლის შესყიდვის ხარჯი შეიძლება 4-ჯერ გაიზარდოს (სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე).

ტრანსპორტირება და მარკეტინგი – კარტოფილი

„ხულოში შესაძლებელია გაიხსნას საერთო ბაზარი, სადაც ფერმერები მიიტანენ თავიანთ კარტოფილს მანქანით, ფურგონით ან ტრაქტორით და საიდანაც სატვირთოებით ბათუმისკენ გადაზიდვდნენ მოსავალს. 5-6 ტონიანი სატვირთოების მფლობელები ჩვეულებრივ ითხოვენ 200 ლარს ტვირთის ბათუმში წასაღებად, რაც 0.03-0.04 ლარი/კგ-ის ექვივალენტურია და უფრო დიდმა, 20 -ტონიანი სატვირთოების მესაკუთრეებმა შეიძლება უფრო მეტად დაწიონ ერთეულის ფასი. აჭარის მასშტაბით კარტოფილის საერთო წარმოება, რომელიც წელიწადში 20 000 ტონას შეადგენს, და მრავალი წლის მანძილზე განხორციელებული მარკეტინგის პირობებში, მცირე რაოდენობის სატვირთოებს შეეძლოთ მთელი

მოსავლის გადაზიდვა, არა მხოლოდ ხულოდან, არამედ სხვა რეგიონებიდანაც. მსგავსი სისტემის ხარჯები მოიცავს კარტოფილის გადმოტვირთვის და ახლიდან დატვირთვის ხულოში და შესაძლო გასაუბრებას სხვა შუამავალთან, რომ გაწიოს რისკი და დაადოს მარჟა. ეს არაა კომპლექსური პროცესი, ასე, რომ ფერმერთა ჯგუფს შეეძლო უზრალოდ ეცადა ეს და ხულოს საზღვრებს გარეთ მეცხოველეობის ბაზარს შეეძლო უზღუნველყო სათანადო ადგილი კარტოფილით ვაჭრობისა და ტრანსპორტირებისთვის.“ - დრ-ი სტივ გოსი, UNDP აჭარის სოფლის მეურნეობის დარგობრივი კონკურენტუნარიანობისა და ექსპორტის რეკლამირების პოლიტიკის კვლევა (2014).

სამანქანო დანადგარები

კულტურების წარმოებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამედროვე ტექნიკის გამოყენება. ის უშუალო გავლენას ახდენს წარმოების ეფექტურობაზე. ხულოს მუნიციპალიტეტი ხასიათდება მცირე მიწის ნაკვეთებით, სასოფლო - სამეურნეო მიწის მთაგორიანი და ძნელად მისადგომი ლანდშაფტით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მცირე ზომის სასოფლო სამეურნეო დანადგარების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ადამიანურ სამუშაო დატვირთვას, გააუმჯობესებს გარკვეული საქმიანობების ეფექტურობას და საერთო შედეგის სახით - აამაღლებს ეფექტიანობას. ხულოში ფერმერები მიწას ძირითადად ხელით, გუთნის დახმარებით ამუშავებენ.



პროგრამის ფარგლებში „ფერმერების და სოფლის მეურნეობის მეწარმეების მხარდაჭერა მექანიზაციის ტექნიკით უზრუნველყოფის გზით“, რომელიც განახორციელა აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, დღემდე შეძენილია სხვადასხვა ტიპის სასოფლო სამეურნეო ძირითადი დანადგარის/ტექნიკის 409 ერთეული (უმთავრესად: კულტივატორი, კულტივატორი თივის საჭრელი აპარატით, საზიდარი) და გადაეცა ხულოს მუნიციპალიტეტის ფერმერებს მათი მხრიდან 30 %-იანი თანადაფინანსების საფუძველზე. 2018 წელს, იგივე პროგრამის ფარგლებში, იგეგმება თივის მჭრელი მექანიზმის მქონე სულ მცირე 70 ერთეული კულტივატორის და 100 სარწყავი დანადგარის გადაცემა ხულოს ფერმერებისთვის.



ცხადია, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც დარიგდა სამთავრობო პროგრამის ფარგლებში არაა საკმარისი არსებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის, თუმცა მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესახებ ამაღლებული ცნობიერება, ასევე მუნიციპალიტეტში მათზე გაზრდილი მოთხოვნა სასოფლო სამეურნეო წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მდგრადობის მაჩვენებელია.

მუნიციპალიტეტში ოჯახების დაახლოებით 4 პროცენტს აქვს მრავლანი კულტივატორები და სასოფლო სამეურნეო ტექნიკისთვის ხულოში არ არსებობს სარემონტო ცენტრი, რაც ფერმერებს მოტორიზებული კულტივატორების შეკეთების და/ან სათადარიგო ნაწილების ყიდვის საშუალებას მისცემდა.

ამას გარდა, ხულოში არ მოიძებნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მშრალი ან ცივი შესანახი ობიექტები, რაც ფერმერებს მისცემდა პროდუქტების


შენახვის შესაძლებლობას სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად და პროდუქტების გაყიდვისას უპირატესობა ექნებოდათ სასურველი ფასით პროდუქტის გაყიდვისას შესაბამისი სეზონურობის გათვალისწინებით

მრავალწლიანი კულტურები

უმეტეს შემთხვევაში, მრავალწლიანი კულტურებს სათიბ მიწებზე და ეზოებში რგავენ. მრავალწლიანი კულტურებით დაფარული ფართობი, კერძოდ ბაღების სახით, 69.8 ჰა-ს შეადგენს. ერთ ოჯახზე, მრავალწლიანი კულტურით დაფარული მიწის საშუალო ფართობი 0.06 ჰა-ს უტოლდება. მრავალწლიანი კულტურების ეკონომიკური რენტაბელურობა მეტად შეზღუდულია.

2013-დან 2017 -მდე პერიოდში აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ფერმერებს დაურიგდათ თხილის, კაკლის, მოცვისა და კივის ნერგები. რის შედეგადაც, 414-მა ბენეფიციარმა ოჯახმა დაამუშავა მრავალწლიანი კულტურებით სავსე ბაღები, სულ ჯამში, 51.28-ჰა ფართის მქონე, რაც მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი კულტურებით დაფარული საერთო ფართობის 10.5 პროცენტს შეადგენს.

სურათი 7 - 2013-2017 წლებში დარგული მრავალწლიანი კულტურები მიწის ნაკვეთის ფართობისა (ჰა) და თემების მიხედვით



ნერგების ტიპებთან დაკავშირებული გამოსახულება მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 10 - 2013-2017 წლებში დარგული მრავალწლიანი კულტურები მიწის ნაკვეთის ფართობის (ჰა), ტიპისა და თემების მიხედვით¹⁴


ადმინისტრაციული ერთეული	საერთო	კაკალი	თხილი	მოცვი	კივი
	ფართობი	ფართობი	ფართობი	ფართობი	ფართობი
აგარა	0,53	0,13	0,4	0	0
დაბა ხულო	1,05	0,15	0,7	0,02	0,18
დეკანაშვილები	20,53	7,65	11,68	0,73	0,47
დიდაჭარა	1,37	0,20	1,11	0,04	0,02
დიოვნისი	9,88	3,67	5,41	0,78	0,02
ვაშლოვანი	5,23	1,57	3,52	0,07	0,07
რიყეთი	4,15	1,36	2,73	0,06	0
საციხური	1,13	0,23	0,9	0	0
სხალთა	3,38	2,74	0,5	0,14	0
ფუშრუკაული	1,05	0,10	0,95	0	0
ხიხაძირი	1,42	0,77	0,65	0	0
ლორჯომი	1,11	0,12	0,8	0,19	0
თხილვანა	0,45	0,00	0,45	0	0
სულ	51,28	18,69	29,80	2,03	0,76

კენკროვანი კულტურების მოშენება მუნიციპალიტეტში მხოლოდ 2013 წელს დაიწყო. ამჟამად, 110 ოჯახს აქვს დამუშავებული მოცვის და ჟოლოს კულტურები სულ 2.03 ჰექტარ მიწაზე.



ერთ ჰექტარზე მიღებული მოსავლის, საბითუმო ფასების, ერთ ჰექტარზე წარმოების ხარჯების გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი მოდელი მიესადაგოს კაკალს, მოცვსა და კარტოფილს:

სურათი 8 - (2017) ერთ ჰექტარზე მრავალწლიანი მარცვლოვანი კულტურისა (კაკალი, მოცვი) და ერთწლიანი სოფლის მეურნეობის კულტურის (კარტოფილი) წარმოებიდან მიღებული წლიური საშუალო მოგება (ლარში)



აღნიშნული მოდელი არ მოიცავს მრავალწლიანი კულტურების (კაკლის შემთხვევაში, კულტივაციის ხარჯი საშუალოდ 12 ათას ლარს შეადგენს)

¹⁴ წყარო: აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ერთჯერადი დამუშავების ხარჯებს, სასოფლო სამეურნეო და ტექნიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულ ხარჯებს და ნერგის მიერ ნაყოფის გამოღებამდე მოცდის პერიოდს (საშუალოდ წლიურად 4, 000 ლარი). თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, როდესაც მიწა დამუშავებულია და ნარგავი იძლევა ნაყოფს, კარტოფილის წარმოებასთან შედარებით, მრავალწლიანი კულტურებისგან (კაკალი და მოცვი) გამომუშავებული მოგება გაცილებით მაღალია. მრავალწლიანი კულტურების წარმოება შედარებით გრძელვადიანია, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ის არაა დიდად მიმზიდველი ადგილობრივი საოჯახო მეურნეობებისთვის, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებული მოსავლიდან მიღებულ წლიურ შემოსავალზე.

მსხვილფეხა საქონელი

მეცხოველეობა ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობაა ხულოს მუნიციპალიტეტში. შინაური საქონლის რაოდენობა 40,589-ია, რომლის 99 პროცენტს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეადგენს. დარჩენილ 1%-ს ძირითადად ფრინველი, ცხვარი და თხა წარმოადგენს. საოჯახო მეურნეობების 29% მისდევს მესაქონლეობას. ყველაზე მეტად ჭარბობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (საოჯახო მეურნეობების 70%-ია დაკავებული), რომელსაც მოსდევს მეფრინველეობა - 23 პროცენტით¹⁵. ოჯახების მიხედვით, პირუტყვის საშუალო რაოდენობა 2-დან 6 თავამდე მერყეობს. არცერთი საოჯახო მეურნეობა არ ფლობს შედარებით დიდი რაოდენობის რქოსან პირუტყვს (35-ზე მეტი). საშუალო წლიური ხორცის წარმოება შეადგენს 50 ტონას და რძე - 9,616 ტონას¹⁶. ხულოს მუნიციპალიტეტის 12 თემი (ვაშლოვანი, დეკანაშვილები, დიოკნისი, რიყეთი, დიდაჭარა, საციხური, აგარა, ღორჯომი, თხილვანა, ხიხამირი, ფუშრუკაული, სხალთა) იყენებს სუბ-ალპურ ტყეებს

და მიმდებარე ტერიტორიებს - ყოველწლიურად სამოვრებზე აგზავნიან საქონელს 3-4 თვით.¹⁷

ხულოს მუნიციპალიტეტი მაღალმთიან ზონაში მდებარეობს და ხანგრძლივი ზამთრით ხასიათდება. ამის გამო, მესაქონლე ფერმერებს უწევთ პირუტყვის შენახვა 5 თვის განმავლობაში ყოველწლიურად, რაც საკვების მარაგის მნიშვნელოვან ხელმისაწვდომობას მოითხოვს. ამ მიზნით, ფერმერები მუნიციპალიტეტის მიღმა ყიდულობენ საკვების მარაგს (ძირითადად კახეთის და ქვემო ქართლის რაიონებიდან) - საშუალოდ 50-55 კგ დაპრესილ თივას ერთ თავ საქონელზე. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ფერმერები პირუტყვის საკვებს საკუთარი რესურსების გამოყენების გზით ამზადებენ (სათიბი სამოვრები). მუნიციპალიტეტში იშვიათად გამოიყენება კომბინირებული საკვები პირუტყვისთვის, რაც პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. თუმცა, იმ შემთხვევებში, როცა ის გამოიყენება, საკვების კონცენტრატი ერევა შემენილ სიმინდის საკვებს (0.55 ლარი/კგ) და ხორბლის ქატოს (0.60 ლარი/კგ). მათი შერევა ხდება 50:50 პროპორციით (ან ზოგჯერ 30:70) საკმაოდ ერთგვაროვანი საკვების მისაღებად ღირებულებით 575 ლარი/ტ (\$320/ტ). სიმინდი უზრუნველყოფს ენერგიის მხოლოდ ნახევარზე მეტს და ხორბლის ქატო პროტეინის ორ მესამედს, რათა დამზადდეს დაახლოებით 12%-იანი პროტეინის შემცველობის დაბალი-ენერგეტიკულობის კონცენტრატი, რაც ჩვეულებრივ, არასაკმარისია მეწველი ძროხის პოტენციალის გასაზრდელად ადრეულიდან შუა ლაქტაციის პერიოდამდე¹⁸.

ხულოს მუნიციპალიტეტში, მესაქონლეობის მაჩვენებელი დიდად მერყეობს თემებს შორის როგორც რქოსანი პირუტყვის რაოდენობის, ისე სათიბ-სამოვარების მიხედვით. ღორჯომის თემს ყველაზე დიდი ფართობის სათიბ-სამოვრები აქვს პირუტყვის რაოდენობასთან ერთად.


¹⁵ FAO - სასოფლო სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და გაფართოვების საჭიროება 2017

¹⁶ წყარო: აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

¹⁷ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

¹⁸ დ-რი სტივ გროსი, UNDP, აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის შესწავლა, 2014

სურათი 9-საერთო სათიბ-სამოვრები და რქოსანი პირუტყვის რაოდენობა ერთ თემში (2017)¹⁹



მესაქონლეობის თვალსაზრისით, ხულოს თემები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

- **ჯგუფი 1** - ფუშრუკაული, ვაშლოვანი, დიდაჭარა, რიყეთი, სხალთა, დიოკნისი - აქ რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალია ხელმისაწვდომ სათიბ-სამოვრებთან შედარებით;
- **ჯგუფი 2** - აგარა, სადიხური, ხიხადირი და დეკანუზილები- აქ სათიბ-სამოვრების ფართობისა და რქოსანი პირუტყვის რაოდენობის თანაფარდობა შედარებით პროპორციულია;
- **ჯგუფი 3** - ლორჯომი და თბილვანა -აქ სათიბ-სამოვრების ფართობი აჭარბებს რქოსანი პირუტყვის რაოდენობას, რაც მესაქონლეობის გაზრდის პოტენციალზე მიუთითებს.

ამდენად, ლორჯომის, დეკანუზილების, დიოკნისის და დიდაჭარას თემებში მესაქონლეობის განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალია. მესაქონლეობის მთავარ გამოწვევებად რჩება: ხელოვნური განაყოფიერება²⁰,

დაავადებების პრევენცია და თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების (მათ შორის ტექნიკის) გამოყენება.

მუნიციპალიტეტში ვეტერინარული მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხი საკმაოდ შეზღუდულია. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ მცირე გაუმჯობესება შეინიშნებოდა გასული წლების განმავლობაში და არსებული ვეტერინარული მომსახურება არ აკმაყოფილებს მიმდინარე მოთხოვნას. 2017 წლის დასასრულისთვის, „კერძო ვეტერინარული განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, დაბა ხულოში აშენდა ვეტერინარული კლინიკა და გადაეცა ვეტერინართა კავშირს. ხულოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით, დაბა ხულოში განთავსებული ვეტერინარული კლინიკა უზრუნველყოფს მხოლოდ შეზღუდულ წვდომას ვეტერინარულ მომსახურებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოვრების ფართობი 15,005 ჰა-ს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტში საერთო სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობის 21,691 ჰა-ს 69%-ს შეადგენს. სამოვრების აბსოლუტური უმრავლესობა სუბალპურ და ალპურ ზონას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სამოვრების ტერიტორია ფართოა, ისინი არ განახლებულა ბოლო წლების განმავლობაში, და სწორედ ესაა მათი გაუარესების მიზეზი²¹. საოჯახო მეურნეობები, რომლებიც მესაქონლეობით არიან დაკავებული, მომთაბარეობას მისდევენ. განსაკუთრებით, ზაფხულის პერიოდიდან ნახირის მწყემსვა და მთებისკენ გარეკვა სექტემბრის მეორე ნახევრამდე გრძელდება. ამიტომ, სამოვრების მდგომარეობა და მისი სათანადო ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მესაქონლეობის ეკონომიკურ ეფექტიანობას. აჭარის ა/რ-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინფორმაციის მიხედვით, ბუნებრივმა, ანთროპოგენურმა ფაქტორებმა და კლიმატურმა ცვლილებებმა გამოიწვია სამოვრების ფართობის მატებანი დეგრადაცია სარიჩაირი- სოფ.

¹⁹ წყარო: აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

²⁰ 2012 წლიდან, აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფინანსებს პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროცედურებს (2017 წლის ბოლოსთვის 934 განაყოფიერება)

²¹ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

ბაკოს, თხილვანას, ღმანის, თეთრობის, ბეშუმის, გოდერძის, რიყეთის, დიდაჭარის და ვაშლოვანის მთიან ადგილებზე. ნაკლები ყურადღება ეთმობა ნიადაგის საფარველის მთლიანობის, მიწის ნაყოფიერების ზრდის და საძოვრების მდგრადობის უზრუნველყოფას სუბალპურ და ალპურ ზონებში. მიწები ძირითადად უარესდება არასათანადო სამეურნეო საქმიანობით, საძოვრებზე ნახირის და ფარის გადაჭარბებული რაოდენობით, ბალახის ჯიშების ცვლილებით, გადამოვისგან გამოწვეული დაზიანებებით, წარსულში გაუკონტროლებელი ტყის ჩეხვით და ცუდი მოვლა-პატრონობით, რაც გამოწვეული იყო „საერთო რესურსების მოხმარების ტრაგედიით“. ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლეზე მდებარე სათიბი მდელოები კერძო საკუთრებაა, რაც საშუალებას აძლევს კერძო პირებს შემოღობონ საძოვრები, მართონ მოვის პროცესი, გამოიყენონ სასუქები და გააუმჯობესონ მოლი (ბალახის საფარი). თუმცა, მაღალმთიანი საძოვრები კვლავ სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც გამოიყენება საერთო საძოვრად და წარმოადგენს „საერთო რესურსების მოხმარების ტრაგედიას“. გასული სამი ათწლეულის მანძილზე სუბალპურმა და ალპურმა ზონებმაც განიცადეს კლიმატური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედება. ძირითადად, კლიმატური ცვლილების ნეგატიური გავლენა დაფიქსირდა ტემპერატურის ცვლილებაში, გაზრდილ უხვნალექიანობაში, გვალვის სიხშირესა და ხასიათში, წყლის რესურსების გამოლევისა და ბუნებრივ თუ ანთროპოგენურ ფაქტორებში. საძოვრების გაუმჯობესების ყველაზე ეკოლოგიური გავლენა განპირობებული იქნებოდა ჯიშების ნაირსახეობით: ადგილობრივი ბალახისა და ველური ყვავილების მრავალფეროვანი ნაზავის ნაცვლად, ახლიდან დათესილი და განაყოფიერებული სათიბ-საძოვრები გადაიქცევა ბალახის კომერციული ჯიშების თითქმის მონოკულტურად ან ოლიგოკულტურად. საძოვრების მართვის და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მესაქონლეობას ხულოს მუნიციპალიტეტში.

სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია

მუნიციპალიტეტში თევზის მეურნეობის მცირე შემთხვევებია, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც საკალმახე ტბები. მცირე მასშტაბიანი თევზის მეურნეობის დაარსება განაპირობა მეზობელ მუნიციპალიტეტში (ქედის მუნიციპალიტეტში) თევზის მეურნეობის მაგალითებმა. თევზის მეურნეობაში იშვიათად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ამ ტიპის სამეურნეო წარმოებას შედარებით მაღალი პოტენციალი გააჩნია.

მეფუტკრეობა ხულოს მუნიციპალიტეტში ტრადიციული საქმიანობაა, რომელიც ხის ძველი ფარდულებიდან თანამედროვე კულტურულ მეფუტკრეობად გადაიქცა. მუნიციპალიტეტში 77 ფერმერი მეფუტკრეობას ეწევა და მათ სულ 1750 ფუტკრის ოჯახი ჰყავთ. თავლის საშუალო წარმოება წელიწადში 26,700 კგ-ია. ადგილობრივი სუბალპური და ალპური ფლორა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობებს ფუტკრის ფართო ოჯახებისთვის და ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ორგანული თავლის დასამზადებლად.

მევენახეობა ხულოს მუნიციპალიტეტში ყველაზე ნაკლებ განვითარებულია აჭარის ა/რ-ის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით და ის საშუალოდ 51 ტონას შეადგენს წლიურად.

თამბაქოს ყოფილი წარმოება - საბჭოთა პერიოდში, ხულოს სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დასაქმებული იყო კოლექტიურ ფერმებში თამბაქოს ზრდითა და მოყვანით, მაშინ როცა კარტოფილის წარმოებას და მესაქონლეობას საკუთარი მოხმარებისთვის ეწეოდნენ. თამბაქოს წარმოება მალევე იქნა მიტოვებული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს იყო მძიმე შრომა და ნაწილობრივ ფასიც მკვეთრად დაეცა დაახლოებით 9\$/კგ-დან დღევანდელ 2-3 ლარი/კგ-მდე (\$ 1-1.5)²².

²² Dr Steve Goss, UNDP, აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის შესწავლა, 2014



სახელმწიფო პროგრამები და ტექნიკური მხარდაჭერა - ხულოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევრისთვის (48%) ცნობილია, რომ MEPA უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საინვესტიციო მხარდაჭერას და ნახევარზე ნაკლებმა (45%-მა) იცის, თუ სად უნდა მოიძიოს ინფორმაცია მხარდაჭერის პროგრამების შესახებ. მხოლოდ 13 ოჯახმა განახორციელა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ინვესტირება სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით²³.

ოჯახების 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ მესაქონლეობაში ტექნიკური მხარდაჭერა სჭირდება. გასული სამი წლის განმავლობაში ოჯახების მხოლოდ 13 პროცენტმა მიიღო ტექნიკური მხარდაჭერა გაფართოების ცენტრებიდან და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ოჯახების 79 პროცენტს არ აქვს ინფორმაცია მსგავს სერვისებზე. ადგილობრივი ოჯახების მიერ სასოფლო სამეურნეო პროექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ ძირითად წყაროს წარმოადგენს ტელევიზია (93 %-თვის)²⁴. ოჯახების 93% დაინტერესებულია ინფორმაციის/რეკომენდაციის მიღებით სადაზღვევო სქემების, სუბსიდიების და სხვა ხელმისაწვდომი და სათანადო ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

ოჯახების 42 პროცენტი ისურვებდა ინფორმაციის მიღებას მესაქონლეობის შესახებ და 61 პროცენტი ისურვებდა ამ სერვისის მიწოდებას ადგილზე.²⁵

სოფლის მეურნეობა - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
უხვი წყლის რესურსი; უხვი სამოვრები; ხელსაყრელი კლიმატი და ნიადაგის პირობები; პესტიციდების და ქიმიური ნაერთების შეზღუდული მოხმარება, რაც ხელსაყრელია ორგანული მეურნეობისთვის; მზარდი მოთხოვნა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (ძირითადად ბათუმიდან); ხელსაყრელი პირობები მესაქონლეობისთვის, კარტოფილის, სიმინდის, კაკლის, თხილის და წარმოებისთვის, ისევე როგორც კალმახის მოშენებისა და მეფუტკრეობისთვის	მცირე მიწათმესაკუთრეობა; დაბალხარისხიანი თესვები ძირითადად კარტოფილისა და სიმინდის საწარმოებლად; სამეურნეო დანადგარების სარემონტო ცენტრისა და სათანადო ნაწილების მაღაზიის არ არსებობა; მცირე ზომის სამეურნეო დანადგარების ნაკლებობა (განსაკუთრებით ციცაბო რელიეფზე) და შეზღუდული წვდომა საიჯარო მომსახურებაზე; დაბალი ცნობიერება რეგიონალური და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ; ცოდნის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის მართვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში; დაბალი ცნობიერება ტექნიკური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე; ოფიციალურად დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შეზღუდული რაოდენობა; საწყობების და ცივი შესანახი ობიექტების არ არსებობა; ხარისხიანი ირიგაციის სისტემების უმნიშვნელო რაოდენობა და/ან არარსებობა; შეზღუდული წვდომა სასაკლაოებზე (ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სასაკლაო); შეზღუდული წვდომა ვეტერინარიასთან და აგრობიზნესთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე; მეფუტკის სუსტი პრაქტიკა

²³ FAO - სასოფლო სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და გაფართოების საჭიროება 2017

²⁴ FAO - სასოფლო სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და გაფართოების საჭიროება 2017

²⁵ FAO - სასოფლო სამეურნეო საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და გაფართოების საჭიროება 2017

	მცირე გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა; სამოვრების ცუდი მოვლა-პატრონობა; სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფრაგმენტული მიწოდება და შეზღუდული წვდომა ახალ ბაზრებზე; ეროზიისკენ მიდრეკილი ციცაბო ფერდობები; მიწის პრივატიზაციის დაბალი დონე; დაბალი ნაყოფიერება ერთ ჰა-ზე; ცუდი კონსოლიდაცია და კოორდინაცია ფერმერთა შორის; სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის არაეფექტური ღონისძიებები; სანერგების ნაკლებობა; კოოპერატივების ნაკლებობა; ცხვრის და თხის რაოდენობის შემცირება;
შესაძლებლობები	საფრთხეები
სათბურების განვითარება; მარცვლეულის გაზრდილი ნაყოფიერება ახალი ხარისხიანი თესლეულის შემოტანით; შედარებით უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქტების წარმოებაზე გადასვლა (მაგ. კაკალი, მოცივი მრავალწლიანი ნარგავები დეკანაშვილებში); მარცვლეულის ნაწარმის დივერსიფიკაცია (მაგ. ნიორი); საწყობებისა და ცივად შესანახი ობიექტების დაარსება; ახალი ჯიშების დანერგვა და დაავადების რისკების შერბილება; საქონლის სრულ ხელოვნურ განაყოფიერებაზე გადასვლა; დამატებითი სასაკლაოების განვითარება; მესაქონლეობის მრავალმხრივი განვითარება და გაფართოება (მაგ. მეფრინველეობა, მეღორეობა); თევზის მეურნეობის გაფართოება; მეხილეობის განვითარება; ადგილობრივი კერძების და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფესტივალების ორგანიზება; სამოვრების მართვის გაუმჯობესება (მაგ. ღორჯომში); მცირე გადამამუშავებელი საწარმოების გახსნა (განსაკუთრებით რძისა და ხორცის გადამამუშავებლად); წვდომის გაუმჯობესება ვეტერინარულ მომსახურებასა და ტექნიკურ დახმარებაზე; ცნობიერების ამაღლება რეგიონალური და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ და მომსახურებების გაფართოება; მცირე ზომის დანადგარებზე წვდომის ზრდა; აგრობიზნესთან დაკავშირებული კონსულტაციის გაწევა პროდუქციის გაუმჯობესებისა და ახალ ბაზრებზე წვდომისთვის; თანამედროვე საირიგაციო სისტემების შემოღება.	ცხოველების და მცენარეების დაავადებები; საბაზრო ფასების მერყეობა; რესურსების მზარდი ღირებულება, განსაკუთრებით ენერგო რესურსის; ბუნებრივი კატაკლიზმები (უხვი ატმოსფერული ნალექი, გვალვები, მეწყერი, ღვარცოფები და ა.შ.) და კლიმატური ცვლილებები; პესტ-კონტროლი (ბრძოლა მავნებლებთან); არარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ზღუდავს წვდომას რეგიონალურ და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე.

სოფლის მეურნეობა - ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 2.1 - მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდა

ლოგიკა – კულტურული ნარგავების პროდუქტიულობა ერთ ჰა-ზე (მაგ. კარტოფილის) გასულ წლებში დაბალ დონეზე დარჩა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია დაბალი ხარისხის თესლის გამოყენება და სასუქების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხულოში ფერმერებს თესლებით უზრუნველყოფს, მათი რაოდენობა და მრავალფეროვნება საკმარისი არაა იმისთვის, რომ პროდუქტიულობა სწრაფად გაიზარდოს. რაც შეეხება მეცხოველეობას, ფერმერები, რომლებიც ძირითადად რქოსანი პირუტყვის მოშენებით (კერძოდ მერძეეობით) არიან დაკავებული, საშუალო პროდუქტიულობის დონეზე დგანან. ამის ერთერთი საკვანძო მიზეზია ხელოვნური განაყოფიერებისთვის გამოყენებული შეზღუდული პროცედურები, აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერის მიუხედავად. მეორე ძირითადი მიზეზი მდგომარეობს ცხოველებში მიმდინარე ხშირ დაავადებებში მეტად შეზღუდული ვაქცინაციების გამო.

სტრატეგიული აქტივობა 2.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	თესლებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ აქტივობამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური (სესხის სუბსიდირებული საპროცენტო განაკვეთი) და ტექნიკური დახმარება. ფინანსური დახმარება გულისხმობს სესხის სუბსიდიას თესლის და სასუქების დაგეგმილი შესყიდვებისთვის. ქვემოთ მოცემული მოდული შეიძლება გამოყენებულ იქნას: თესლისა და სასუქების ყიდვის მიზნით ფერმერებს გამოაქვთ სესხები ბანკებიდან და MFI-დან გამოაქვთ. ხულოს LAG ადგილობრივ და რეგიონალურ სახელმწიფო

	დაწესებულებებისგან მიღებული სესხების დამტკიცებული საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიას განახორციელებს. შესაძლებელია შემდეგი სახის ტექნიკური მხარდაჭერა: ბაზრებში ხელმისაწვდომი თესლისა და სასუქების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა. ბიზნეს გეგმების მომზადება; ადგილზე გადამზადება/მენტორობა დარგვასა და სასუქების სათანადო გამოყენებაში. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემდეგ კულტურებს: კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი და კიტრი.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	უმეტესად კარტოფილის და სიმინდის მეურნეები
პასუხისმგებელი ორგანოები/პირები	ხულოს ლაგი და პარტნიორი საჯარო და კერძო დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ი ადვოკატირებას გაუწევს და მოიმძღვრებს დამატებით ფინანსებს, რათა განახორციელოს პროგრამა/პროექტი თესლისა და სასუქების უზრუნველსაყოფად. შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა და განახორციელებენ ლაგის წევრები.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თესლეულით და სასუქებით მოვაჭრეები, ბანკები და MFI-ები
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების გაზრდილი პროდუქტიულობა ერთ ჰა-ზე თესლისა და სასუქების უზრუნველყოფილი რაოდენობა შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა

	ფერმების გაზრდილი ბრუნვა
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 2.1.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ხელოვნური განაყოფიერებისა და ვაქცინების უზრუნველყოფის მხარდაჭერა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ ქმედებამ უნდა უზრუნველყოს (სუბსიდირებული სესხის საპროცენტო განაკვეთების) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ფინანსური დახმარება გულისხმობს სესხის სუბსიდიას დაგეგმილი განაყოფიერებისა და ვაქცინაციებისთვის. შესაძლებელია შემდეგი მოდელის გამოყენება: ფერმერები იღებენ სესხს ბანკებიდან და MFI-ებიდან ვაქცინების და ხელოვნური განაყოფიერების კომპლექტების შესაძენად. ხულოს LAG ადგილობრივ და რეგიონალურ საჯარო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მოახდენს დამტკიცებული სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას. ტექნიკური დახმარება შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის: ინფორმაციის უზრუნველყოფა ბაზარზე ხელმისაწვდომი ვაქცინებისა და ხელოვნური განაყოფიერების კომპლექტაციის შესახებ. ბიზნეს გეგმების მომზადება; ტრენინგები ადგილობრივ/მენტორობა ხელოვნურ განაყოფიერებასა და ვაქცინაციაში, და ა.შ. პრიორიტეტები შეიძლება მიენიჭოს მეცხოველეობის შემდეგ სახეობას: მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	უმეტესად მეცხოველეობის ფერმის მფლობელები

პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ი გაუწევს ადვოკატირებას და მოიძიებს დამატებით ფინანსებს რომ განახორციელოს პროგრამა/პროექტი ხელოვნური განაყოფიერების და ვაქცინების უზრუნველსაყოფად. შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა და განახორციელებენ ლაგის წევრები.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თესლეულის და სასუქების მოვარეები; ბანკები და MFI-ები;
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	საქონლის გაზრდილი პროდუქტიულობა (ძირითადად რძის წარმოება); ხელოვნური განაყოფიერების კომპლექტაციის და ვაქცინების უზრუნველყოფილი რაოდენობები; შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა; ფერმების გაზრდილი ბრუნვა.
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 2.2 – თანამედროვე სოფლის მეურნეობის პრაქტიკის ხელშეწყობა

ლოგიკა – ადგილობრივ ფერმერთა ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული წვდომა ხარისხიან ინვესტიციაზე წარმოებაში: ტექნიკა და დანადგარები. მრავალწლიანი კულტურების (ძირითადად კაკალი, თხილი, ხეხილი) ბაღებში არასაკმარისი რესურსია ნიადაგის კულტივაციისთვის. ზოგიერთი ეხება წლიური მოსავლის (ძირითადად კარტოფილის და სიმინდის) მწარმოებლებს და მესაქონლეებს. ყველაზე მოთხოვნად დანადგარებს შორისაა მოტორიზებული კულტივატორი თივის საჭრელი მექანიზმით და მოტორიზებული კულტივატორი ნიადაგის დამამუშავებელი

აგრეგატებით. ტექნიკისა და საწარმო რესურსების ფართო სპექტრს მოითხოვენ ასევე თევზის მომშენებელი ფერმები (განსაკუთრებით დეკანაშვილებსა და დიოკნისში) და მეფუტკრეები. ფერმერთა თანამედროვე სამეწარმეო საშუალებებით აღჭურვის გზით, შემცირდება შრომის ინტენსივობა, გაუმჯობესდება პროდუქტიულობა და დამკვიდრდება სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკები.

სტრატეგიული აქტივობა 2.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ აქტივობამ უნდა უზრუნველყოს (სუბსიდირებული სესხის საპროცენტო განაკვეთების) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ფინანსური დახმარება გულისხმობს სესხის სუბსიდიას დაგეგმილი განაყოფიერებისა და ვაქცინაციებისთვის. შესაძლებელია შემდეგი მოდელის გამოყენება:ფერმერები/კოოპერა ტოვები იღებენ სესხს ბანკებიდან და MFI-ებიდან ვაქცინების და ხელოვნური განაყოფიერების კომპლექტების შესაძენად. ხულოს LAG ადგილობრივ და რეგიონალურ საჯარო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მოახდენს დამტკიცებული სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას. პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს შემდეგ მოსავალს:კარტოფილი, სიმინდი, პომიდორი და კიტრი, კაკალი, თხილი, ხილი.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ძირითადად კარტოფილის, სიმინდის, პომიდორის, კიტრის, კაკლის, თხილის და ხილის მეურნეები
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს LAG და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ი გაუწევს ადვოკატირებას და მოიძევეს

და როლის სპეციფიკა	დამატებით ფინანსებს რომ განახორციელოს პროგრამა/პროექტი აპარატურისა და აღჭურვილობის შეყვანის უზრუნველსაყოფად. შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა და განახორციელებენ ლაგის წევრები.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თესლეულის და სასუქების მოვლაშრეები; ბანკები და MFI-ები;
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების გაზრდილი წაყოფიერება ერთ ჰა-ზე;ტექნიკისა და დანადგარების უზრუნველყოფილი რაოდენობა, შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა სამეურნეო ფერმების გაზრდილი ბრუნვა
პრიორიტეტი	საშუალო

სტრატეგიული აქტივობა 2.2.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მეფუტკრეობისა და თევზის მეურნეობის გასავითარებლად სპეციალური აღჭურვილობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ აქტივობამ უნდა უზრუნველყოს (სუბსიდირებული სესხის საპროცენტო განაკვეთების) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ფინანსური დახმარება გულისხმობს სესხის სუბსიდიას დაგეგმილი რესურსების შემენისთვის. ძირითადად მეფუტკრეებისთვის: სკები, თაფლის რეზერვუარი, ჭარბი ტენის ასაორთქლებელი მოწყობილობა, ფილტრები (სწრაფი დრენაჟი, ნეილონი/კაპრონი), ფიჭის

	დასამზადებელი მოწყობილობა, რეფრაქტომეტრი და ა.შ. თევზის მეურნეობისთვის: ფსკერსათრევი ბადეები, წყლის ტუმბოები, დანები/ქორდიკები; ა.შ. შესაძლებელია შემდეგი მოდელის გამოყენება: ფერმერები იღებენ სესხს ბანკებიდან და MFI-ებიდან საწარმოო რესურსების შესაძენად. ხულოს LAG ადგილობრივ და რეგიონალურ საჯარო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მოახდენს დამტკიცებული სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას. საჯარო დაწესებულებები მოახდენენ დამტკიცებული სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	მეფუტკრეობა, თევზების მეურნეობა
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს LAG და პარტნიორი საჯარო და კერძო დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ი გაუწევს ადვოკატირებას და მოიძევს დამატებით ფინანსებს რომ განახორციელოს პროგრამა/პროექტი მეფუტკრეობისა და თევზის მეურნეობის განვითარებისთვის. შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა და განახორციელებენ ლაგის წევრები.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ტექნიკის და დანადგარის მოვაჭრეები, შპს „მექანიზატორი“; ბანკები და MFI-ები;
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	თაფლის და თევზის გაზრდილი

	პროდუქტიულობა და გაფართოება, მოწოდებული რესურსების რაოდენობა და ტიპი შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა ფერმების გაზრდილი ბრუნვა
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 2.3 – სოფლის მეურნეობის ტექნიკის ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და ბაზრის ხელშეწყობა მოსავლიდან მოგების მაქსიმალური გაზრდისთვის.

დასაბუთება - ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის მეურნეობის პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი შესაძლებლობები არსებობს. უმეტეს შემთხვევაში, ის მოითხოვს დაინტერესებული მეურნეების მხრიდან ქმედებების და დამოკიდებულებების შეცვლას. აქედან გამომდინარე, სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში ოპტიმალური წარმოების მისაღწევად, მცირე მეურნეობების მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალურად შედგენილი ტრენინგის კურსებით. ფერმერებისთვის ხშირად უცნობია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ან ახალი ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებასაც, არსებულ ადგილობრივ მეთოდებთან შედარებით, შედეგად მოაქვს პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ამ ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით, სათანადო გადამზადების პროგრამებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს, უზრუნველყოფს რა ფერმერებს ახალი უნარებით და ტექნიკური ცოდნით, რაც საჭიროა გაუმჯობესებული მეთოდების განსახორციელებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მათი მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით.

მეურნეობის შემოსავლიანობის ზრდის მიზნით, ბაზრების ეფექტიანობის გაუმჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ფერმერებმა რესურსებისთვის უფრო კონკურენტული ფასები უნდა გადაიხადონ და უფრო მაღალი ფასი მიიღონ საკუთარი პროდუქციისთვის. შესაცვლელი საკითხები თითოეულ ღირებულებათა ჯაჭვში სხვადასხვაა, თუმცა საერთო საჭიროებას წარმოადგენს დროული და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა სასოფლო სამეურნეო

ბაზრებისთვის. ეს მოითხოვს ბაზრის შესახებ საინფორმაციო სისტემას, რომელიც დაფარავს აჭარას და საქართველოს დანარჩენ ნაწილს.

სტრატეგიული აქტივობა 2.3.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგების უზრუნველყოფაში დახმარება და ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ეს აქტივობა შეიცავს ორ კომპონენტს: 1) ტრენინგები სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკაში. უნდა ჩატარდეს ტრენინგების საჭიროებების დეტალური შეფასება, რათა დაიგეგმოს ყველაზე ეფექტური მიდგომები და ჩასატარებელი ტრენინგების თემატიკა. ტრენინგის დაგეგმვისა და ჩატარების დროს ასევე მნიშვნელოვანია თემებსა და სოცო ეკონომიკური ფაქტორებს შორის არსებული სხვაობების, როგორცაა სექსობრივი და ასაკობრივი სხვაობების გათვალისწინება. რაც შეეხება თემატიკას, ხულოს ფერმერთა პროფილების საფუძველზე, ტრენინგის სფეროების შემდეგი ჩამონათვალი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას კულტურების წარმოებაში: მავნებლების და დაავადებების კონტროლი, სასუქების გამოყენება, მცენარეების დარგვის მეთოდები, ნარგავებისთვის ნიადაგის მომზადება, მარკეტინგი, მოსავლის დივერსიფიკაცია, წყლის რესურსების მართვა, მოსავლის აღებასა და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობა
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ფერმერები, რომლებიც ძირითადად ჩართული

	არიან კარტოფილის, ხორცის და რძის, კენკროვნების (მოცვის) და ა.შ. წარმოებაში
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ხულოს LAG-ი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ტურისტულ საწარმოებს და აქ დასაქმებულ ადამიანებს გაუწიონ ორგანიზება ტრენინგებს შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკაში. გარდა ამისა ხულოს ლაგის წევრები მოხალისეობრივად მოიძევენ ინფორმაციას (მეორად მონაცემებს, კვარტალურად) ბაზრის შესახებ, გააკეთებენ მონაცემების ანალიზს და გაავრცელებენ ფერმერებში.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ტექნიკითა და სამანქანო დანადგარების მოვაჭრეები; ბანკები და MFI-ები
განხორციელების ვადა	Q1 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	თაფლის და თევზის გაზრდილი პროდუქტიულობა და გაფართოვება მოწოდებული რესურსების მოცულობა და ტიპი შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა ფერმების გაზრდილი ბრუნვა
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 2.4 – არსებული მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება

დასაბუთება – როგორც წინამდებარე თავის დასაწყისში აღინიშნა, ხულოში ოჯახების ნახევარზე ნაკლებმა (48%-მა) იცის, რომ MEPA უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის საინვესტიციო მხარდაჭერას და ოჯახების

მხოლოდ 45%-თვისაა ცნობილი, თუ სად უნდა მოიძიონ ინფორმაცია მხარდაჭერის პროგრამებზე. ოჯახების მხოლოდ 13%-მა მიიღო ტექნიკური დახმარება საწარმო-ტექნიკური დახმარების ცენტრებიდან გასული სამი წლის განმავლობაში და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ოჯახების 79%-ს არ აქვს ინფორმაცია მსგავსი მომსახურების შესახებ. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდასაჭერად არსებობს მთელი რიგი როგორც რეგიონალური და სახელმწიფო პროგრამები, ისე არაკომერციული და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების პროგრამები. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ხულოს ფერმერები სარგებლობენ მხარდაჭერის პროგრამებით და ამ კუთხით არანაირი საინფორმაციო ბარიერი არ არსებობს მათთვის.

სტრატეგიული აქტივობა 2.4.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	საინფორმაციო სესიების ორგანიზება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	რეგიონალურ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შესაძლებელია მოეწყოს საინფორმაციო სესიები დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად ხელმისაწვდომი მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ და რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად, იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პროგრამების მორგება ადგილობრივ კონტექსტზე. ამ მიზნით, ორგანიზება უნდა გაუკეთდეს შეხვედრას ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების ხელმძღვანელებს/წარმომადგენლებს. მაგალითად, შეიძლება მოეწყოს შეხვედრა შემდეგი პროგრამების APMA ხელმძღვანელებთან: „დანერგე მომავალი“, „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრის ხელმისაწვდომობის და მდგრადობის პროექტი“(AMMAR), „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, „სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა“ და ა.შ. და სასოფლო-

	სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პროგრამები (ACDA): „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები“ და სხვა.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოში არსებული ყველა ფერმერი (შეხვედრების მიზნით, შესაძლებელია მათი დაჯგუფება საქმიანობის ტიპის მიხედვით - მაგ: მრავალწლოვანი კულტურების პროდუქტები)
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG და პარტნიორი საჯარო, არაკომერციული და საერთაშორისო ინსტიტუტები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ხულოს LAG-ი : (1) ადგილობრივი ფერმერების ინფორმირება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამებზე (მოხალისეები) (2) საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ეროვნულ, კერძო, არასამთავრობო, დონორი ორგანიზაციებთან თავიანთი პროგრამების შესახებ.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, APMA, ACDA, FAO, USAID, და ა.შ.
განხორციელების ვადა	Q3 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	ხელმისაწვდომი მხარდაჭერის პროგრამების შესახებ გაზრდილი ცნობიერება ხულოდან მხარდამჭერი პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობის გაიზრდა; შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა ფერმერების გაზრდილი ბრუნვა
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 2.5 – აგრო-გადამამუშავებელი, სასათბურე მეურნეობებისა და სასაწყობე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

დასაბუთება – მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე LDS-ის მიზნებისთვის, სოფლის მეურნეობის

სექტორში მხოლოდ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებია გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ფოკუსირება მოხდეს აგრობიზნესის საქმიანობაზე ვინაიდან ის მჭიდროდაა დაკავშირებული პირველად პროდუქციაზე მოთხოვნის მხრიდან. ხულოში არ მოიძებნება არანაირი აგრო-გადამამუშავებელი (გარდა ყველის ქარხნისა) და სასაწყობო ობიექტები. ხორცის, რძის, კარტოფილის და სიმინდის წარმოების შედარებით მაღალი მოცულობების და ბოსტნეულისა და კენკროვნების შედარებით ნაკლები მოცულობების გათვალისწინებით, ადგილობრივი სოფლის მეურნეობა უეჭველად დიდ სარგებელს მიიღებდა წარმოების სამი დამატებითი ღირებულების ელემენტის შექმნიდან სამი საკვანძო მიზეზის გამო: 1) პირველადი პროდუქციის მწარმოებელ ფერმერებს ექნებოდათ უფრო მოსახერხებელი ახალი ადგილობრივი ბაზარი; 2) ის მოახდენდა სტაბილურ გაზრდილი პროდუქციის სტიმულირებას მეურნეობისა და ახალი მასალების ბაზის განვითარების გზით; რაც მნიშვნელოვანია მოწოდების ასპექტისთვის - 3) მსგავსი დამატებითი ღირებულების საწარმოები არამხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ ასევე შექმნის ბაზარზე ნათლად ორიენტირებულ ჯაჭვს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მოახდენს ფერმერთა გადასვლის სტიმულირებას საოჯახო მეურნეობიდან საქმიანი ტიპის სოფლის მეურნეობაზე და დიდი ღირებულების მქონე ჯაჭვის ნაწილად გადაქცევას, არსებული ტრადიციული მარცვლეული კულტურებისა და მესაქონლეობის ტიპების მიუხედავად (ახალი მარცვლეული კულტურების შემოტანის შესაძლებლობა, მაგ. კაკლის ბოლოდროინდელი შემთხვევა). თუმცა, ცხადია უნდა მოხდეს არსებული მიწის ნაკვეთის ფართობის, გეოგრაფიული, კლიმატური და სხვა კონტექსტუალური მახასიათებლების გათვალისწინება.

სტრატეგიული აქტივობა 2.5.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	აღნიშნულმა აქტივობამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური (თანადაფინანსების) და ტექნიკური დახმარება მათთვის, ვინც

	დაინტერესებულია ახალი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებით. ფინანსური დახმარება გულისხმობს თანადაფინანსებას (გრანტს). ტექნიკური დახმარება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: აპარატურის, ტექნიკის, და მათი მომწოდებლების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა; ბიზნეს გეგმების მომზადება; ნედლეულის პოტენციურ მომწოდებლებთან ურთიერთობა; და ა.შ. პრიორიტეტები შეიძლება მიენიჭოს: ხორცის გადამამუშავებას, ხორცის პროდუქტების წარმოებას (მათ შორის, შებოლილ ხორცს); თევზის გადამამუშავებას, თევზის პროდუქციის წარმოებას; რძის გადამამუშავებას, რძის პროდუქტების წარმოებას; ხილის, კენკროვნების და ბოსტნეულის დამამუშავებას; კაკლის, არაქისის და სხვა თხილეულის გადამამუშავებას; ცხოველებისათვის, ფრინველებისთვის და თევზისთვის საკვების მომზადება (კომბინირებული საკვების წარმოება); თაფლის და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების დამამუშავება. სამიზნე ჯგუფებმა უნდა შეიმუშაონ ჯანსაღი ბიზნეს გეგმა და მოიზიდონ დამატებითი დაფინანსება (საჭიროების შემთხვევაში);
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოში შედარებით მსხვილი ფერმერები და მეწარმეები; რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორები;

პასუხისმგებელი პირები	ხულო LAG და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები.
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში LAG-ი ჩართული იქნება გრანტის შერჩევის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა / რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	შეიქმნა მინიმუმ 5 ახალი მცირე გადამამუშავებელი საწარმო; გაიზარდა პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების; დადგენილი გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა და სახეობა; შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა; გადამამუშავებელი ქარხნებისთვის მიწოდებული ადგილობრივი ნედლეულის მოცულობა;
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 2.5.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა მოსავლის შესანახად და სასათბურე მეურნეობების აშენება.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	აღნიშნულმა აქტივობამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური (თანადაფინანსების) და ტექნიკური დახმარება მათთვის, ვინც დაინტერესებულია ახალი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებით.

	ფინანსური დახმარება თანადაფინანსებას გულისხმობს. ტექნიკური დახმარება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ბიზნეს გეგმების მომზადება; ნედლეულის პოტენციურ მომწოდებლებთან კომუნიკაცია; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სპეციფიკური ხასიათისათვის განკუთვნილი სასაწყობო საწარმოების ტექნიკური პარამეტრები. პრიორიტეტების მიღება შეიძლება: კურკოვანი, კენკრა, თესლი, თხილის კულტურები და ბოსტნეული. პრიორიტეტები შეიძლება მიენიჭოს: კურკოვანი, კენკრა, თესლი, თხილის კულტურები და ბოსტნეული. სამიზნე ჯგუფებმა უნდა შეიმუშაონ ჯანსაღი ბიზნეს გეგმა და მოიზიდონ დამატებითი დაფინანსება (საჭიროების შემთხვევაში);
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოში შედარებით მსხვილი ფერმერები და მეწარმეები; რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორები;
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულო-ს LAG-ი და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები.
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში LAG-ი ჩართული იქნება გრანტის შერჩევის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა / რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და MFIs
ქმედების განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021

მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	თვითუზრუნველყოფის დონის ზრდა მრავალწლიანი და ერთწლიანი ნარგავებით. დამყარებული ეფექტური თანამშრომლობა სასაწყობე ობიექტების რაოდენობა და ტიპი დაარსებული სათბურების რაოდენობა ახალი კულტურების რაოდენობა და ტიპი, რომლის გამოყვანაც ხდება სათბურებში; სამუშაო ადგილების რაოდენობა ადგილობრივი ნედლი მასალის რაოდენობა, რომელიც მიეწოდა სასაწყობე ობიექტებს
პრიორიტეტი	საშუალო

4. ცხრილი 11 - შეფასებითი ფინანსური განაწილება სოფლის მეურნეობისთვის²⁶

მიზნები	O2.1 (20%)	O2.2 (18%)	O2.3 (10%)	O2.4 (5%)	O2.5 (40%)
ლონისძიებები	A.2.1.1 A.2.1.2	A.2.2.1 A.2.2.2	A.2.1.3	A.2.4.1	A2.5.1 A2.5.2
შიდა ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა	2%				
საექსპლუატაციო ხარჯები და აქტივიზაცია	5%				
სულ	100%				

3. კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა



გზები– მუნიციპალიტეტში ადგილობრივი გზების საერთო სიგრძე 825.5 კმ-ია. ²⁷. 39 კმ-ს აქვს ბეტონის საფარი, 38კმ ასფალტირებულია. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი გზების 90.6 პროცენტი გრუნტის გზაა, რაც ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის.

მუნიციპალიტეტის მთავარი შემაერთებული გზებია: ანგისა-ახალციხე (48 კმ), ზამლეითი-ხიხაძირი (28 კმ) და გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმში (10კმ).

წყალმომარაგება – მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სასმელი წყლის ინდივიდუალური წყალმომარაგების სისტემა აქვს. მცხოვრებთა შეზღუდული რაოდენობა დაერთებულია ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემაზე ("ხულოს წყალკანალი") -3.465 (მთლიანი მოსახლეობის 14,3 პროცენტი)²⁸. საერთო ჯამში წყალმომარაგების სისტემა შეადგენს 116,67 კმ-ს 34 რეზერვუარით, რომელთა უმრავლესობა მოძველებულია.

საკანალიზაციო სისტემა – საკანალიზაციო სისტემა მდებარეობს მხოლოდ ხულოში 3910 გ / მ და ბეშუმში - 1227 გ / მ. მილსადენები ძირითადად დაზიანებულია და არ არსებობს გამწმენდი ობიექტები.²⁹.

ბუნებრივი გაზი – ხულოს მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირი არ არის. თუმცა, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის მიწოდებას მუნიციპალიტეტში.

ელექტროენერგია – ხულოს მუნიციპალიტეტში არის 24/7 ელექტროენერგია. ელექტროენერგიის სისტემაში დარეგისტრირებულია 10,332 ინდივიდუალური და 166 კორპორატიული მომხმარებელი

კომუნიკაცია – მთელი მუნიციპალიტეტი დაფარულია ფიჭური ქსელით. ინტერნეტის დაფარვა თითქმის არ არის, ან ძალიან შეზღუდულია.

ტრანსპორტირება – ხულოს მუნიციპალიტეტში მგზავრობისთვის ხელმისაწვდომია 136 კერძო მანქანა / მიკროავტობუსი. საბაგირო გზა ფუნქციონირებს სოფელ თაგოში (1700 მ), რომელიც სოფელს აკავშირებს დაბა ხულოსთან. ბელლეთსა და კორტოხში საჭიროა დამატებითი საბაგირო გზები.

²⁶ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტიდან

²⁷ წყარო: ხულოს მუნიციპალიტეტი

²⁸ წყარო: აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

²⁹ წყარო: ხულოს მუნიციპალიტეტი

სათამაშო მოედნები – მუნიციპალიტეტში 40 სათამაშო მოედანია, ძირითადად, სკოლის ეზოებში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მახლობლად, დაბა ხულოში არის საზოგადოებრივი პარკი.



სათამაშო მოედანი დაბა ხულოში

კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
უხვი წყლის რესურსები, რესურსები რუქაზეა დატანილი და ხელმისაწვდომია ძირითადი მონაცემები; არსებობს საბაზისო ინფრასტრუქტურა (წყალმომარაგება, ელექტროენერგია, და ა.შ.); ხელმისაწვდომია ძირითადი საგანგებო სამსახური დაბა ხულოში გზის მოვლა-პატრონობა საბაზისო დონეზე ხორციელდება; ადგილობრივი ტრანსპორტირებისთვის ხელმისაწვდომია საბაგირო გზა	ადგილობრივი გზების ძალიან მცირე მონაკვეთებია ასფალტირებული; არ არის ბუნებრივი აირი; სასმელი წყლის მომარაგების ცენტრალურ სისტემაზე დაერთებული მომხმარებლების დაბალი რაოდენობა; მომველებული წყლის რეზერვუარები; მომველებული საკანალიზაციო სისტემები ან/ნაკლებობა; მეტად შეზღუდული წვდომა ინტერნეტზე; ძველი საკანალიზაციო სისტემა, რომელსაც არ აქვს გაწმენდი ობიექტი; შემ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; საბაგიროების ნაკლებობა; წყლის ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორიის არარსებობა; საგზაო ნიშნების ნაკლებობა; ველობილიკების ნაკლებობა; ისტორიულ ძეგლებთან დამაკავშირებელი გზების შეზღუდული რაოდენობა; საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა/ნაკლებობა; მომველებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი რეკრეაციული პარკების/სპორტული მოედნების ნაკლებობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარება (მსოფლიო ბანკის პროექტი 2019); სასმელი წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და მეტი მომხმარებლის დაერთება წყალმომარაგების ცენტრალურ სისტემაზე; წყლის რეზერვუარების რეაბილიტაცია; ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია და გაწმენდი ობიექტის დამატება;	ბუნებრივი სტიქიები (ძლიერი წვიმები, გვალვა, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.) არსებული ინფრასტრუქტურის ცუდი მოვლა-პატრონობა.

შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება; დამატებითი საზაფხუროების დამონტაჟება და არსებულის რეაბილიტაცია; სათამაშო მოედნების რეაბილიტაცია და ახლის დამატება; ახალი რეკრეაციული ადგილების განვითარება; კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ტუალეტების განთავსება.	
---	--

კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა - ამოცანები და აქტივობები

როგორც წინამდებარე თავის დასაწყისში იყო წარმოდგენილი, ინფრასტრუქტურული საკითხების დიდი რაოდენობა მოითხოვს დროულ ინტერვენციას. მაგალითად, საკანალიზაციო სისტემა, რომლის ყველა მილსადენი დაზიანებულია. ეს ინფრასტრუქტურული პრობლემები დიდი მოცულობის ინვესტიციებს მოითხოვს (ხულოს მუნიციპალიტეტიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რეგიონალური და სახელმწიფო მთავრობებიდან). აქედან გამომდინარე, თემატური საკითხების (მაგ. ტურიზმის განვითარება) პრიორიტეტულობისა და შეზღუდული დაფინანსების გათვალისწინებით, LAG-ი ყურადღებას გაამახვილებს ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით შეზღუდული ტიპის ინტერვენციებზე.

ამოცანა 3.1 – მაღალი სიჩქარის ინტერნეტ-კავშირთან ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა სოფლად.

დასაბუთება - მუნიციპალიტეტში ფართოდაპაზონიანი დაფარვის შეზღუდულობა უარყოფით გავლენას ახდენს ბიზნესსა და თემის განვითარებაზე. ინტერნეტ ტექნიკის შეძენით ხულოს LAG-ი ხელს შეუწყობს არსებული საკომუნიკაციო ქსელის გაფართოებას და დამატებით დაფარვის ზონების შექმნას.

სტრატეგიული აქტივობა 3.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მცირე მასშტაბის ინტერნეტ ადჭურვილობის შეძენის ხელშეწყობა.

სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ სტრატეგიულმა ქმედებამ ხელი უნდა შეუწყოს მცირე დიაპაზონის მოწყობილობების შეძენას თემებისა და ადგილობრივი ბიზნესისათვის არსებული კავშირის გაზრდის მიზნით. ღონისძიება ასევე უნდა პრიორიტეტული იყოს სოფლად შედარებით დიდი მოსახლეობით.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	სათემო ჯგუფები, სოფლის მეცხოველები
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი და პარტნიორი საჯარო და კერძო ინსტიტუტები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ხულოს LAG-ი მოიძიებს ფონდებს ან/და ადვოკატირებას გაუწევს მცირე ზომის ინტერნეტ-ადჭურვილობის შეძენის უზრუნველსაყოფად. ამასთან, LAG-ის წევრების მიიღებენ ამ მიმართულებით საგრანტო პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობას.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი, ინტერნეტ კომპანიები
განხორციელების ვადა	Q2 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაზრდილი ინტერნეტ დაფარვა მოსახლეობას აქვს გაზრდილი წვდომა ინტერნეტთან საქმიანი, საგანმანათლებლო და გასართობის მიზნებისთვის. ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 3.2 – მცირე მასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

დასაბუთება – მიუხედავად იმისა, რომ ხულოს LAG-ი სრულად ვერ უჭერს მხარს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მას შეუძლია მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარების თანადაფინანსება (მაგ: მცირე ზომის სათამაშო/სპორტული მოედნები). პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სოფლის შორეულ დასახლებებს შედარებით დიდი მოსახლეობით, რომლებიც ტრადიციულად მოკლებულნი არიან ინფრასტრუქტურული ინვესტიციებს

სტრატეგიული აქტივობა 3.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მცირე მასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარება პროექტების თანადაფინანსების ხელშეწყობის გზით.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ამ აქტივობამ შეიძლება ხელი შეუწყოს თანადაფინანსების (ხულოს მუნიციპალიტეტის) პროექტებს. მაგ: თავის საბაგირო გზის რეაბილიტაცია, მცირე ზომის სათამაშო მოედნის მოწყობა დიოკნისში ან ბეშუმში და ა.შ. პროექტის შერჩევისა და თანადაფინანსების პირობები უნდა შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტთან. ყურადღება უნდა გამახვილდეს სახანძრო მომსახურების ინფრასტრუქტურაზე
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	სათემო ჯგუფები, შორეული სოფლების მოსახლეობა
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი და ხულოს მუნიციპალიტეტი
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ხულოს LAG-ის წევრები: (1) გაუწევენ ადვოკატირებას მცირე და საშუალო ზომის ინფრასტრუქტურულ პროექტებს; (2) თანადაფინანსების გზით

	მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება; (3) თუკი შესაძლებელი იქნება თანადაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი
განხორციელების ვადა	კვრტ3 2019 – კვრტ3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაუმჯობესებული მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურა შორეულ სოფლებში განხორციელებული რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები ახალი/რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა რაოდენობა
პრიორიტეტი	საშუალო

ცხრილი 12 - მოსალოდნელი ფინანსური განაწილება კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურისთვის³⁰

მიზანები	O2.1 (70%)	O2.2 (30%)	
საქმიანობები	A.3.1.1	A.3.2.1	
შიდა ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა			2%
საოპერაციო და სარეკლამო პროდუქციის ხარჯები			5%
სულ			100%

4. კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა



სამედიცინო დაწესებულებები - დაბა ხულოში არსებობს საავადმყოფო, რომელიც ითავსებს 55 საწოლს. საწოლების ბრუნვის მაჩვენებელი 20.7³¹-ს და

³⁰ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტიდან

³¹ წყარო: აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პერსონალის რაოდენობა 200-ზე მეტს შეადგენს. 2013 წელს დაახლოებით 1400 ოპერაცია ჩატარდა ხულოს მუნიციპალიტეტში. აქ მუშაობს 55 ექიმი (მათგან 3 სტომატოლოგია³²). მთელს რეგიონში ხულოს ინფექციური დაავადებების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს (2013 წელს 1000-ზე ნაკლები). ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 ამბულატორია, 20 ექიმით, 53 მედდით და 15 ადმინისტრაციული თანამშრომლით. ამბულატორიული შენობები საჭიროებს განახლებას და ახალ ტექნიკას. მაგალითად, სოფლებში გურძაული და მთისუბანი, არანაირი სამედიცინო ტექნიკა არ არსებობს. სასწრაფო დახმარების მანქანა საჭიროებს შეკეთებას. დეკანაშვილების და ვაშლოვანის თემებში, მხოლოდ ერთი სასწრაფო დახმარების მანქანა მუშაობს.



საავადმყოფო ქალაქ ხულოში

კულტურა - დაბა ხულოში ფუნქციონირებს ერთი კულტურული ცენტრი. ამას გარდა, ხულოს მუნიციპალიტეტში არსებობს 3 მუზეუმი, 2 ბიბლიოთეკა, 6 სამხატვრო კლუბი, ერთი სამხატვრო გალერეა, 7 კულტურული სახლი, 10 სოფლის კლუბი. დაბა ხულოში (1925 წლიდან) ფუნქციონირებს ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი. სულ, კულტურულ დაწესებულებებში მუშაობს 157 ადამიანი. ვაშლოვანის, სხალთას, ხიხადირის და უჩხოს სოფლის კლუბებს სჭირდებათ რეაბილიტაცია. რეაბილიტაციასაცვე საჭიროებს ღორჯომის, დიოკნისის და საციხურის კულტურის სახლები და თხილვანის ეთნოგრაფიული

მუზეუმი. სამხატვრო გალერეას და მუზეუმებს ესაჭიროებათ კომპიუტერები . საოფისე ინვენტარია საჭირო 7 ბიბლიოთეკაშიც.



სკოლები და საბავშვო ბაღები - ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 49 საჯარო (988 პედაგოგი და 3,433 მოსწავლე) და ერთი კერძო სკოლა³³. 5 საჯარო სკოლას რეაბილიტაცია ესაჭიროება. გარდა ამისა, მუშაობს 20 საჯარო და 7 ალტერნატიული ბაგა-ბაღი სულ 790 ბავშვის დასწრებით.



პროფესიული განათლება - ხულოს მუნიციპალიტეტში არ არსებობს პროფესიული განათლების ტრენინგ-ცენტრი (VET) და ადგილობრივი მოსახლეობა ბათუმში იღებს პროფესიულ განათლებას.

³² წყარო: აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

³³ წყარო: აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საგანგებო სიტუაციების მართვა – საგანგებო მდგომარეობა - ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ერთი ობიექტი. შენობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, წყალსაცავებს (ხელმისაწვდომია 16 სოფელში). ხელმისაწვდომია 3 სახანძრო და ერთი გადაუდებელი დახმარების მანქანა. შენობა საჭიროებს განახლებას, წყლის რეზერვუარები (ხელმისაწვდომია 16 სოფელში) მოითხოვს რეაბილიტაციას და საჭიროა ახალი ტექნიკა.



სპორტი - ხულოს მუნიციპალიტეტში არსებობს 43 სპორტული დაწესებულება³⁴. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი სპორტული სკოლა. ეს სკოლა (29 მწვრთნელი) ახალგაზრდების 29 ჯგუფს (სულ 363 სტუდენტი) 9 სპორტულ სახეობას სთავაზობს (მაგ: კალათბურთს, თხილამურებით სრიალს, ჭიდაობის სამ სახეობას (ბერძნულ-რომაული ყველაზე პოპულარულია), მაგიდის ტენისს, და.ა.შ) თითქმის

ყველა სპორტული სტადიონი და ღია ცის ქვეშ არსებული დაწესებულება საჯარო სკოლის შენობაში ან ახლობლადაა განთავსებული. სპორტული დაწესებულებები საჭიროებს ახალ აღჭურვას და სამშენებლო რემონტს. მაგალითად, დიდაჭარის სპორტულ დაწესებულებას ესაჭიროება: ჩამკეტი ოთახები აბაზანებით და ცენტრალური გათბობით. ოქრუაშვილების სპორტულ დაწესებულებაში, შენობის სახურავი მოითხოვს განახლებას. ხულოს სპორტულ კომპლექსს სჭირდება საჯარო სკოლის მიტოვებული შენობის გამოყენება, რათა აღჭურვოს საჭირო ინვენტარით და გააფართოვოს შესაძლებლობები. ასევე, სპორტულ კომპლექსს ესაჭიროება შენობის სახურავის რემონტი. სხვა საჭიროებებს შორისაა: ახალი თხილამურები, მაგიდის ტენისის დაფები, სპორტული ტანსაცმელი და ა.შ.



მედია – ადგილობრივი მედია წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სუბიექტით - "ხულოს გაზეთი"

კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
დიდი რაოდენობის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები ხელმისაწვდომობა (მაგ: ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი) შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი; ადგილობრივი ფესტივალები ("შუამთობა", "ტბელობა", "სელიმობა", "დიდაჭარობა") დამაკმაყოფილებელი სამედიცინო ინფრასტრუქტურა დაბა ხულოში	სკოლებსა და ბაგა-ბაღებში საშუალო კეთილმოწყობა და ტექნიკის უმნიშვნელო უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და კულტურის სახლების შეზღუდული კეთილმოწყობა და ტექნიკა; სპორტული დაწესებულებების უმნიშვნელო ინფრასტრუქტურა და ახალი აღჭურვის საჭიროება; შეზღუდული რაოდენობის ამბულატორიული დაწესებულებები და აღჭურვილობის ნაკლებობა; მეტი კულტურული ფესტივალების საჭიროება;

³⁴ წყარო: ხულოს მუნიციპალიტეტი

დიდი რაოდენობის კულტურული და ისტორიული ძეგლები; ზოგიერთ სოფელში სკოლის მოსწავლეებისთვის ორგანიზებული უფასო სატრანსპორტო მომსახურება; სპორტული საქმიანობით და სპორტის ძველი ტრადიციებით დაინტერესებული ახალგაზრდობა; სხვადასხვა სპორტული კლუბისა და ასოციაციის (მაგ: ჭადრაკის ასოციაციის) არსებობა; სოფლებში ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელთა გარკვეული რაოდენობა.	ახალგაზრდობასთან დაკავშირებული აქტივობების ნაკლებობა: სპორტი, ხელოვნება, გართობა; პროფესიული და არაფორმალური განათლების შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ახალგაზრდული კლუბების არარსებობა; განუვითარებელი ბეჭდური მედია; არაფორმალური განათლების ცენტრის არარსებობა; სოფლებში კულტურის სახლების ნაკლებობა; სოფლებში ბიბლიოთეკების ნაკლებობა; სხვადასხვა სექტორის ფესტივალების, გამოფენების, ბაზრობის არარსებობა; საგანგებო რეაგირების დაწესებულების არასათანადო მდგომარეობა და ახალი ტექნიკის საჭიროება; სოფლის კლუბების რეაბილიტაციის საჭიროებები; დაბალი ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ; ადგილობრივი ფესტივალების შესახებ საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე თემებს მიღმა; სკოლის მოსწავლეები არ არიან მომზადებული მეწარმეობაში სპორტული დარბაზის (სპორტული ცენტრის) არარსებობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
5 სკოლის შენობის რეაბილიტაცია და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; საბავშვო ბაღების რემონტით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების, კულტურის სახლებისა და მუზეუმის შენობების განახლება; ახალი კულტურის სახლების გახსნა სოფლებში; ამბულატორიული დაწესებულებების რეაბილიტაცია და საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა; ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება და ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბება; კულტურული სახლების, ხელოვნების გალერეებისა და მუზეუმების კომპიუტერებით უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკებისათვის საოფისე ინვენტარით უზრუნველყოფა; არსებული სასწრაფო დახმარების მანქანების რემონტი და ახლის დამატება (განსაკუთრებით დეკანაშვილების და ვაშლოვანის თემებში); სკოლების პედაგოგთა ტრენინგი; ახალი ფესტივალის და გამოფენების ჩატარება; სახელმწიფო სპორტული დარბაზების გახსნა; ცეკვის ფესტივალების , კონკურსების ორგანიზება	არსებული ინფრასტრუქტურის ცუდი მოვლა-პატრონობა; ასაკოვანი პედაგოგები, მწვრთნელები და სხვა მუშაკები; შეზღუდული სახელმწიფო სახსრები რემონტისა და აღჭურვილობისთვის; კულტურული მემკვიდრეობის / ტრადიციების დაკარგვა ახალგაზრდების მხრიდან არასაკმარისი ინტერესის გამო.

კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა - ამოცანები და აქტივობები

ამ პრიორიტეტულ სფეროებში საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. აქედან გამომდინარე, ხულოს LAG-ი გეგმავს გარკვეულ სექტორებში მიზნობრივ ინტერვენციას.

ამოცანა 4.1 – არსებული სათემო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტების განახლება.

დასაბუთება – სოფლის იზოლაცია გამოვლინდა, როგორც სოციალური გარიყვის წყარო და ამ იზოლაციის შემცირებას ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული დაწესებულების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა და მათზე ხელმისაწვდომობა. მიზნის განხორციელებით მოხდება უფრო მეტი ადამიანის მონაწილეობის სტიმულირება ადგილობრივ საქმიანობაში, საზოგადოებრივი, სპორტული და კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაციის ხელშეწყობის და აღჭურვილობის შეძენის მხარდაჭერის გზით.

სტრატეგიული აქტივობა 4.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	არსებული სათემო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტების განახლების და ახალი აღჭურვილობის შეძენის ხელშეწყობა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	შედარებით დიდი რაოდენობის მოსახლეობის მქონე შორეული სოფლების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მოხდება მცირე მასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება (ხულოს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით) და გარკვეული აღჭურვილობის (მაგ: ტრენინგისთვის საჭირო მოწყობილობა სპორტული კომპლექსისთვის, კომპიუტერი ბიბლიოთეკისთვის) მოწოდება.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი კულტურული, საგანმანათლებლო,

	სპორტული, საზოგადოებრივი ობიექტები, თანამშრომლები და მათი მომხმარებლები
პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები	ხულოს LAG-ი, ხულოს მუნიციპალიტეტი და აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განსახორციელებლად ხულოს LAG-ის წევრები: (1) საზოგადოებრივი, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტების მოდერნიზებისა და აღჭურვილობის შეძენაში ადვოკატირება; (2) ფონდების მოძიება ასეთი განახლებებისა და შესყიდვების თანადაფინანსებზე; (3) თუკი შესაძლებელი იქნება თანადაფინანსება ტექნიკის განახლებასა და სხვადასხვა საჭიროებების შეძენაზე.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტი; აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ადგილობრივი სპორტული, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა ობიექტები
განხორციელების ვადა	Q1 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და სხვა ობიექტების მიერ მოწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება გაიზარდა დასწრება სპორტულ და საგანმანათლებლო აქტივობებში (განსაკუთრებით ახალგაზრდებში)
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 4.2 – ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერა

დასაბუთება – სოფლის ახალგაზრდობის საჭიროებები მრავალფეროვანია. არ არსებობს ყოვლისმომცველი ახალგაზრდული სერვისები და ადამიანების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა დაკავებული ახალგაზრდობის მიმართულებით. თემებში, ახალგაზრდული დაწესებულებები საკმაოდ მცირეა და თემების სხვადასხვა ინიციატორთა წინადადებები ახალგაზრდობისთვის დაწესებულებებისა და სერვისების განვითარების შესახებ წინამდებარე სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება. დაწესებულებების უზრუნველყოფის პარალელურად, ასევე საჭიროა ახალგაზრდობისთვის ტრენინგის რესურსებით უზრუნველყოფა და ახალგაზრდობის განვითარების უფრო ფართო ინიციატივების მხარდაჭერა.

ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტის მერია; აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ადგილობრივი, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტები;
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგების/ინდიკატორები და სამიზნეები	საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდობის გაზრდილი მონაწილეობა; ადგილობრივი გაზრდილი უნარები და ცოდნა ახალგაზრდობის გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან ახალგაზრდობის საქმეებში
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 4.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ახალი სათემო ახალგაზრდული ობიექტების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის ახალი აღჭურვილობის შეძენის
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ეს სტრატეგიული აქტივობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სპეციალურად მიზანმიმართული ობიექტების (სპორტის, ხელოვნების, თეატრის/მუსიკის) შექმნასა და განახლებას, ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს აღჭურვილობით უზრუნველყოფას. ასევე მოიცავს ახალგაზრდულ სერვისებსაც.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი ახალგაზრდობა
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი, ხულოს მერია და აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ის წევრები : (1) ადვოკატირებას გაუწევენ ხალგაზრდობისთვის სპეციალურად მიზანმიმართული ობიექტების შექმნასა და საჭირო აღჭურვილობით განახლებას (2) ფონდების მოძიება ამგვარი ინტერვენციების თანადაფინანსების მიზნით; (3) თუ შესაძლებელი იქნება უზრუნველყოს შუამავლობა.

სტრატეგიული აქტივობა 4.2.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტრენინგ პროგრამები
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ახალგაზრდობაზე მორგებული ტრენინგების პროგრამის მხარდაჭერა, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება დაიკავონ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი და მიაღწიონ სრულ პოტენციალს. ახალგაზრდობის სპეციფიკური ტრენინგების მხარდაჭერა. პოტენციური დაინტერესებული მხარეები გააქტიურდებიან, რათა უზრუნველყონ ეს მომსახურება და მოითხოვონ დაფინანსება ამ ქვე - თემატიკის შესაბამისად.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი ახალგაზრდობა
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი, ხულოს მუნიციპალიტეტი და აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ხულო LAG-ი ხელს შეუწყობს კონკრეტული ახალგაზრდული ტრენინგის

	პროვადირების ადგილობრივ ახალგაზრდებთან დაკავშირებას.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	ხულოს მუნიციპალიტეტის მერია; აჭარის ა / რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ადგილობრივი, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სხვა ობიექტები
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდობის გაზრდილი მონაწილეობა; ადგილობრივი გაზრდილი უნარები და ცოდნა ახალგაზრდობის გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან ახალგაზრდობის საქმეებში
პრიორიტეტი	მაღალი

ცხრილი 13 - სავარაუდო ფინანსური განაწილება კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების მიხედვით³⁵

მიზნები	O4.1 (30%)	O4.2 (63%)	
საქმიანობა	A.4.1.1	A.4.2.1 A.4.2.2	
შიდა ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა			2%
საოპერაციო და სარეკლამო პროდუქციის ხარჯები			5%
სულ			100%

5. არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობა



2017 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში 236 ბიზნეს სუბიექტი ფუნქციონირებდა³⁶. არასასოფლო

სამეურნეო მეწარმეობა ხულოს მუნიციპალიტეტში ძირითადად კონცენტრირებულია ადმინისტრაციულ ცენტრში - დაბა ხულო. ხულოს მუნიციპალიტეტში არსებობს დაახლოებით 100 მცირე ზომის ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო. წარმოდგენილია ძირითადი ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ორი ძირითადი ფილიალი (მაგ: TBC ბანკი, საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, კრედიო, ლაზიკა კაპიტალი და ა.შ). ფუნქციონირებადი ბიზნესების მცირე რაოდენობის მიუხედავად იმის დაშვებით, რომ სესხების უმრავლესობა გაიცემა ფიზიკურ პირებზე (უმეტესად მეურნეობის მფლობელებზე), ხულოს მუნიციპალიტეტში საფინანსო ინსტიტუტების კონცენტრაციის ზრდა შეიძლება იყოს გაზრდილი ბიზნეს საქმიანობის მაჩვენებელი. მიკრო და მცირე საწარმოების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 10-15% -ით. ქალაქ ხულოში, სადაც წარმოდგენილია არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების უმრავლესობა, ძირითადად, ფუნქციონირებს ბიზნესის ტიპის შემდეგი სახეობები: კაფეები და პატარა რესტორნები, სილამაზის სალონები, სასურსათო მაღაზიები, სხვადასხვა ტიპის საოჯახო ნივთების მაღაზიები, აფთიაქები, ტექნიკის სარემონტო მომსახურება, მანქანის რეცხვა და მანქანის სარემონტო მომსახურება, და ა.შ.




ხულოს მუნიციპალიტეტის ბიზნესის წლიური ბრუნვა დაბალია სხვა რეგიონულ მუნიციპალიტეტებთან შედარებით, თუმცა ბოლო წლებში პოზიტიური დინამიკა შეინიშნება.

³⁵ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტიდან

³⁶ წყარო: აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

სურათი 10 – ბიზნეს ბრუნვა და წარმოების ღირებულება (მილიონი ლარი) ხულოს მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში³⁷



2016 წელს კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად დაბალი იყო - 297 ადამიანი (მთლიანი შრომის ნაწილის 2.45 პროცენტი). იმავე წელს ბიზნეს სექტორში საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა 497 ლარს.

2016 წელს აჭარაში განხორციელებული კერძო ინვესტიციების 17 პროცენტი (72.7 მლნ აშშ დოლარი) გამოიყო ხულოს მუნიციპალიტეტისთვის³⁸. ეს ინვესტიცია ძირითადად აჭარისწყალიდან "სხალთჰესი" ჰესის პროექტიდან მოდის. 2016 წელს აჭარაში ენერგეტიკულ სექტორში ჩადებული მთლიანი ინვესტიციების 38 პროცენტი განხორციელდა ხულოს მუნიციპალიტეტში. 186 მილიონი ლარი სახელმწიფო სახსრებით განხორციელდა³⁹.



მეორადი ტანსაცმლის მაღაზია ქალაქ ხულოში



³⁷ ჯეოსტატი, 2018 წლის 10 მაისს მომდებული მონაცემები

³⁸ წყარო: აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

³⁹ წყარო: აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



ხულოში ყველის ქარხნის მაგალითი



ხულოს მუნიციპალიტეტში (დიოკნისის თემი) ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი რძის გადამამუშავებელი, ყველის ქარხანა. "ნატურალური პროდუქცია" არის პირველი და ერთადერთი ყველის

ქარხანა ზემო აჭარაში, რომელსაც აქვს იმერული ყველისა და სულგუნის ფართო მასშტაბიანი წარმოება საქართველოში. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. ქარხანა რძეს აგროვებს ხულოს მუნიციპალიტეტის 22 სოფლიდან (დიოკნისიდან, რიყეთიდან, დეკანაშვილებიდან და ნაწილობრივ დიდაჭარადან), 300-ზე მეტი ფერმერისგან. ქარხანა ყოველდღიურად 6 ტონამდე რძეს ამუშავებს და ამზადებს იმერულ ყველს (რაც ბაზრის მოთხოვნის 80%-მდე შეადგენს), სულგუნს, ხაჭოს და კარაქს.

ქარხანა წარმოადგენს შპს "ცეზარი" -ს საოჯახო საწარმოს ნაწილს და ყველს ყიდის ბათუმის აგრარულ ბაზარში, ძირითად სასტუმროებში (მაგ. ჰილტონი, შერატონი, რადისონი), რესტორნები (მაგ. პორტო ფრანკო, მიუნხენი) და სუპერმარკეტებში (მაგ. კარფური, გუდვილი, ნუგეში, ნიკორა) და ა.შ.



არასამეურნეო მეწარმეობა - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
იაფი, მაგრამ დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა; ხელსაყრელი პირობები ხე-ტყის, ხელოსნობის, მომსახურების და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისთვის; ადგილობრივი ფესტივალები ("შუამთობა", "ტბელობა", "სელიმობა", "დიდაჭარობა") ძირითადი ბანკების და MFI- ის ფილიალების არსებობა; მიკრო და მცირე მეწარმეების მზარდი რაოდენობა	ინოვაციური ბიზნესის ნაკლებობა ხულოს პირობებში; შრომითი ძალის დაბალი უნარ-ჩვევები (მაგალითად, სასტუმროები და რესტორნების პერსონალი) ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსებისა და მარკეტინგის, IT და ინგლისური ენის ცოდნის ნაკლებობა; ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების ნაკლებობა; ბიზნესების ნაკლებობა, რომლებიც შემღებდნენ ფარგლებს მიღმა ფუნქციონირებას; სეზონური ტურიზმი (მაგ. სპორტული დარბაზები, ბარები);

	ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ბიზნესების (მაგალითად, ღამის კლუბები) არ არსებობა; დაბალი დონის მომსახურება (მარკეტინგი, და ა.შ.); განუვითარებელი ხის გადამამუშავება, თევზჭერა, კარტოფილის წარმოება, მინერალური წყლის ინდუსტრია; სატრანზიტო კორიდორის პოტენციური სარგებლობის შეზღუდული გამოყენება; ბიზნესის დივერსიფიკაციის ნაკლებობა, (მაგ. ბილიარდი, ხარისხიანი რესტორნები, სათხილამურო ტექნიკის გაქირავება, საკემპინგო ადგილები, ბეშუმში გოლფის კურსი)
შესაძლებლობები	საფრთხეები
ხის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; ხელსაქმის ინდუსტრიის განვითარება; ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმების ჩამოყალიბება; ქალთა და ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმულირება; მიზნობრივი სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამების განხორციელება (მაგ. ბიზნეს გეგმის შემუშავებაში ბიზნესთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გადრმავება); ადგილობრივი პროდუქტების / სერვისების რეგიონალური / ეროვნული ბრენდინგის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (VET-ის) სტუდენტების დაკავშირება სამეწარმეო საქმიანობასთან; ინფორმაციული უზრუნველყოფა საუკეთესო პრაქტიკისა და "წარმატებული ისტორიების შესახებ" საერთაშორისო (ძირითადად ევროკავშირის) და ადგილობრივი დონეებიდან; საინფორმაციო უზრუნველყოფა დაფინანსების შესაძლებლობების, სახელმწიფო პროგრამებისა და ძირითადი საკანონმდებლო ნორმების შესახებ; ურთიერთობების ქსელი ("ნეთვორკინგის") და თანამშრომლობის მხარდაჭერა ადგილობრივი შესაძლებლობების კვლევა - ბაზრის შეფასებები (ღირებულების ჯაჭვის ანალიზის ჩათვლით); ინოვაციური, ახალგაზრდული ბიზნესის ხელშეწყობა	შრომითი ძალის მნიშვნელოვანი მიგრაცია საბაზრო ფასების მერყეობა; ხარჯების გაზრდა, განსაკუთრებით ენერგიისთვის მოსახლეობის დაბერება

არასასოფლო სამეურნეო მეწარმეობა - ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 5.1 - ახალი ინოვაციური ბიზნესის შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოვების მხარდაჭერა.

დასაბუთება – არაოფიციალური ბიზნესის დაბალი მაჩვენებელი, ინოვაციური საწარმოების ნაკლებობა, ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების ნაკლებობა, ადგილობრივი ბიზნესის დივერსიფიკაციის დაბალი დონე და ადგილობრივი კერძო სექტორის სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები ხულოს მუნიციპალიტეტში - მნიშვნელოვანია ინოვაციური ბიზნესის შექმნისა და გაფართოების ხელშეწყობა,

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობისა და ქალების მონაწილეობას.

სტრატეგიული აქტივობა 5.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	არსებული და სტარტაპ ბიზნესების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ეს აქტივობა მოიცავს ქვემოთ მოცემულ ქვე-აქტივობებს: ტრენინგები - ბიზნესის საგრანტო პროგრამისა და გრანტის მიმდებარეობის; ასეთი ტრენინგის

	თემა შეიძლება იყოს ბიზნეს გეგმის შემუშავება; ფინანსური განათლება; მარკეტინგის (მათ შორის ელექტრონული მარკეტინგის), IT, გაყიდვები, ელექტრონული ვაჭრობა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, რეგულაციებთან შესაბამისობა, რეგიონალური და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, და ა.შ. მენტორობა - სამეწარმეო ჯგუფის მეწარმე (5-6) გამოცდილი მეწარმეების მიერ გრანტის მიმღებთა (5-6) დარგობრივი ჯგუფის მენტორობა ბიზნესის უნარებისა და ცოდნის გადამცემის მიზნით; პოტენციური აპლიკანტების იდეების გენერირების სემინარები - პარტნიორობის დაფუძნება.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოს მოსახლეობა, რომელიც გეგმავს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას ან არსებული ბიზნესის გაფართოებას
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი და პოტენციური პარტნიორები (მაგ. ტრენინგის პროვაიდერები, BDS კომპანიები)
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელების მიზნით ხულოს LAG-ი ხელს შეუწყობს დამწყებ და არსებულ ბიზნესთა წარმომადგენლების დაკავშირებას, შეხვედრების ორგანიზებას და ინფორმირებას ტრენინგის მიმწოდებლებთან.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	აწარმოე საქართველოში; საქართველოს ინოვაციისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); პროგრამა: "სტარტ - აპი საქართველო"; აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაზრდილი ცოდნა იმაზე, თუ როგორ დაიწყოს და მართოს ბიზნესის

	წარმოება, როგორც "კარიერული არჩევანი", რომლის პოპულარიზაციაც ხდება ახალგაზრდობაში. განხორციელებული სხვადასხვა ტიპის სატრენინგო პროგრამები; ტრენინგის მონაწილეები და ტრენინგის შედეგები; შექმნილი სამუშაო ადგილები; გაზრდილი შემოსავლები შინამეურნეობებით.
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 5.1.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ახალი ბიზნესების შექმნა და არსებულების გაფართოება
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ეს აქტივობა მოიცავს შემდეგ ძირითად ქვე-აქტივობებს: თანადაფინანსება (გრანტის მიმღებს მოეთხოვება ფულადი შენატანების განხორციელება) ბიზნესის განვითარება და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაარსება⁴⁰. თანადაფინანსების უფრო დაბალი განაკვეთები შეიძლება გაიცეს არსებული ბიზნესის განვითარებისთვის, და ახალი საწარმოებისთვის - უფრო მაღალი განაკვეთები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ქალებს, ახალგაზრდებსა და სოციალურად დაუცველ ჯგუფებს⁴¹. დაფინანსების ზოგიერთი შეზღუდვა მოქმედებს: (1) მხოლოდ კაპიტალის დაბანდებისთვის (მაგ. მოწყობილობები, მასალები); (2) ეტაპობრივი დაფინანსება - 50-60% გრანტის დამტკიცების შემდეგ, დანარჩენი გადანაწილდება გრაფიკითა და ჩასაბარებელი ანგარიშის მიხედვით, M & E შედეგებით, გრანტის მიმღებთან თანხმობით; (3) ინოვაცია -

⁴⁰ კვიპროსის მაგალითი - "ახალგაზრდობის და ქალთა მეწარმეობის გაძლიერება სოფლად" ევროკავშირისეული სოფლის მიმოხილვა #24 <https://enrd.ec.europa.eu/sites/enrd/files/publi-enrd-rr-24-2017-en.pdf>

⁴¹ გავრცელებული პრობლემა თავიდან უნდა იქნას აცილებული: განმცხადებლები ფორმალურად არეგისტრირებენ ქალებსა და ახალგაზრდებსა და მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ჯგუფებს პრიორიტეტის მისაღებად, მაგრამ, ფაქტობრივად, სხვადასხვა არა-პრიორიტეტული ჯგუფები ახორციელებენ ბიზნეს პროექტებს. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მკაცრი შერჩევის მექანიზმებით და M & E.

	ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით; პირობითობა: შერჩევის პროცესის წარმატებული განმცხადებლები; და წინასწარი შესარჩევი ტექნიკურ შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული შეხვედრების წარმატებულ მონაწილეებს. ფოკუს-სექტორი შეიძლება იყოს: ხის გადამამუშავებელი, ხელსაქმის ოსტატები და ა.შ.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოს მოსახლეობა, რომლებიც გეგმავენ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას ან არსებული ბიზნესის გაფართოებას. ფერმერები ან ფერმერთა ოჯახის წევრები, რომლებიც კაპიტალს დებენ არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და მიკრო და მცირე საწარმოებში
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი და პოტენციური პარტნიორები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულო LAG-ი ჩართული იქნება ბიზნეს გრანტის შერჩევის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	აწარმოე საქართველოსთვის; საქართველოს ინოვაციის და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); პროგრამა: "სტარტაპ საქართველო"; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	ჩამოყალიბებული / გაფართოებული ბიზნესის ტიპი და ტრენინგის მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა. ტრენინგის შედეგები. შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა შინამეურნეოებში გაზრდილი შემოსავლები.
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 5.2 – ხულოს მუნიციპალიტეტში ინვესტირების შესაძლებლობების გაძლიერება.

დასაბუთება – შპს აჭარისწყალი ჯორჯია "სხალთის ჰესის" ჰიდროელექტროსადგურისა და ყველის ქარხნის

გარდა, ბოლო წლებში ძალიან შეზღუდული შიდა ინვესტიციები გამოიყო ხულოს მუნიციპალიტეტისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ხულოს მუნიციპალიტეტი რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებიდან ინვესტირებას იზიდავს (მაგალითად მეზობელი თურქეთიდან). ინვესტორების ხელშეწყობა მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, როდესაც ინვესტორს ესმის ადგილობრივი გარემო და ხელი მიუწვდება და აქვს მხარდაჭერა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა მხრიდან. აქედან გამომდინარე, ხულოს მუნიციპალიტეტს საინვესტიციო სტიმულირების სტრატეგია სჭირდება, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პერსპექტიულ სექტორებს გამოავლენს, ეს იქნება იმიჯის და ბრენდინგის კამპანიის ჩატარების საფუძველი, რათა მოიზიდოს ინვესტიციები და პირდაპირ დაუკავშირდეს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონის კომპანიებს.

სტრატეგიული აქტივობა 5.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ხულოში ინვესტირების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ეს აქტივობა მოიცავს შემდეგ ძირითად ქვე-აქტივობებზე თვალყურის მიდევნებას; თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება; კვლევისა და ანალიზის ჩატარება; ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე მაღალი მოცულობის ინვესტიციების მქონე სექტორების გამოვლენა, რაც ხულოს მუნიციპალიტეტის პოტენციურ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფდა. შიდა ინვესტიციებისა და საქმიანობის ეფექტურობისთვის მიზნების დასახვა, მარკეტინგის მიზნებრივი საშუალებების, პროფილის შექმნის, პოტენციურ ინვესტორებთან კომუნიკაციის, შემდგომი კონტროლის საშუალებების, და ასევე დიასპორის გამოყენების მექანიზმების შემუშავება შიდა ინვესტიციების მოსაზიდად; ინვესტორთა კითხვარების და ბიზნეს საზოგადოების

	საჭიროებებზე დაყრდნობით საინვესტიციო წინადადებების შემუშავება ⁴² .
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოს მცხოვრებნი, რომლებსაც აქვთ საინვესტიციო პროექტები, რეგიონალური, სახელმწიფო და საერთაშორისო ინვესტორები
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG და პოტენციური პარტნიორები (მაგ. ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიები)
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს LAG-ი ჩამოაყალიბებს ფოკუს-ჯგუფს, რომელიც შექმნის ხულოს საინვესტიციო სტრატეგიას და ფინანსური შესაძლებლობების გამოყენებით თანადაფინანსების ფარგლებში განახორციელებს სტრატეგიას. გარდა ამისა, ხულო LAG შეაგროვებს საინვესტიციო წინადადებებს ადგილობრივ მეწარმეებგან და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვის პროცესს რეგიონალურ, ეროვნულ და პოტენციურად საერთაშორისო დონეზე.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	აწარმოე საქართველოსთვის; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); პროგრამა: "სტარტ-აპ საქართველო"; აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
განხორციელების ვადა	Q1 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაზრდილი ინვესტიციები ხულოში; შემუშავდა საინვესტიციო წინადადებები; საინვესტიციო პროექტები იქნა მოზიდული; საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ადგილები;

	კაპიტალის ღირებულება საინვესტიციო პროექტებისგან; შინამეურნეობების შემოსავლები გაიზარდა.
პრიორიტეტი	საშუალო

ამოცანა 5.3 – კავშირების, ბრენდირებისა და ინფორმაციის გავრცელების მხარდაჭერა.

დასაბუთება – მნიშვნელოვანია, რომ ხულოს მეწარმეებმა ღირებულების ჯაჭვები ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განავითარონ და შექმნან ახალი ბიზნეს პარტნიორობა და ქსელები, რაც ხელს შეუწყობს მათ ზრდას. გარდა ამისა, გავრცელებული პრაქტიკაა ადგილობრივი პროდუქტების / მომსახურების გაერთიანება ერთი ქოლგის ქვეშ, ადგილობრივი ბრენდის ჩამოყალიბება, რათა შემდგომში მოხდეს მისი პოპულარიზაცია რეგიონალურ და ეროვნულ ბაზრებზე⁴³. ბიზნესის ინტერესებში უფრო მეტი დაინტერესის მოპოვებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოტივირებისთვის, რომ გადავიდნენ არასასოფლოსამეურნეო საქმიანობაზე, შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებული ჯილდოები, კონკურსები, საინფორმაციო დისკუსიები.

ხულოს, როგორც ბრენდის ხელშეწყობის გარდა, უნდა გავრცელდეს წარმატებული ისტორიებიც დაწყებულ ბიზნესთან მოტივაციისთვის

სტრატეგიული აქტივობა 5.3.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ბიზნეს პარტნიორობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირება და წარმატებული ისტორიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ქსელი და კავშირები: გრანტის მიმღებთა და ტრენინგის მონაწილეთა მოზილიზება, რათა: ა)

⁴² ინდიკატური შინაარსი შეიძლება იყოს: მუნიციპალიტეტის მოკლე დახასიათება - მუნიციპალიტეტის ერთი გვერდი მიმოხილვა ზოგადი ფაქტებით; საკვანძო საკითხები –კონკრეტული მრეწველობისა და სექტორის საჭიროებები; პროექტის მოკლე აღწერა- პროექტის მიზნები და მოთხოვნები; მუნიციპალური გადაწყვეტილებები - საქმიანი და ღირებული წინადადება; პროექტის გუნდი და რესურსები - მანდატი, საკვანძო მომსახურება, მსგავს კომპანიებთან მუშაობის წინა გამოცდილება; არსებული ინვესტორები და ცნობები - მტკიცებულებათა უზრუნველყოფა - არსებული ინვესტორების ჩვენებები ან / და სიტუაციური ანალიზები; რატომ ხულო - 5 ძირითადი მიზეზი, თუ კომპანიამ რატომ უნდა განახორციელოს ინვესტირება ხულოში და მხარდაჭერა, რის უზრუნველყოფაც შეუძლია ხულოს მუნიციპალიტეტს; შემდგომი ქმედება - შემოთავაზებული გრაფიკი შემდგომი ქმედებებისათვის (მაგ. საიტის ვიზიტი); დანართები - სასარგებლო ინფორმაცია

⁴³ Fuchsia-ს რეგიონალური ბრენდინგის მაგალითი: <http://www.regional-products.eu/en/brands/detail/362/west-cork-fuchsia>

	ითანამშრომლონ ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოებთან, რაც უზრუნველყოფს დამატებითი მხარდაჭერის სტიმულს სხვა შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით; 2) ჩაერთონ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებთან, რათა განიხილონ ბიზნეს შეზღუდვები და თანამშრომლობის სფეროები; 3) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მსგავს დარგობრივ ბიზნესებთან დაკავშირება მოკლევადიანი მენტორობის სახით 4) ნეთვორკინგის პარტნიორობის ჩამოყალიბება რეგიონალურ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. ბრენდინგი: ადგილობრივი დარგობრივი ჯგუფების მხარდაჭერა მათი პროდუქციის/მომსახურების წარმატებული ადგილობრივი ბრენდინგის შემუშავება და შენარჩუნება. 1) ბრენდის შემუშავება; 2) ბრენდინგის მდგრადობის დაგეგმვა; სააგიტაციო კამპანია; 1) საუკეთესო საქმიანობების გაშუქება მედიაში; 2) ჯილდოს გადაცემა- "წლის მეწარმე"; 3) საუკეთესო პრაქტიკების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელება, კონკრეტული შემთხვევების დოკუმენტურად აღწერა.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ხულოს მეწარმეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბიზნეს პარტნიორობისა და ქსელების ჩამოყალიბებით
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	ხულოს LAG-ი და პოტენციური პარტნიორები

ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს ლაგის წევრები ხელს შეუწყობენ სოციალური ბიზნეს საზოგადოების სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესს (მათ შორის შეხვედრების ორგანიზება ბიზნესწარმომადგენლებს შორის), რათა დაეხმარონ ქსელის, ბრენდინგისა და ადგილობრივ ბიზნეს შესაძლებლობებს.
სხვა პარტნიორი ორგანიზაცია	აწარმოე საქართველოში; საქართველოს ინოვაციისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA); პროგრამა: "სტარტ-აპი საქართველო"; აჭარის ა / რ ფინანსურ და ეკონომიკის სამინისტრო; ევროკავშირის კოლეგები;
განხორციელების ვადა	Q2 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და სამიზნეები	გაზრდილი B2B პარტნიორობა / ქსელები ხულოს პროდუქციისა და მომსახურების გაზრდილი კონკურენტული უპირატესობა ჩამოყალიბებული ბიზნეს პარტნიორობის რაოდენობა; საერთო ქოლგის ქვეშ ბრენდირებული პროდუქტების რაოდენობა ხელშეწყობილი წარმატებული ისტორიების რაოდენობა შინამეურნეობების გაზრდილი შემოსავალი
პრიორიტეტი	საშუალო

ცხრილი 14 - არასამეურნეო მეწარმეობისთვის სავარაუდო ფინანსური განაწილება⁴⁴

მიზანები	O5.1 (60%)	O5.2 (25%)	O5.3 (8%)	
საქმიანობები	A.5.1.1 A.5.1.2	A.5.2.1	A.5.1.3	
შიდა ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა				2%
საექსპლუატაციო ხარჯები და აქტივობები				5%
სულ				100%

⁴⁴ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტიდან

6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა



სტიქიური უბედურებები - ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლის და მრავალფეროვანი ლანდშაფტის გამო ხულოს მუნიციპალიტეტში არსებობს მთელი რიგი ბუნებრივი საფრთხეები : მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები, წყალმოვარდნები და დიდთოვლობა. ამ საფრთხეებს კლიმატის ცვლილება და ანთროპოგენური ფაქტორიც აძლიერებს. აჭარაში გეოლოგიური საფრთხეების წინაშე ყველაზე მოწყვლადი ტერიტორიები ხულოს მუნიციპალიტეტშია⁴⁵. აქვე მიმდინარეობს მეწყერ-ღვარცოფების პროცესების უმეტესობა. 2017 წლისთვის აქ დაახლოებით 400 მეწყერია აღნუსხული. ხულოში არსებობს ⁴⁶ საშუალო და მაღალი რისკების ზვავსაშიში დასახლებები სადაც ზვავის შეტყობინების სისტემების განთავსებაა აუცილებელი.

გეოლოგიური პროცესების (განსაკუთრებით მეწყერების) მონიტორინგის საყოველთაოდ აღიარებული, თანამედროვე სისტემების დანერგვა ხულოს მუნიციპალიტეტში ძალიან მნიშვნელოვანია.

ცხრილი 15 - ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი გეოლოგიური მოვლენების შესაძლო განვითარების ზონები და რისკის ზონები⁴⁷

გეოლოგიური პროცესი	ადგილმდებარეობა	შესაძლო გაზომვები / გამოთვლები
--------------------	-----------------	--------------------------------

მეწყერები	ჭახური, გორგაძეები, წაბლანა, ფუშრუკაული, მახალკური, დანისპარაული, ბოძური, დიდი რიყეთი, ჯვარიქეთი, ბოძური, დიდაჭარა, ვაშლოვანი, ზემო ვაშლოვანი, უჩხო, ძირკვაძეები, ზედა დეკანაშვილები, ქედლები, ელეიძეები, გელაურა, სკვანა, ხიხადირი, ქვედა თხილვანა, ბაკო	თითოეული მეწყერის დეტალური გეოლოგიური შესწავლა; გაბიონების და სხვა დამცავი კედლების აგება საჭიროებისამებრ; სადამკვირვებლო პუნქტების ან ინკლინომეტრების დამონტაჟება მეწყერების მოქმედების სამეთვალყურეოდ; ღრმავსვნიანი ხეების დარგვა; ფერდობების დატერასება;
ზვავები	აგარა, ყინჩაური, ავაზისღელე, ოშანახევი, ირემაძეები, სხანდარა, დეკანაშვილები, ხიხანი, ბაკო	შეტყობინების სისტემების დამონტაჟება, ისეთების როგორიცაა დოპლერი ან ვიდეო კონტროლი;
წყალმოვარდნა	ღორჯომი, ლაბაძეები, მახალკური, დიოკნისი, უჩხო, საციხური, ხიხანი, სხალთისწყალი	დასახლებებში ადრეული შეტყობინების სისტემის დამონტაჟება. მსგავსი სისტემა დამონტაჟებულია დევდარაკში (ყაზბეგი);
ღვარცოფი	ყინჩაური, მანიაკეთი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი, სხანდარა	შეტყობინების სისტემების დამონტაჟება, ისეთების როგორიცაა დოპლერი ან ვიდეო კონტროლი;
ქვათაცვენა	ანალექი, დიდაჭარა	შეტყობინების სისტემების დამონტაჟება, ისეთების როგორიცაა

⁴⁵ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

⁴⁶ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

⁴⁷ წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველო

		დოპლერი ან ვიდეო კონტროლი;
ეროზია	ღორჯომელაძეები, ღურტა, საციხური	სხვადასხვა, თითოეული ეროზიული პროცესის შესწავლის გათვალისწინებით;

ბუნებრივი საფრთხეების მაგალითები თემების მიხედვით:

ღორჯომი - ღორჯომის თემის სოფელ ჭახაურის ზედა მონაკვეთში, მთის ფერდობზე, დიდი მეწყერია ღრმა ნაპრალობით. ამ ლოკაციაზე საჭიროა სადამკვირვებლო პუნქტები ან ინკლინომეტრის დამონტაჟება მეწყერის მრავალმხრივი მონიტორინგისთვის, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას და მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემს დროულად შეიტყონ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სოფელ გორგაძეებში მეწყერი სოფლის გზასა და სამ სახლს აყენებს ზიანს. სოფლებში ღორჯომი და ლაბაძეები წყალმოვარდნის საფრთხე არსებობს. სოფელ წინწკალაშვილებში მეწყერი ოთხ სახლსა და დიდაჭარა-ღორჯომის გზაზე ზემოქმედებს.

ხიხამირი - მთავარი საფრთხეები ხიხამირის თემში მეწყერები და ზვავებია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სოფელ ხიხამირში ზვავმა ექვსი სახლი საგრძნობლად დააზიანა. მდინარე სხალთისწყალზე რეგულარული წყალმოვარდნა 12-15 სახლს აზიანებს. სოფელ სკვანაში კი ერთი მაღალი რისკის შემცველი მეწყერია, რომელიც ხუთ სახლს უქმნის საფრთხეს.



დიოჯნისი - აქ უმეტესად მეწყერები, ზვავები, ეროზიული პროცესები და წყალმოვარდნები ჭარბობს. სოფელ დიოჯნისის მთის ნაკადულიდან მოვარდნილი წყალი აზარალებს. წყალმოვარდნა ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში იცის თოვლის დნობისა და თავსხმა წვიმის გამო. წყალმოვარდნით გამოწვეული რისკების შემცირებისთვის უსაფრთხოების ზომად შესაძლოა თემში ადრეული შეტყობინების სისტემის დამონტაჟება გამოდგეს. დიოჯნისში მაღალი რისკის მქონე 4 მეწყერია, რაც ზემოქმედებს საცხოვრებელ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, არის აგრეთვე ეროზიული პროცესები, რომლებიც, რომლებიც მოქმედებს სოფლის გზებსა და სასოფლო სამეურნეო მიწებზე. სოფლებში მანიაკეთი, ტაბახმელა და ჯვარიქეთი ასევე ხშირია ღვარცოფები.



მეწყერი ხულოში

ბოტანიკური ბაღი - გოდერძის ალპური ბაღი ხულოს მუნიციპალიტეტში, აჭარა-თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. მას 10 ჰექტარამდე ფართობი

უჭირავს. ათწლეულების წინ ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი სუბ-ალპური ტყით იყო დაფარული. გოდერძის ალპური ბაღის ტერიტორია ჰაბიტატების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ წარმოდგენილია ტყე, მდელო, ჭაობი და ქვიანი ეკოტოპი. გოდერძის ალპური ბაღის მისია⁴⁸ ხელი შეუწევს მაღალი მთის ადგილობრივ მცენარეთა კოლექციის თავმოყრას ალპურ ბაღში, მის დოკუმენტირებას და გამოყენებას სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნებისათვის, ასევე მათი დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის. გოდერძის ალპური ბაღის სამომავლო გეგმებია: მცენარეთა კონსერვაცია; ეკო-განათლების ხელშეწყობა; სუბ-ალპური ტყის ზოლის აღდგენა; სოფლად ტურიზმის განვითარება.



ნარჩენების მართვა – 1989-1991 წლებში, ხულოში გახსნილი ნაგავსაყრელები 2010 წელს გაუქმდა და ამჟამად ნარჩენები ხულოდან ბათუმის დიდ ნაგავსაყრელზე გადააქვთ (კვირაში სამჯერ, ზაფხულში - ოთხჯერ)⁴⁹. გაუქმდა პატარა (0.03 ჰა) ნაგავსაყრელი ბეშუმში, სადაც 6,600 მ³ ნარჩენები იყო თავმოყრილი. ხულოს მუნიციპალიტეტში ნარჩენები მხოლოდ სოფლების მოსახლეობიდან გააქვთ. მოშორებული ტერიტორიები ნაგვისგან არ იწმინდება. თემებში ბევრი არაოფიციალური და არაორგანიზებული ნაგავსაყრელია. როგორც წესი, ასეთი ნაგავსაყრელები ან გზების სიახლოვესა განთავსებული, სოფლის შესასვლელში ან ბოლოს, ან მდინარეებთან/ნაკადულებთან ახლოს. მაგალითად,

სოფელ დიორკნისში სამი უკანონო ნაგავსაყრელია, რომელთაგან ორი ნაკადულის სიახლოვესაა, ერთი კი - სოფლის გზის გასწვრივ. ღორჯომში ოთხი ნაგავსაყრელია გზებისა და მდინარის სიახლოვეს. ყველა მსგავსი ნაგავსაყრელიდან დაბინძურებული ნარჩენები საბოლოოდ ნაკადულებში ჩაედინება, მერე კი - მდინარე აჭარისწყალში. შესაბამისად, ამგვარი ნაგავსაყრელები შეგვიძლია მივიჩნიოთ წყლის დაბინძურების წყაროდ.

2016 წელს, ხულოში, ოჯახური მეურნეობებიდან 200 ტონა, საწარმოებიდან კი 250 ტონა ნარჩენები იქნა გატანილი⁵⁰.



ამ პრობლემის გადასაჭრელად, 2010 წლიდან, ხულოს მუნიციპალიტეტმა ნარჩენების 164 კონტეინერი და ნაგვის გადასაზიდი ორი მანქანა შეიძინა ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის. კურორტ ბეშუმში დამატებით 70 კონტეინერია განთავსებული. ამჟამად, 84 დასახლებიდან 52-ია აღჭურვილი ნარჩენების კონტეინერებით. თუმცა, კონტეინერებისა და გადასაზიდი მანქანების რაოდენობა კვლავ არ არის საკმარისი. 15 სოფელში საერთოდ არ დგას ნარჩენების კონტეინერები. ზამთრობით, პრობლემა აგრეთვე ნარჩენების კონტეინერებიდან დაცლის ადგილამდე ტრანსპორტირება. სოფლებთან დამაკავშირებელი ბევრი გზა დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია. „ხულოს

⁴⁸ მისიის მხარდამჭერია რამდენიმე დაინტერესებული მხარე, მათ შორის აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ხულოს მუნიციპალიტეტი, შპს „აჭარისწყალი საქართველო“, საერთაშორისო ორგანიზაციის Mercy Corps-ის წარმომადგენლობა და მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა

⁴⁹ წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

⁵⁰ აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის წინასწარი განხორციელებადობის კვლევა, CoE, 2017

მუნიციპალურ სერვისი“ ნარჩენების ახალი კონტეინერების დამატებას და მუნიციპალიტეტის სოფლებისა და გარეუბნების დასუფთავებას გეგმავს⁵¹.

ცხრილი 16 – ნარჩენების კონტეინერების რაოდენობა თემების მიხედვით

თემი	ნარჩენების კონტეინერების რაოდენობა
ლორჯოში	11
აგარა	6
სხალთა	9
ფუშრუკაული	6
რიყეთი	8
დიოვნი	18
დიდაჭარა	9
ვაშლოვანი	20
დეკანაშვილები	30
ხულო	23
საციხური	7
ხიხაძირი	8
თხილვანა	9

ატმოსფერული ნალექები - ნალექები ძლიერი წვიმის სახით ხულოში გაცილებით ნაკლებია ვიდრე დანარჩენ აჭარაში. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში (1960 წლიდან), ხულოში ძლიერი ნალექიანობის შემთხვევების რიცხვმა არსებითად იმატა (23%-ით). მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის დღეების რაოდენობა უხვი ნალექიანობით (>90მმ) საგრძნობლად გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ მომავალში, შესაძლოა, ბუნებრივი საშიშროებების შემთხვევებმაც იმატოს, ამიტომ საჭიროა კატასტროფების რისკების შემცირების ზომების დაგეგმვა და განხორციელება⁵². დაბა ხულოსა და ბეშუმში ორი მეტეოროლოგიური სადგურია, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ ამინდს აკვირდებოდა. რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურებას, ხულოს მუნიციპალიტეტში ის 0.6 ტონას შეადგენდა (2017 წელს).

ტყეები – ხულოს მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსებით, რომელსაც მისი ტერიტორიის დაახლოებით 52 პროცენტი - 37,325 ჰა უკავია (ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ჩატარებული აღწერისა და მართვის გეგმის მიხედვით). ტყეების რაოდენობაა სამი და ის 139 ბლოკს მოიცავს. ტყეების შემადგენლობა მრავალფეროვანია და ხეებისა და ბუჩქების 400-მდე ტიპს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია შემდეგი ტიპები: წიფელი, წაბლი და ნაძვი. გასული ათწლეულების განმავლობაში ტყეებში მავნე დაავადებები გავრცელდა, ასე რომ ახლა მათი დაახლოებით 6 პროცენტი დაავადებულია. წიწვოვან ტყეებში ნაძვის დიდი ლაფანჭამია, ქერქიჭამია ტიპოგრაფი და კენწეროს ქერქიჭამია სჭარბობს. ისინი ტყის ხარისხის გაუარესებას და ხეების სტაბილურობის კარგვას იწვევენ⁵³. რეგიონში ტემპერატურის მატების მსგავსად, დაავადებები მაღალმთიანი წაბლის ტყეებისკენ მიიწევენ (როგორც ეს ხულოს მუნიციპალიტეტშია)⁵⁴.

ხულოში ყოველწლიურად 220 მ³-მდე ხე-ტყე უკანონოდ იჭრება. უკანონო ჭრის გამო სუბალპურ ზონაში არის მონაკვეთები, სადაც მთელი ტყე გაჩეხილია და ალპურ სამოვრებადაა ქცეული. ასეთი შემთხვევის მაგალითია კატრიანის მონაკვეთი ბეშუმის მახლობლად, სოფელ თხილვანის მიმდებარე ტერიტორია და ა.შ.



⁵¹ <http://ajaratv.ge/news/en/24847/new-ip-khulo-municipal-service.html>

⁵² საქართველოს მესამე სახელმწიფო დონის კომუნიკაცია UNFCC-თან

⁵³ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

⁵⁴ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

ხალხი რეგულარულად იყენებს ტყეს, ძირითადად საწვავად⁵⁵, სამშენებლო მასალად, აგრეთვე, სხვადასხვა ველური ხილის, სოკოების და კენკრის შესაგროვებლად. რადგან უმეტეს შემთხვევებში ხე-ტყის ჭრა უკონტროლოდ მიმდინარეობს, რისკის ქვეშ მყოფ ფერდობებზე (მეწყერების მაღალი რისკი პირდაპირ ეხება საცხოვრებელ სახლებს, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს, გზებს თუ სხვა ინფრასტრუქტურას), შესაძლოა განვითარდეს ინტენსიური მეწყერული პროცესები.

ნიადაგი - კომპლექსური ტერიტორიებისა და კლიმატური პირობების გამო ხულოში ძლიერი ეროზიაა (215 ჰა). ამ რეგიონში რეგისტრირებული ნიადაგის 11 ტიპიდან ყველაზე გავრცელებული რუხი (მთის) და მთა-მდელოს კორდიანი (ალპური ზონა) ნიადაგია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მძიმე ატმოსფერული ნალექების მატების და სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების გამო, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის საგრძნობი მატება შეინიშნება და სახნავი მიწის 30-35%-ს მოიცავს. სუბალპურ ზონაში, ცხოველების მიერ მიწის აქტიური გამოყენების შედეგად, ბალახის საფარი მრავალ ადგილას განადგურდა. ამას თან სდევს ნიადაგის დეგრადაცია, რომელზეც ასევე მიმდინარეობს ხე-ტყის უკანონო ჭრა.

სასოფლო-სამეურნეო მიწებს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის 25%-ზე ნაკლები უჭირავს. მათი უდიდესი ნაწილი განლაგებულია ფერდობებზე, რომელთა დაქანება 10%-ზე მეტია. ხულოში, სასოფლო-სამეურნეო სექტორში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული, მთავარი პრობლემები შემდეგია: სახნავი მიწების ეროზია და განაყოფიერების/ნაყოფიერების დარღვევა/კლება; მცენარეთა (მაგ.: კარტოფილის) სხვადასხვა ტიპის დაავადებების გავრცელება.

წყლის რესურსები – ხულოს მუნიციპალიტეტი დაახლოებით 13,000 ათას მ³ სუფთა წყალს მოიხმარს,

ნარჩენი წყლები კი დაახლოებით 700 ათასი მ³-ის ოდენობით გაედინება. .

ხულოს მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარე აჭარისწყალია, რომლის სიგრძე 90 კმ-ია, წყლის საშუალო ხარჯია 51.5 მ³/წ. ამ მდინარეზე აშენებულია „შუახევი ჰესი“ და დიდაჭარი კაშხალი



ტბები - შავი ტბა (სოფელი ხიხამირი, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ზემოთ) და დიდი მწვანე ტბა (მოცულობა - 85,424 მ³, სიღრმე 17 მ) მდინარე აჭარისწყლის ზედა ნაწილში მდებარეობს, არსიანი ქედის დასავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრის სიმაღლეზე. მდინარე აჭარისწყალი წვანე ტბიდან იღებს სათავეს⁵⁶.

ცხრილი 17 – მინერალური წყლები ხულოს მუნიციპალიტეტში⁵⁷:

მინერალური წყაროების ადგილმდებარეობა	წყლის ტიპი ქიმიური კომპოზიციის მიხედვით	დებეტი (ლიტრი/დღე ში)
წაბლანა	სულფატური რკინიან-ნატრიუმია	12,000
ხიხამირი	ჰიდროკარბონატულ-კლორიდულ-სულფატური ნატრიუმ-კალციუმიანი	4,500
დანისპარაული	ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-მაგნიუმიანი	2 000

⁵⁵ ხულოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე გაზომომარაგების პროექტი, სავარაუდოდ, შეცვლის ხის მასალის საწვავად გამოყენების ტენდენციას

⁵⁶ წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

⁵⁷ წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

დოკონისი	სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმთან-კალციუმთან-მაგნიუმთან	2,500
აბანოსყელი	სულფატურ-ჰიდროკარბონატული რკინიან-კალციუმთან-მაგნიუმთან	45,000
ყინჩაური	ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმთან-რკინიანი	8,000
ბოღაური	თერმული, გოგირდწყალბადიანი , ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმთან-კალციუმთან	3,500

გამოთვლების მიხედვით, 2021-2050 წლებში, წყლის დეფიციტის გამო ხულოელი მიწათმოქმედები ჰექტარზე დაახლოებით ორი ტონით ნაკლებ კარტოფილს მოიწევენ⁵⁸.

არაორგანული ძეგლები და ბუნებრივი რესურსები - ქოჩახის მაცივარი (სოფელი ხიხაძირი), ქვასვეტი (5-6 მ.-ის სიმაღლის გეომორფოლოგიური წარმონაქმნი, სოფელი კალოტა). ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს დანისპარაულის ანდეზიტის და დაციტის საბადოები 2.3 მილიონი მ³ მარაგით, რომელიც ამ პროდუქციით მომარაგებას 75 წლის განმავლობაში გაწევდება.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მრავალფეროვანი ლანდშაფტი და მდიდარი, განსხვავებული ფლორა და ფაუნა; გარემოს დაცვის საკითხების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი ინტერესი ; წყლის მნიშვნელოვანი რესურსები, მინერალური და სუფთა წყლის რეზერვები, ბუნებრივი რესურსების (ტყე, თევზი) არსებობა; პატარა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად ხელსაყრელი პირობები; ალპური ბოტანიკური ბაღი; სუფთა ჰაერი; ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის არსებობა;	ხე-ტყის უკანონო ჭრა; ნარჩენების შესაფერისი მართვის და არასათანადო მართვის შედეგების თაობაზე მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა; მცენარეთა დაავადებები; გეოლოგიური საშიშროებები (მეწყრები, ღვარცოფები, ძლიერი წვიმა და ა.შ.); ნარჩენების შეგროვების ძალიან დაბალი მაჩვენებელი; წყლის რესურსების არა მდგრადი მართვა სასუქისა და პესტიციდების გამოყენებით (ამიაკი, მძიმე მეტალები), წყლის რესურსების დაბინძურება; გარემოსდაცვითი მონიტორინგისთვის არასაკმარისი ინფრასტრუქტურა; კანალიზაციის ნარჩენი წყლების ჩადინება პატარა მდინარეებში და მათი ბაქტერიული დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების არასაკმარისი მონიტორინგი; ნარჩენების ჩაყრა მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებში; ენერგოეფექტური პროექტების არარსებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
ბუნებრივი საშიშროებების - ზვავების, მეწყრების და სხვა - წინასწარი შეტყობინების სისტემების განვითარება; ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (ნარჩენების	ეროზიის მაღალი რისკი (სამოვრები); ბუნებრივი საშიშროებების მაღალი რისკი (ძირითადად მეწყრების, ზვავების და ღვარცოფების); ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი საკითხების ნაკლებად გათვალისწინება;

⁵⁸ აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, UNDP, 2013

კონტინენტების, ნავსაყრელი მანქანების და ა.შ. რაოდენობის გაზრდა); წყლის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება; სასუქისა და პესტიციდების (ამიაკი, მძიმე მეტალები) გამოყენებით გამოწვეული რისკების შემცირება; ბუნებრივი საშიშროებების რუკის შედგენა და რისკების მართვის გეგმების შემუშავება (მაგ.: მეწყერებისთვის).	კლიმატის ცვლილება (ძირითადად, ატმოსფერული ნალექების მატება მომდევნო ათწლეულების განმავლობაში)
--	---

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - ამოცანები და აქტივობები

ამოცანა 6.1 – გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მაცხოვრებელთა ცნობიერების ამაღლება, ცნობიერების ამაღლება გარემოს ცუდად დაცვის შედეგების შესახებ და საგანგებო სიტუაციების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

დასაბუთება – ეკოლოგიურ განათლებას და ტრენინგს ხულოს მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგრადობისთვის ცოდნის, უნარების, ღირებულებების და აქტივობებისთვის საჭირო კომპეტენციის მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად კომპლექსური ჩარევა (ინფრასტრუქტურული განვითარება) გახდეს საჭირო, უამრავი შემთხვევაა, როდესაც საკუთარი ქმედებებით გამოწვეული რისკებისა და შედეგების უკეთ გაცნობიერებით ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია ადგილობრივ გარემოზე ზემოქმედება შეამციროს. მაგალითად, ხულოს მუნიციპალიტეტში არსებობს ხე-ტყის უკანონო ჭრის, მდინარეების აუზებში ნარჩენების ჩაყრის და ა.შ. მავნე პრაქტიკა. ეკოლოგიური განათლება და წვრთნა კი ეკოსისტემის ფუნქციონირების უკეთ აღქმას უწყობს ხელს, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და ზრდის ხალხის შრომისუნარიანობას, რასაც თავის მხრივ შედეგად ეკოლოგიურად გამართული საფერმო მეურნეობები, საწარმოები და ქვევითი ცვლილებები მოჰყვება. გარდა ამისა, ხულოში ბუნებრივი საშიშროებების (მაგ.: ზვავები, მეწყრები, ღვარცოფები) გათვალისწინებით, თემებს, სულ ცოტა, საბაზისო ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეთ, თუ როგორ მოემზადონ და შეხვდნენ საგანგებო სიტუაციებს ამგვარი ბუნებრივი საშიშროებების წარმოქმნის შემთხვევაში.

სტრატეგიული აქტივობის დასახელება	გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და დასუფთავების აქციების ჩატარება
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	საკვანძო აქტივობებს შორის უნდა იყოს: ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ადგილობრივი თემების ყურადღებას მიიპყრობს. ხულოს მუნიციპალიტეტზე მორგებული, კონკრეტული საკამპანიო გზავნილების დამუშავება. გზავნილების მიწოდების ყველაზე შესაფერისი მეთოდების შემუშავება (კონცერტები, პოსტერები, ნიშნები, კარდაკარ შეხვედრები, კონკურსები და ა.შ.) . ასევე შესაძლებელია დასუფთავების აქციების ჩატარება.
პირველადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ფერმერები, სკოლის მოსწავლეები, თემის ლიდერები, ყველა დაინტერესებული მაცხოვრებელი
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ხულოს მუნიციპალიტეტი და პარტნიორი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულოს ლაგი იმუშავებს სპეციალური სააგენტოების და ორგანიზაციების მოწვევაზე, რომლებიც ჩაატარებენ საინფორმაციო კამპანიას ხულოში. ამასთან, ჩაატარონ დასუფთავების აქციები.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია:	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; რეგიონული და ეროვნული არასამთავრობოები

განხორციელების ვადა	Q4 2018 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და მიზნები	რეგიონში არსებული გარემოს დაცვის პრობლემების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდილი დონე; ქვეყნითი ცვლილებები გარემოსდაცვითი ქმედებების უფრო მეტი პასუხისმგებლობით შესასრულებლად; ბუნებაში უკანონოდ გადაყრილი მუნიციპალური ნარჩენების შემცირებული რაოდენობა; კამპანიის მიერ მოცული ხალხის რაოდენობა და მათი გამოხმაურება
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 6.1.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	ტრენინგები ორგანიზებული უნდა იყოს სპეციალური პროგრამებით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ხულოს გარემოსდაცვით საკითხებზე თემში ჩატარებული ტრენინგების თემები შეიძლება იყოს: ტყის რესურსების მდგრადი მართვა; საძოვრების დაცვა და მართვა; ნარჩენების მართვა და ა.შ.. სახელმძღვანელოს სახით ორგანიზატორებს შეუძლიათ გამოიყენონ „კლიმატის ცვლილებები და ტყის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ ⁵⁹ . გადაუდებელ სიტუაციებში რეაგირების საკითხი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ თემებს: თემის მობილიზაციას; ოპერატიულ სამედიცინო ჩარევას და ა.შ.
პირველადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ფერმერები, სკოლის მოსწავლეები, თემის ლიდერები, ყველა დაინტერესებული მოსახლე
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ხულოს მუნიციპალიტეტი და პარტნიორი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები

ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულო LAG ხელს შეუწყობს ინტერესთა ჯგუფებისა და თემების გარემოსდაცვითი და საგანგებო რეაგირების ტრენინგის მომწოდებლებთან დაკავშირებას, ორგანიზებას და ინფორმირებას.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია:	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; რეგიონული და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები
განხორციელების ვადები	Q1 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და მიზნები	რეგიონში გარემოს დაცვის არსებული პრობლემების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდილი დონე; ინფორმირებულობის გაზრდილი დონე და თემის გაფართოებული შესაძლებლობები ყველანაირ საშიშროებასა და მათ გავლენასთან დასაპირისპირებლად; ქვეყნითი ცვლილებები გარემოსდაცვითი ქმედებების უფრო მეტი პასუხისმგებლობით შესასრულებლად; ბუნებაში უკანონოდ გადაყრილი მუნიციპალური ნარჩენების შემცირებული რაოდენობა; ნახშირორქანის შემცირებული ემისია; გადაუდებელ სიტუაციებში რეაგირების გაზრდილი ეფექტურობა; გადაუდებელ სიტუაციებში რეაგირების სათემო ჯგუფების ჩამოყალიბების პოტენციალი (CRT) ⁶⁰ ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა (სულ ცოტა - 300)
პრიორიტეტი	საშუალო

⁵⁹ შესაძლოა დაეყრდოს დამხმარე სახელმძღვანელოს „კლიმატის ცვლილება და ტყის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“, WWF კავკასიის პროგრამების ოფისი (WWF-კავკასია) და WWF გერმანია (WWF-გერმანია)

⁶⁰ <https://www.fema.gov/news-release/2003/05/29/community-emergency-response-team-cert-program>

ამოცანა 6.2 – კატასტროფის რისკის შემცირებაზე რეაგირების ეფექტურობის გაზრდა.

დასაბუთება – როგორც ამავე თავში ზემოთ არის ნახსენები, აჭარაში ხულოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი მუნიციპალიტეტია გეოლოგიური საფრთხეების წინაშე. მეწყრული პროცესებისა და ღვარცოფების უმეტესობაც სწორედ ამ მუნიციპალიტეტზე მოდის. აქ გავრცელებულ ბუნებრივ საშიშროებებს შორისაა მეწყრები, ღვარცოფები, ზვავები, წყალმოვარდნა და დიდთოვლობა. დღეს და ახლო მომავალში არსებული ბუნებრივი საშიშროებების დიდი რისკები უფრო აქტიურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც სტიქიური უბედურებების ეფექტურ შემცირებას უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების ყველა ეტაპზე. საგულდაგულო დაგეგმვის, შედეგების შემსუბუქების და ოპერატიული ქმედებების წყალობით, ხულოს მუნიციპალიტეტში ნებისმიერი სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება.

სტრატეგიული აქტივობა 6.2.1

სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ხულოს მუნიციპალიტეტის კატასტროფის რისკის შემცირების გეგმის (DDR) განვითარების ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	სტიქიური უბედურებების რისკის შემცირების გეგმა შემდეგ საორიენტაციო აქტივობებზე/თემებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს: (1) სტიქიური უბედურებების პრევენცია და შემცირება (რისკების შეფასება, ადრეული შეტყობინებების სისტემების შემოღება და განვითარება, სტიქიური უბედურებების რისკის შემცირებაში თემების ჩართულობის გაზრდა, რესურსების გამოყოფა და ა.შ.); (2) სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნა (სტიქიური უბედურებების რისკის შემცირების კვლევების, აგრეთვე სხვადასხვა ტრენინგების (როგორც ეს A.6.1.2 პუნქტშია მოცემული), პროცედურების ჩატარება, კომუნიკაცია და ა.შ.); (3) რეაგირება სტიქიურ უბედურებებზე (ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, სამმებრო-სამაშველო ოპერაციების უნარების

	გაუმჯობესება); (4) რეაბილიტაცია და აღდგენა (სტიქიური უბედურებების რისკის შემცირების სხვა მუნიციპალურ გეგმებში, ასევე სოფლის მმართველობის გეგმაში ჩართვა, სტიქიური უბედურებების შედეგების შეფასება და ა.შ.)
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ბუნებრივი საშიშროებების მაღალი რისკების წინაშე მყოფი თემები (მაგ.: დიოკნისი, დეკანაშვილები და ხიხამირი)
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ხულოს მუნიციპალიტეტი და პარტნიორი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელების მიზნით, ხულო LAG მოიძიებს ფონდებს და გაწევს ადვოკატირებას ადგილობრივ DDR-ის განვითარებისთვის.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია:	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; რეგიონული და ეროვნული არასამთავრობოები; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; დონორი ორგანიზაციები
განხორციელების ვადები	Q2 2019 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და მიზნები	უფრო მოქნილი ინფრასტრუქტურული სისტემები; თემების დონეზე სტიქიური უბედურებების რისკის შემცირების გაუმჯობესებული და ეფექტური სამეცნიერო შეფასება, რუკის შედგენა, ანალიზი და მონიტორინგი; სტიქიური უბედურებების შედეგებთან გასამკლავებლად აუცილებელი უნარებითა და შესაძლებლობებით აღჭურვილი თემები; სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების გათვლილი და მოწესრიგებული ოპერაციები; დაზარალებული თემების უსაფრთხო და დროული ევაკუაცია და ა.შ.
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 6.2.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარების ხელშეწყობა და დამკვიდრება (EWS)
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	საკვანძო ქვეაქტივობებს შორისაა: ხულოს მუნიციპალიტეტს, თემებსა და ეროვნულ მთავრობას შორის EWS-ის (ადრეული შეტყობინებების სისტემა) ინფორმაციის გაცვლის სისტემების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია; EWS-ის ტექნიკური კრიტერიუმების შემუშავება; EWS-ის (მაგ.: დოპლერის ან vireo კონტროლის) შეძენა და დამკვიდრება; თემებში მდებარე EWS-ის დამკვიდრება. ხულოს მუნიციპალიტეტის მომზადება EWS-ს სამართავად
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ბუნებრივი საშიშროებების მაღალი რისკების წინაშე მყოფი თემები (მაგ.: დიოკნისი, დეკანაშვილები და ხიხამირი)
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ხულოს მუნიციპალიტეტი და პარტნიორი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის განხორციელების მიზნით, ხულო LAG მოიზიდავს ფონდებს და გაწევს ადვოკატირებას გაუწევს ადგილობრივი EWS-ის განვითარებისთვის.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია:	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; რეგიონული და ეროვნული არასამთავრობოები; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; დონორი ორგანიზაციები
განხორციელების ვადები	Q1 2020 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და მიზნები	ბუნებრივი საფრთხეების დროული შეტყობინება; ბუნებრივი საშიშროების შედეგად გამოწვეული ზარალის და დანაკარგის შემცირება
პრიორიტეტი	მაღალი

ამოცანა 6.3 – დეგრადირებული მიწის და ტყის მიწების გატყვინება.

დასაბუთება – როგორც ამავე თავში, ზემოთ არის ნახსენები, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 52 პროცენტზე, რომელიც ტყითაა დაფარული, მცენარეთა დაავადებები გავრცელებული, აგრეთვე, უკანონოდ იჩეხება ხე-ტყე. ამასთან, ტყის და დეგრადირებული მიწის მასივების აღდგენის თითქმის არავითარი სამუშაოები არ მიმდინარეობს. შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტში საჭიროა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ეკოსისტემის აღდგენა, კლიმატური ცვლილების პროცესების შერბილება და ტყის მასივების აღდგენის სამუშაოების ჩატარება.

სტრატეგიული აქტივობა 6.3.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	დეგრადირებული მიწის და ტყის აღდგენის ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერა	საკვანძო ქვეაქტივობებს შორისაა: მავთულხლართიანი ღობის შემოვლება; სამაგრი ბოძების შეძენა და დამაგრება; მცენარეების კულტივირება (ან შეძენა); სამელიორაციო (100 000 ძირი), ნეკერჩხლსაგაზაფხულო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება (მომდევნო ათი წლის განმავლობაში) ⁶¹ .
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	მიწის და ტყის მასივების განადგურებით ყველაზე მეტად დაზარალებული სოფლების მოსახლეობა, მესაქონლე ფერმერები
პასუხისმგებელი ორგანოები	ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ხულოს მუნიციპალიტეტი და პარტნიორი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები
ხულოს LAG-ის პასუხისმგებლობისა და როლის სპეციფიკა	ამ აქტივობის ფარგლებში ხულო LAG გაუწევს ადვოკატირებას და მოიძევს ფონდებს რათა დაფინანსდეს ფართობზე გატყვინება და დეგრადირებული მიწის აღდგენა.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია:	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; ეროვნული სატყეო სააგენტო; აჭარის სატყეო სააგენტო

⁶¹ „აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში“ (UNDP, 2013) წარმოდგენილ მოდელზე დაყრდნობით

განხორციელების ვადები	Q2 2020 – Q3 2021
მოსალოდნელი შედეგები/ინდიკატორები და მიზნები	ეროზიისგან დაზიანებული ნიადაგისა და ჰაბიტატების გაუმჯობესება; აღდგენილი წყალგამყოფები ქიმიურ, სოციალურ და ბიოლოგიურ დონეებზე გაუმჯობესებული ხულოს მუნიციპალიტეტის მთელი ეკოსისტემა; ჰაერში ნახშირორჟანგის შემცირებული რაოდენობა
პრიორიტეტი	საშუალო

ცხრილი 18 - ფინანსური რესურსების სავარაუდო გადანაწილება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე⁶²

მიზნები	O6.1 (20%)	O6.2 (43%)	O6.3 (30%)	
საქმიანობები	A.6.1.1 A.6.2.1	A.6.2.1 A.6.2.2	A.6.1.3	
შიდა ტერიტორიული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა				2%
საექსპლუატაციო და განხორციელების ხარჯები				5%
სულ				100%

7. ხულოს LAG-ის დამატებითი აქტივობები

ხულოს LAG-ის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ძირითადად წარმოდგენილია თავებში - "ინოვაცია, კომუნიკაცია და თანამშრომლობა"; "პროექტების შერჩევის პროცესი"; "მონიტორინგი და შეფასება"; "მდგრადობა"; "კომუნიკაცია და საჯაროობა" და სხვა. თუმცა, დამატებით უნდა იქნას წარმოდგენილი ორი დამატებითი აქტივობა, რადგან ისინი გახდებიან საწყისი საპილოტო აქტივობები, რომლებიც განხორციელდება LDS მიღების შემდეგ.

ამოცანა 7.1 - ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მდგრადობის მიღწევა.

აქტივობა 7.1.1 - საინფორმაციო ცენტრის შექმნა. ხულო LAG-ის წევრები ჩამოაყალიბებენ საინფორმაციო ცენტრს მოხალისეობრივ საწყისებზე დაინტერესებულ მხარეთათვის კონსულტაციისა და ინფორმაციული სესიების ჩატარებისთვის, რათა ხულოელებმა ისარგებლონ სახელმწიფო, არაკომერციულ და დონორ ორგანიზაციების მხარდაჭერით პროგრამებით. წარმოდგენილი იქნება განსხვავებული თემები: მაგ. ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, არაფორმალური განათლება, ახალგაზრდული პროგრამები. მხარდაჭერის პროგრამებში ადგილობრივი თემების

ჩართულობა ხელს შეუწყობს ხულოს სტრატეგიის მდგრადობას.

აქტივობა 7.1.2 - ფონდების მოძიების ჯგუფის ჩამოყალიბება

ხულოს LAG-ი მოხალისეობრივ საწყისებზე შექმნის ფონდების მოძიების სამუშაო ჯგუფს რათა უზრუნველყოს დამატებითი

დაფინანსება სტრატეგიაში წარმოდგენილი აქტივობებისთვის და სხვა დამატებითი აქტივობებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია სტრატეგიის ამოცანების მისაღწევად. ამისათვის ხულოს LAG-ი მოძიების მოტივირებულ მოხალისეებს, რომლებიც სახელმწიფოსთან, არაკომერციულ და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელს შეუწყობენ სტრატეგიის განხორციელებას და ახალი პროექტებს, პროგრამების განვითარებას. ამ გზით, ხულო LAG-ი და LDS მიაღწევს უფრო ძლიერ მდგრადობას.

ინოვაცია, კავშირების დამყარება (ნეთვორკინგი) და თანამშრომლობა

⁶² სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტიდან

ამოცანებში ახლებური მიდგომების საჭიროება ხაზგასმით იყო აღნიშნული როგორც აუცილებელი ელემენტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა პროექტში, სადაც საჭიროება მოითხოვს, მაქსიმალურად ყოფილიყო წარმოდგენილი ინოვაციები. ხულოს განვითარების სტრატეგია აქტიურად წახალისებს პოტენციურ აპლიკანტებს აქ წარმოდგენილ ამოცანებსა და სტრატეგიულ ქმედებებთან დაკავშირებული ადგილობრივი საჭიროებებისა და პრობლემების ახლებური გადაწყვეტის შემოსათავაზებლად. მაგალითად, დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს ახალი, ექსპერიმენტული ტექნოლოგიების მეთოდმა, რომელიც ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობას გააუმჯობესებს. რადგან მოცემული სტრატეგია შედარებით მცირე მასშტაბისაა, აუცილებელი არ არის სიახლე უმაღლესი დონის ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდებოდეს. ინოვაციების სფერო ფართოა და ხულოს მუნიციპალიტეტის კონტექსტიდან გამომდინარეობს. მოცემული სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გარემოს დაცვაა. დაფინანსებულმა პროექტებმა გარემოს დაცვა ეკოლოგიის საკითხების ღრმა ცოდნით, ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენებითა და მემკვიდრეობის შენარჩუნების გზით უნდა უზრუნველყონ.

ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებისთვის ყოველწლიურად სულ ცოტა ერთი კონკრეტული ვორქშოპი/ტრენინგი ჩატარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამოცანები სრულად არის გაგებული, შეთანხმებული, განხორციელებული და ყველა დაინტერესებული მხარე ერთ ხედვას იზიარებს მოცემული სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

კავშირების დამყარება და თანამშრომლობა – ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქტიურად და სრულად ჩაერთვება ახალ ქსელში - საქართველოს ადგილობრივი განვითარების გჯუფების ასოციაციაში (GALAG). გამოცდილების გაცვლა სხვა ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან საქართველოს მასშტაბით, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შემდგომი წინსვლის ხელშეწყობა, ისევე როგორც ერთობლივი ძალისხმევა განვითარების ჯგუფების სხვა მუნიციპალიტეტებში

პოპულარიზაციისთვის, ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებისა და მმართველი ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ინტერესია.

მოცემული სტრატეგიის მიზნებისთვის და არამარტო, ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვა მუნიციპალიტეტებთან, ადგილობრივი აქტიური მოქალაქეთა გაერთიანებებთან (AMAGs), ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა სხვადასხვა რეგიონებში. თანამშრომლობა სხვადასხვა თემებს მოიცავს, მაგალითად, უფრო ინფორმირებული მტკიცებულებების შეკრება, ადვოკატირების ერთობლივი ქმედებები, ჯვარედინი ამოცანების განხორციელება და ა. შ. გარდა ამისა, ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფს სჭირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა და მასთან აქტიური თანამშრომლობა ამ მიზნით, შესაბამის სამინისტროებთან მუდმივი უშუალო კონსულტაციები და კოორდინაციაა დაგეგმილი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი წინამდებარე სტრატეგიას საქართველოს სოფლის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასთან (RDS) და მისი მოქმედების გეგმასთან შესაბამისობაში ახორციელებს. ამ მიზნით, დაგეგმილია აქტიური კომუნიკაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე სხვა შესაბამის სამინისტროებსა და სააგენტოებთან, ისევე როგორც მათ მხარდაჭერ ორგანიზაციებთან (უმთავრესად UNDP-სა და FAO-სთან).

პროექტების შერჩევის პროცესი

პერიოდული და დროში განსაზღვრული მოწვევები

ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი პირველად იწყებს საპროექტო განაცხადების მიღებას სოფლის განვითარების (RD) საგრანტო კონკურსის ფარგლებში 2018/19 წლებისთვის.

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის მიზანია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც გააუმჯობესებენ ცხოვრების დონესა და სოციო-

ეკონომიკურ პირობებს ხულოში, იმ პრიორიტეტებსა და ამოცანებზე დაყრდნობით, რომელიც 2018-2022 წლების ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაშია მოცემული.

განაცხადების მიღების პირველი ეტაპი 2018 წლის ზაფხულში იგეგმება, მეორე კი - 2019 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. პროექტების ხანგრძლივობა შესაძლებელია იყოს 3-დან 12 თვის ფარგლებში (უნდა დასრულდეს 2020 წლის ზაფხულისთვის).

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თითოეული პროექტი შესაძლოა დაფინანსდეს მაქსიმუმ 60,000 და მინიმუმ 2,000 ევროთი (ექვივალენტი ლარში). გაცვლითი კურსი განისაზღვრება ბენეფიციართან საგრანტო კონტრაქტის ხელმოწერის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. თანადაფინანსება (ქვე-საგრანტო შენატანი) სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის სავალდებულო კომპონენტია და შეადგენს სულ ცოტა:

- 30% კომერციული ორგანიზაციებისთვის (ზედა ზღვარი 60,000 ევრო);
- 30% საჯარო არაკომერციული და მუნიციპალური ორგანიზაციებისთვის (ზედა ზღვარი 20,000 ევრო);
- 15% არაკომერციული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (CSO) (ზედა ზღვარი 20,000 ევრო);

საგრანტო დაფინანსების მსურველმა თითოეულმა განმცხადებელმა პროექტის წარდგენის სამი ეტაპი უნდა გაიაროს. ყოველ ეტაპზე ეტაპზე შერჩევის პროცესის შედეგად, საბოლოო ჯამში, თითოეული პროექტი ან დამტკიცდება ან უარყოფილი იქნება ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გრანტების შემფასებელი კომიტეტის უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ეს ეტაპებია:

1. პროექტის იდეა (PI) კონკურსი.
2. სრული პროექტი (FP) კონკურსი
3. ვერბალური პრეზენტაცია

ინტერესის გამოხატვა /პროექტების იდეების კონკურსი (PI);

საპროექტი განაცხადების მიღების კონკურსი ხულოს მუნიციპალიტეტის მთელს ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე გამოცხადდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ელექტრონულად უნდა წარადგინონ პროექტის იდეის ქართულ ენაზე შევსებული ფორმა (დანართი 9). განაცხადის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.khulolag.ge. განაცხადების მიღება ერთ თვეს გასტანს.

თავდაპირველი განაცხადების მიღების შემდეგ, ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კომიტეტი მათ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის და საგრანტო კონკურსის მთავარი კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს (შეფასების ფორმისა და პროექტის იდეების განაცხადების კრიტერიუმებისთვის იხილეთ დანართი 10). წარმატებული საპროექტო იდეები, რომლებიც კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ და პროექტების იდეების განაცხადის შეფასების ფორმის მიხედვით მინიმალურ ქულას მაინც მიიღებენ, გადავლენ მომდევნო ეტაპზე - სრული პროექტების კონკურსში.

წარმატებული განაცხადების ავტორებს ტელეფონით/ელექტრონული ფოსტით მოიწვევენ მომდევნო ეტაპზე და მათ ტრენინგის გრაფიკს აცნობებენ. ამ ეტაპზე აპლიკანტების კონკრეტული ჯგუფი (სასტუმრო, სათბური, საცხოზი და ა.შ.) ტექნიკურ ტრენინგში (რომელიც მოიცავს სრულ განაცხადს/ბიზნეს გეგმას, ფინანსურ ასპექტებს, მარკეტინგს და ა.შ.) მიიღებენ მონაწილეობას. ტრენინგზე დასწრება სავალდებულო იქნება. დამტკიცებული თავდაპირველი განაცხადების სია ონლაინ იქნება ხელმისაწვდომი ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე.

სრული განაცხადების დამუშავება / სრული პროექტების კონკურსი

ტრენინგების შემდეგ, განმცხადებლები თავად შეავსებენ სრული განაცხადის ფორმას (ტექსტურ/აღწერით ნაწილს), რომელიც ელექტრონულად უნდა იქნას წარდგენილი გამოცხადებული ვადის ამოწურვამდე.

საგრანტო კომიტეტი განმცხადებლის სრულ საპაკეტო განაცხადს ქულებს ანიჭებს სრული პროექტის შეფასების ფორმის მიხედვით.

მოწვეული ექსპერტები ასევე მოამზადებენ სრული საპროექტო განაცხადების ტექნიკურ/ფინანსურ

შეფასებას, ქულებს მიაწვდენ განაცხადებს და რეკომენდაციებს მისცემენ საგრანტო კომიტეტს.

ამავე დროს, ადგილობრივი განვითარების გუნდის ტექნიკური ჯგუფი განმცხადებლის მოძრავ და უძრავ აქტივებს შეაფასებს, გადასცემს რეკომენდაციებს საგრანტო კომიტეტს.

საგრანტო კომიტეტი უმაღლეს ქულებზე დაყრდნობით ყველა სრულ განაცხადს არჩევს ხელმისაწვდომი დაფინანსების ფარგლებში საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპისთვის.

ვერბალური პრეზენტაცია

საგრანტო კომიტეტი ENPARD-ის ხულოს პროექტის მენეჯერთან ერთად დანიშნავს საგანგებო შეხვედრას სრული საპროექტო განაცხადების ავტორებთან, რომლებიც თავიანთ პროექტებს სიტყვიერად წარადგენენ.

შესაბამისობის ძირითადი შემოწმება;

შესაბამისობა და თანადაფინანსების მოთხოვნები მთელი პროექტისთვის:

არაკომერციული პროექტები	ადგილობრივი სამთავრობო და თვითმმართველი ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საჯარო დაწესებულებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	არაკომერციული პროექტებისთვის : პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 30 %.
არაკომერციული, სათემო პროექტები	საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეთა ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ხულოს მუნიციპალიტეტში განახორციელებენ პროექტებს	არაკომერციული/სოციალური პროექტებისთვის: მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 15%

კომერციული პროექტები	მცირე ბიზნესი (10 ზე ნაკლები რაოდენობის პერსონალით), ისევე როგორც ფიზიკური პირები ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი, ვინც, გრანტის მინიჭების შემთხვევაში, დაარეგისტრირებს თავისი ბიზნესი საქართველოს კანონების მიხედვით	კომერციული პროექტებისთვის: მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 30%
----------------------	--	---

რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციები, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტები სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსზე არ დაიშვებიან.

დამოუკიდებელი შემფასებელი კომიტეტი;

საგრანტო კომიტეტი ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მუდმივი ორგანოა. ის ჯგუფის 12 (9 ძირითადი 3 რეზერვი) წევრისგან შედგება. კომიტეტის წევრების კანდიდატურებს წარადგენს LAG-ის თავმჯდომარე და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი ორგანო ხმების უმრავლესობით ამტკიცებს.

პროექტის იდეების კონკურსის ეტაპზე საგრანტო კომიტეტი სამი ჯგუფისგან შედგება (თითოეულ ჯგუფში 4 წევრია, ტექნიკური ჯგუფის ერთი წარმომადგენლის ჩათვლით CCRG)). LAG-ის მმართველი ორგანო წყვეტს ამ სამი ჯგუფის შემადგენლობას. დამოუკიდებელი შემფასებელი კომიტეტი აფასებს სხვადასხვა საპროექტო იდეის განაცხადებს, ფილტრავს და ირჩევს განმცხადებლებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სრული პროექტის შემუშავებაში, საპროექტო იდეის განაცხადების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შესაბამისად. დამოუკიდებელი შემფასებელი კომიტეტის სხდომებში დამოუკიდებელი დამკვირვების სახით (ხმის გარეშე) მონაწილეობს ENPARD ხულოს პროექტის ხელმძღვანელი.

სრული საპროექტო განაცხადების (FP) კონკურსში, საგრანტო კომიტეტის ჩამოყალიბება ხდება ერთ ჯგუფად, შედგება 5 კაცისაგან (ერთი წევრი CCRG-ის ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენელი), რომლებიც

აირჩევიან შემთხვევითი შერჩევის წესით კომიტეტის ორგანოდან. შემთხვევითი შერჩევის წესით არჩევის ორგანიზება ხდება ყოველი კვირის დასაწყისში

სიტყვიერ წარდგენაზე, კომიტეტი ENPARD ხულოს პროექტის ხელმძღვანელთან ერთად დანიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული პროექტის განმცხადებლებთან, რომლებიც სიტყვიერად წარადგენენ საკუთარ პროექტებს. საგრანტო კომიტეტის წევრებმა შესაძლოა დამატებითი კითხვები დაუსვან აპლიკანტს. თუ კომიტეტის უმრავლესობა პროექტს დაამტკიცებს, ის დაიშვება საგრანტო დაფინანსებაზე.

საგრანტო კომიტეტის წევრები გაივლიან გადამზადებას პროექტის განაცხადების შეფასების კრიტერიუმებსა და პროცედურებში.

კომიტეტის წევრები მონაწილეობას ვერ მიიღებენ შერჩევის პროცესში, თუ:

- შესარჩევი კომისიის წევრი არის განმცხადებელი, განმცხადებლის წარმომადგენელი ან განმცხადებლის ოჯახის წევრი;
- შესარჩევი კომისიის წევრს გააჩნია სამსახურებრივი, ბიზნეს ან სხვა სახის ურთიერთობები აპლიკანტთან;
- შესარჩევი კომისიის წევრი დაკავშირებულია განმცხადებელთან გარკვეული სახით ან არსებობს პირობები, რასაც ობიექტურ შერჩევაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ანუ თუ საგრანტო კომიტეტის წევრს ან მისი ოჯახის წევრს აქვს რაიმე ფინანსური ან სხვა დაინტერესება განსახილველი პროექტის მიმართ, ეს წევრი წერილობით იტყვის უარს აღნიშნული პროექტის შეფასებაზე, წინადადებას შეაფასებს კომიტეტის სხვა ჯგუფი.

პროექტის ანალიზი და ქულებით შეფასება;

იდეების კონკურსის ეტაპზე, საგრანტო კომიტეტის თითოეული ჯგუფი შეაფასებს სხვადასხვა პროექტებს. კომიტეტის 3 წევრი და ტექნიკური ჯგუფის ერთი წარმომადგენელი თითოეული საპროექტო იდეის განაცხადს დამოუკიდებლად შეაფასებს. ერთი შემფასებლის მაქსიმალური ქულა თითო პროექტზე - 100 ქულაა. მაქსიმალური ქულები თითო პროექტზე

400 ქულაა. პროექტები, რომლებიც მიიღებენ ჯამში 200 ქულაზე ნაკლებს, არ იქნებიან მოწვეული სრული განაცხადის წარსადგენად.

სრული საპროექტო განაცხადის კონკურსის ეტაპზე, თითოეული სრული განაცხადისთვის მაქსიმალური ქულების ოდენობაა - 200 ქულა, 100 ქულა - კომიტეტის მხრიდან, 50 ქულა - მოწვეული ფინანსური-ტექნიკური ექსპერტებისა და 50 ქულა - ტექნიკური ჯგუფიდან (CCRG ხულოს ჯგუფი). თითოეული სავალდებულო მინიმალური ქულა თითოეული სრული განაცხადისთვის 150 ქულაა.

ENPARD-ის პროექტის ხელმძღვანელი იტოვებს უფლებას, რომ დაიწუნოს საგრანტო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შერჩევის პროცესის სამართლიანობის შესახებ სერიოზული ეჭვების არსებობის შემთხვევაში.

120-დან 149 ქულიან განაცხადებს დამატებით ეძლევათ ერთი კვირა ვადა შესწორებების შესატანად.

საგრანტო შეფასების კომიტეტი დანიშნავს დამატებით შეხვედრას, სადაც მოხდება ხელახლა შემოტანილი განაცხადების შეფასება.

შეფასების შედეგები იქნება საჯარო (ხელმისაწვდომი ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ ვებ-გვერდზე).

შეტყობინება აპლიკანტისთვის გადაწყვეტილების შესახებ

წარმატებული პროექტის განმცხადებლებს სამივე ეტაპის გავლის შემთხვევაში გაეგზავნებათ შეტყობინება ტელეფონის/ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდგომი საფეხურების შესახებ. დამტკიცებული პროექტის იდეების/სრული პროექტების სიაც ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ვებ-გვერდზე.

სააპელაციო პროცედურა

ყველა განმცხადებელს, რომელსაც ეჭვი შეეპარება მისი განაცხადის შეფასების ობიექტურობაში ან ზოგიერთი პროცედურის სწორად ჩატარებაში, შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების აპელაცია “ENPARD ხულო” პროექტის მენეჯერთან და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელთან წერილობითი ფორმით. ENPARD ხულო პროექტის მენეჯერი და/ან ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე განიხილავენ სააპელაციო განაცხადს და მოიწვევენ განმცხადებელს ინტერვიუზე. თუ განმცხადებელი ფაქტებისა და დოკუმენტური

მტკიცებულების საფუძველზე წარმოადგენს არგუმენტებს და დაამტკიცებს პროცედურების დარღვევით ჩატარებას, პროექტის მენეჯერი და/ან ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე გაუგზავნის სარეკომენდაციო წერილს საგრანტო შეფასების კომიტეტს საკითხის ხელახალი განხილვისა და შემდგომ საფეხურებზე მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

კომუნიკაცია და საჯაროობა

პროექტების შესარჩევად საინფორმაციო კამპანიის დეტალურ გრაფიკს შეიმუშავებს ხულოს LAG-ი და ხულოს პროექტის გუნდის მიერ. საინფორმაციო სესიები ჩატარდება სულ 13 თემში (3 შეხვედრა დიდი თემში, სულ 39 შეხვედრა). შეხვედრების ორგანიზებისთვის ასევე გამოყენებული იქნება

პოტენციური აპლიკანტების მონაცემთა ბაზა (რომელიც შექმნილია პროექტის დასაწყისიდანვე). საინფორმაციო სხდომებზე, პროექტის გუნდი და LAG-ის წევრები დამსწრე საზოგადოებას გააცნობენ გრანტების ღირებულებებს და უპასუხებენ კითხვებს. უფრო მეტიც, საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად (25 წარმომადგენელი 84 სოფელში), რომლებიც მიიღებენ საინფორმაციო მასალებს. ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ ასევე დაანონსდება მედიის (გაზეთი "ხულო", ადგილობრივი ტელევიზია და ინტერნეტ გაზეთები) საშუალებით. ყველა საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ხულოს LAG -ის ვებ და ფეისბუქის გვერდებზე.

რისკის საერთო ანალიზი

გარე რისკები				
აღწერილობა	აღწერილობა	აღწერილობა	აღწერილობა	აღწერილობა
პოლიტიკური ფაქტორები				
1. კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს დასახულ მიზნებზე 2. ცვლილებები სოფლის განვითარების პოლიტიკაში 3. ცვლილებები სამთავრობო პროგრამებში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს LDS-ის სტრატეგიულ ქმედებებზე	დაბალი	მაღალი	განვითარების მაჩვენებლების მონიტორინგი და მზაობა სხვადასხვა სცენარისთვის	სტრატეგიის გადახედვა/შესწორებები
სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები				
1. ადგილობრივი, რეგიონალური და სახელმწიფო ეკონომიკური შოკები 2. გაცვლითი კურსების მაღალი მერყეობა 3. არსებითი ცვლილებები სოციალურ მაჩვენებლებში (დაავადების აფეთქება)	მაღალი	საშუალო	არაა ხელმისაწვდომი	სწრაფი რეაგირების სტრატეგიების შექმნა და კრიზისის შემარბილებელ კოორდინირებულ ღონისძიებებში ჩართვა
ეკოლოგიური ფაქტორები				
1. ძლიერი ბუნებრივი სტიქიები (მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და ა.შ..)	მაღალი	საშუალო	არაა ხელმისაწვდომი	სწრაფი რეაგირების სტრატეგიების შექმნა და კრიზისის შემარბილებელ

				კოორდინირებულ დონისპიებებში ჩართვა
შიდა რისკები				
1. დაბალი ხარისხის შემოთავაზებული პროექტები 2. პროექტის წარუმატებელი განმცხადებლების უარყოფითი დამოკიდებულებები	საშუალო	მაღალი	პოტენციური აპლიკანტების უწყვეტი ტრენინგები ინტენსიური საინფორმაციო სესიები	პროაქტიური კომუნიკაცია პოტენციურ აპლიკანტებთან საინფორმაციო შეხვედრები პოტენციურ და ძველ აპლიკანტებთან წარმატებული პროექტების ავტორებთან ერთად

მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე LDS-ში ხულოს LAG-ს ჩამოყალიბებული აქვს ადგილობრივი მიზნები. თითოეულ ადგილობრივ მიზანს თავისი ინდიკატორი აქვს და დაკავშირებულია ყველაზე რელევანტურ და პრიორიტეტულ სფეროსთან სტრატეგიულ აქტივობებსა და ადგილობრივ პროექტებთან ერთად, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია კონკრეტულ მიზნებთან. ყველა პროექტს ექნება საქმიანობის ეფექტურობის საერთო ინდიკატორი, რომელიც დაკავშირებული იქნება მათ მიზნებთან. საქმიანობის ეფექტურობის აღნიშნული ინდიკატორები ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგსა და შეფასებას.

ქვემოთ მოცემულია ორი დონე, რომელზეც განხორციელდება მონიტორინგი:

- პროექტის დონის მონიტორინგი
- ხულოს LAG-ის მონიტორინგი

მონიტორინგი პროექტის დონეზე

LDS-ის დამტკიცებისთანავე, LDS-ის მონიტორინგის შესაბამისი მონაცემები (მაგ: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები) აიტვირთება ხულოს მხარდაჭერის პროექტის ICT (საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემა) სისტემაზე. პროექტის წარმოების პროცესისა და შედეგების ანგარიშგება მოხდება ამ მიზნებისა და საქმიანობის ეფექტურობის

ინდიკატორების კონტექსტში. პროექტის დონეზე არსებული ინფორმაცია აისახება შემდეგ ეტაპებზე:

განაცხადის ეტაპი - პროექტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის უმეტესობა ასახული იქნება ხულოს მხარდაჭერის პროექტის ICT-სისტემაში განაცხადის შეტანის დროს (დაფინანსების ტიპი, რაზეც შედის განაცხადი, შესაბამისობა მიზანებთან, დასაქმებულთა რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.)

LAG-ის მიერ განაცხადის შეფასება - ხულოს LAG-ი შეავესტს ICT-ის სისტემაში არსებულ მცირე რაოდენობის ველებს, როგორც შეფასების პროცესის ნაწილს და შემოთავაზებულ პროექტს დაუკავშირებს LDS-ის ერთ-ერთ ადგილობრივ მიზანს. ინდიკატორთა შესაბამისი ჯგუფი ავტომატურად დაუკავშირდება თითოეულ პროექტს იმის მიხედვით, თუ რას ეხება მიზანი. წინამდებარე LDS-ის თემატურად შესაბამის პრიორიტეტულ თავებში დეტალურადაა აღწერილი თითოეულ მიზანთან დაკავშირებული ინდიკატორთა ჩამონათვალი.

ანგარიშგება მწარმოებლობაზე/შედეგებზე - პროექტი უზრუნველყოფს ინფორმაციას ზემოაღნიშნული სხვადასხვა ინდიკატორის შესახებ. ანგარიშგება ასევე მოიცავს ხარისხობრივ ელემენტს, სადაც პროექტი მოკლედ აღწერს პროგრესს, მიღწევებს და ნებისმიერ მნიშვნელოვან გამოცდილებას. ხულოს LAG-ი უზრუნველყოფს დაფინანსებული პროექტების შესაბამისობას ანგარიშგების დადგენილ

მოთხოვნებთან და მონაცემების სწრაფ გადამოწმებას, მაგალითად, მონაცემების სიზუსტეს, შესაბამისობას, რეალურობას და ა.შ.

(შედეგებზე) ანგარიშების ვადები დამოკიდებული იქნება პროექტის ტიპზე. უმეტეს შემთხვევაში, ანგარიშება მოხდება შუალედურ და საბოლოო გადახდის ეტაპზე. გადახდები განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება ყველა საჭირო მონაცემის მიღება და შენახვა ICT-სისტემაში. გარკვეულ შემდეგებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი პროექტის დასრულებისთანავე (მაგ: მცირე მასშტაბიანი გადამამუშავებელი ქარხნის დაფუძნების კაპიტალური პროექტი, სადაც ობიექტის გახსნამდე მოხდა დაფინანსების ათვისება და ანგარიშება); ასეთ შემთხვევებში, პროექტის შედეგები უნდა აისახოს საბოლოო გადახდის დღიდან არაუგვიანეს 12 თვისა. ხულოს LAG-მა უნდა უზრუნველყოს ყველა პროექტის სრული შესაბამისობა ამ მოთხოვნებთან.

წლიური დაგეგმარება და ანგარიშება – ხულოს LAG - ის აღმასრულებელ გუნდს მოეთხოვება წლიური ანგარიში წარუდგინოს მმართველ საბჭოს. მოკლე ანგარიში უნდა შეიცავდეს:

წინა წლის მიღწევების მონახაზი, რომელიც რელევანტურია დასახული მიზნებისთვის და მოიცავს:

- ინფორმაციას LAG-ის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- წინა წლის განმავლობაში განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემები ან გამოწვევები
- კონკრეტული წარმატებები, რომელიც უნდა გაშუქდეს;
- მიზნის მისაღწევად მიღწეული პროგრესი;

შეფასება

მიზნები - შეფასების პირველადი მიზანი იქნება LDS-ის განხორციელების შედეგების შედარება სტრატეგიაში ჩამოყალიბებულ თავდაპირველ წინადადებებთან ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება გადაწყვეტილიყო მისი განხორციელების დროს იმ თვალსაზრისით, რომ ამ პროცესიდან გვესწავლა, თუ რამ იმუშავა და რამ ვერ იმუშავა და

როგორ შეიძლება ამ მიდგომების გაუმჯობესება და მომავალში, 2021 წლის შემდეგ, მათ საფუძველზე დადებითი ნაბიჯების გადადგმა ხულოს LAG-ში.

პროცესის მართვა - ხულოს LAG-ის მმართველი საბჭო აღმასრულებელ დირექტორთან ერთად გააკონტროლებს და კოორდინაციას გაუწევს პროცესს.

საკითხები ან თემები შეფასებისთვის - LDS-ის ყველა საკითხი და მიზანი დაექვემდებარება შეფასებას, თუმცა სამუშაოს მიმდინარეობისას შესაძლოა ნათელი გახდეს, რომ სამუშაოს ზოგიერთი სფერო უფრო წარმატებულია და დანარჩენი ნაკლებ წარმატებული, ასე, რომ ამ სცენარში, შეფასების საკვანძო ნაწილი იქნება იმის დადგენა, თუ რა მიზეზი უდევს საფუძვლად აღნიშნულ შედეგებს და მოხდეს მათგან გაკვეთილის მიღება სამომავლოდ.

მონაცემთა მოთხოვნა - მოგროვდება ამომწურავი მონაცემები პროექტების შესახებ და მოსალოდნელია, რომ სიტუაციური ანალიზები და შუალედური მიმოხილვები გაამდიდრებს ანალიზისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა რესურსებს და ასევე საპროექტო დოკუმენტაციის შესახებ მომზადებულ ანგარიშებსა და განვითარების ჯგუფების გამოცდილებას.

მეთოდოლოგია - შეფასების განსახორციელებლად გამოყენებული მეთოდები შეიძლება მოიცავდეს თვით შეფასების და განვითარების დამატებით ინდიკატორებს, როგორც მიმდინარე პროცესის ნაწილს. LDS-ის განხორციელების პროცესში იქნება მოთხოვნა მთელი რიგი სიტუაციური ანალიზების მომზადების შესახებ. სამუშაოს ვალიდაციისა და გონივრულობის დემონსტრირების თვალსაზრისით გარკვეული გარე რესურსის მოწვევის მნიშვნელობა აღინიშნულია. ხარისხობრივ ელემენტებსაც, მიუხედავად ხშირი სუბიექტურობისა, ასევე შეუძლიათ ღირებული ინფორმაციის მოცემა იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა LDS და ზემოქმედება როგორ აღიქმება სამიზნე ბენეფიციარების მიერ. მოსალოდნელია, რომ LDS-თან დაკავშირებულმა მონაცემთა შეგროვების პროცესმა მოგვცეს მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მონაცემები.

ვადები და ეტაპები - პროცესი უნდა დაიწყოს LDS-ის ინიცირებისთანავე, მონაცემების შედგენისა და

სიტუაციური ანალიზის განხორციელების თვალსაზრისით. შეფასება დასრულდება 2022 წლისთვის.

მიგნებების შეტყობინება - მნიშვნელოვანია, რომ LDS რჩება იმ საზოგადოებასთან და თემთან კავშირში, რომელსაც ის ემსახურება. შეფასება გამოქვეყნდება სათანადო ფორმატით. შედეგები საზოგადოებას ეცნობება ადგილობრივ, რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა მედია საშუალებებით.

საჭირო რესურსები – ხულოს თანამშრომელთა რესურსებზე დაყრდნობით მიმდინარე შეფასების პარალელურად ხელსაყრელი იქნება გარე შემფასებლის მოზიდვაც, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროცესს. ფინანსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ხულოს LAG-ი გამოაცხადებს ტენდერს მსგავსი სამემფასებლო მომსახურებისთვის, რაც შეიძლება ღირდეს 4000-დან 6000 ლარამდე.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიის წლიური გადახედვა.

მდგრადობა

ხულოს LAG-ისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს LDS-ის მდგრადობა პროექტის მხარდაჭერის შემდეგაც. ამ მიზნით, LAG-ი გეგმავს შემდეგ საკვანძო ღონისძიებებს:

- LEADER მიდგომის და მისი წარმატებების სტიმულირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობაში და დანარჩენ შვიდ LAG-თან ერთად მთავრობის დარწმუნება იმაში, რომ გააგრძელოს საჯარო დაფინანსების მხარდაჭერა.
- მომავალი მუნიციპალური განვითარების გეგმებთან (რომელსაც ფლობს ადგილობრივი მთავრობა) LAGs/LEADER მიდგომით სინერგიის პოვნა და ინტეგრაცია რეგიონალური განვითარების პროგრამისა და აჭარის ა/რ-ის და სოფლის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიების ფარგლებში;

- მისი ჩართულობის ლობირება აჭარის ა/რ-ის და მთავრობის სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკის სამუშაო ჯგუფებში.
- LAG-ების უფლებამოსილების გაძლიერება ტერიტორიაზე მომავალ საინვესტიციო და განვითარების პროგრამებში მათი ჩართვით, კონსულტანტებისა და მონაწილეების სახით.
- სხვა ტერიტორიებთან ჰორიზონტალური ქსელის გააქტიურება (მაგ: ქართული LEADER/სოფლის ქსელი);
- LDS-ის შესაბამისად პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით პარტნიორობის, რეგიონალური და სახელმწიფო დონის ორგანიზაციების შექმნა (არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები).
- წარმატებების პოპულარიზაცია და ფონდების მოზიდვა დივერსიფიცირებული წყაროებიდან: ადგილობრივი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან.

დანართი 1 – ხულოს მუნიციპალიტეტის რუკა



დანართი 2 – ხულოს LAG-ის მმართველი კომიტეტის წევრები

- ნიკა წულუკიძე, ხულოს საკრებულოს წარმომადგენელი LAG-ში, 591 98 99 93 nikusha.tsulukidze@gmail.com
- გურამ აბულაძე, ხულოს მერიის წარმომადგენელი LAG-ში, მობ: 598 15 82 87, gurami0110@gmail.com
- ტარიელ ბოლქვაძე, დეკანაშვილების AMAGI-ის თავმჯდომარე, მობ: 598 09 68 89, t.bolkvadze58@gmail.com
- რუსუდან შანთაძე, დეკანაშვილების AMAGI-ს წარმომადგენელი, მობ: 591 71 66 05, Shantadzerusudan123@gmail.com
- ირმა შავაძე, ხულოს მერიის წარმომადგენელი სოფელ დიდაჭარაში, მობ: 598 09 15 67, Shavadze.irma@gmail.co
- ნინო ზოიძე, მედდა, მობ: 598 09 23 83, Zoidzenino1978@gmail.com
- ლელა ძირკვაძე, დეკანაშვილების AMAGI-ის წარმომადგენელი, მობ: 598096649, Dzirkvadzelela06@gmail.com
- ჟუჟუნა შავაძე, სკოლის პედაგოგი სოფელ საციხურში, 595 90 70 01, j.shavadze1968@gmail.com
- ზვიად პაქსაძე, ხულოს მერიის წარმომადგენელი სოფელ კორტოხში, მობ: 596 82 09 09 dioknisistemi2015@gmail.com
- თენგიზ შავაძე, ფერმერი, მობ: 591 63 99 00 tshavadze17@mail.ru
- ზებურ იაკობაძე, სოფელ ბელლეთის სკოლის პედაგოგი, მობ: 577 96 44 04
- როდამ შავაძე, დიდაჭარის AMAGI-ის წარმომადგენელი, 598 09 07 06, rodamshavadze@gmail.com
- თამაზ გობაძე, ხულოს მერიის წარმომადგენელი სოფელ ირემბეებში, მობ: 599 12 20 61, gobadzetamaz@gmail.com
- სულხან ფასანიძე, ქართული ფოლკლორული ცეკვების ქორეოგრაფი და დიდაჭარის AMAGI-ის წევრი, Mobile: 551 09 81 92, Pasanidze88@gmail.com
- გიორგი აბულაძე, ENPARD ხულოს პროექტის სექტორული კოორდინატორი, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG) წარმომადგენელი LAG-ში, მობ: 557 68 62 49, giorgi.abuladze@caritas.cz

დანართი 3 –ხულოს მუნიციპალიტეტში ტურისტული მარშრუტების მაგალითები

2015 წელს აჭარის მთავრობის დაკვეთით კომპანია „ჯეოლენდის“ მიერ შემუშავებული პოპულარული მარშრუტების მოკლე აღწერილობა. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 3 საუკეთესო მარშრუტის ილუსტრაცია. ადგილობრივი სოფლად ტურიზმის განვითარების მიზნით შესაძლებელია მარშრუტების გათვალისწინება ინფორმაციის წყაროს სახით.

მარშრუტი 1: ხულო-სხალთას მონასტერი - სოფელი ბაკი-ბაკო - ხიხანის ციხე

მარშრუტის დასაწყისი/დასასრული: დაბა ხულო/ ხიხანის ციხე

მარშრუტის სიგრძე: 52,5 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 2დღე

მარშრუტის ტიპი: 4X4/ ფეხით სასიარულო/ კომბინირებული ველოსიპედით, ცხენით, ტრეკინგით

მარშრუტის სეზონური უპირატესობა: არაა რეკომენდებული დიდ თოვლში

სირთულე: რთული

მინ/მაქს. სიმაღლე ზღვის დონიდან: 512/2220



მარშრუტი 2: ხულო - ქედლები - უჩხოს ხიდი (ორმხრივი მგზავრობა)

მარშრუტი აერთიანებს ორ მუნიციპალიტეტს - ხულოს და ქედას

მარშრუტის დასაწყისი/დასასრული: დაბა ხულო/ ქედლები

მარშრუტის სიგრძე: 11,5 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: ნახევარი დღე

მარშრუტის ტიპი: სამანქანე/ფეხით სასიარულო

მარშრუტის სირთულე: ადვილი

მარშრუტის სეზონური უპირატესობა: რეკომენდებულია მთელი წლის განმავლობაში

მინ/მაქს. სიმაღლე ზღვის დონიდან: 883/1592

დაშორება ბათუმიდან: 87კმ

ფიჭური ქსელის დაფარვა: სრული

ტური იწყება დაბა ხულოდან ეთნოგრაფიული მუზეუმის დათვალიერებით.

ROUTE: SMALL TOWN KHULO-KEDLEBI

Route Start/Finish: Small Town Khulo/ Kedlebi
Route Length: 11.5 km
Route Duration: Half Day
Route Type: Car/Walking
Route Difficulty: Easy
Route Seasonal Preadvance: recommended throughout the whole year
Min/Max m. above sea-level: 883/1592
Distance from Batumi: 87km
Cellular network coverage: Completely

The tour begins in small town Khulo by visit to Ethnographical Museum. From Khulo we can choose out of three options:

1. Small town Khulo-Tago cable way, which brings us to Tago Village in 8 minutes. The 8-km road to this village is strongly damaged and the cable way has extremely important meaning. The cable is 1,700 m. long, ascending for 350 m. Riding by this cable way is interesting adventure, full of the impressions and fascinating views.


2. Small town Khulo-Uchkhos Bridge. The route goes to the north, towards the Uchkhos Village by the medium quality country road in the middle of the forest. After Uchkhos we get to the Dzirvadzebi Village. The road is mainly going by the slope and little by little descends to the gorge. The Arch-shaped Uchkhos Bridge connects two parts of Uchkhos Village with each other. The bridge is newly rehabilitated and is suitable only for walking.

3. Small town Khulo-Kedlebi. This route also leads to the north. After riding 1.3 km we come to the crossroad, one way from where, heading toward Uchkhos and the other towards Kedlebi Village. Bridge, and the other - towards Kedlebi Village. The distance from the cross to the Kedlebi Sling Base is 3.8 km and there is the concrete automobile road. Kedlebi Village bears the typical beauty of Acherian villages and is surrounded by the mixed forests. From the Sling Base the route follows by the village street, which turns into the path; in approximately 400 m we come to the crossroads, from which we go up towards the forest-covered Slope; in approximately 1 km we will reach Waterfall, which is fed by the springs flowing from Karata Mountains.



distance (km)

Batumi
Department of Tourism and Resorts of Ajara A.R. 2014
www.gobatumi.com



SYMBOLS

Church/Monastery	Information centre	Automatic teller machine	Seaport	Restaurant	Spring	Resort	Hut
Fortress	Hotel	Bank	View point	Rural tourism	Staking	Ropeway station	Car, Bus
Museum	Guesthouse	Gas station	Arch bridge	Wine tourism	Cave	Cave	Horse, Walking
Synagogue	Medical centre	Visitor centre	Camping	Birdwatching	Waterfall	Grave	
Mosque	Police	Customs	Picnic area	Natural monument	Airport	Landmark	

მარშრუტი 3: ხულო -სოფელი დანისპარაული - კურორტი გოდერძი - მწვანე ტბა

მარშრუტის დასაწყისი/დასასრული: დაბა ხულო/ ხიხანის ციხესიმაგრე

მარშრუტის სიგრძე: 49,5 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 2 დღე

მარშრუტის ტიპი: 4X4, მოტოციკლით, ცხენით სასიარულო, საფეხმავლო

მარშრუტის სირთულე: საშუალო

მარშრუტის სეზონური უპირატესობა: ზაფხული-შემოდგომა

მინ/მაქს. სიმაღლე ზღვის დონიდან: 716/2351

დაშორება ბათუმიდან: 110 კმ

ფიჭური ქსელის დაფარვა: სრული

მარშრუტი იწყება დაბა ხულოდან, მანქანის გზა გრძელდება გოდერძის სამთო კურორტთან და საფეხმავლო ბილიკი მთავრდება მწვანე ტბასთან.


ROUTE: SMALL TOWN KHULO-DANISPARAULI-GODERDZI PASS-MTSVANE (GREEN) LAKE-BESHUMI

Route Start/Finish: Small Town Khulo/Kikhard Fortress
Route Length: 49.5 km
Route Duration: 2 Day
Route Type: 4X4, Bike, Horse, Walking
Route Difficulty: Medium
Route Seasonal Prevalence: Summer
Min/Max m. above sea-level: 716/2351
Distance from Batumi: 97 km
Cellular network coverage: Completely

The route begins in small town Khulo, continues to the east till Danisparauli Village and follows Batumi-Akhalkalaki Highway for 22 km. From Danisparauli Village we continue towards the Goderdzi Pass by the same road (2.5 km). Goderdzi Pass is the modern downhill skiing destination established in 2012. Currently it is not functioning at the full capacity. In winter, two cable ways are working. They bring us to the height of 2,350 m. By Batumi-Akhalkalaki road we get to Goderdzi Pass (5.7 km). Goderdzi Pass is the key point of this route. From here you can continue your journey in three directions:
1. Goderdzi Pass-Mtsvane Lake; the route takes to the north and follows the boundary between alpine meadows and forest cover. It can be passed by the off-road vehicle. The main adornment of this route is temporary alpine summer stations and fascinating views. In 6 km we come to the road. Turning right from there we can reach the Green Lake by walking path. We also can reach the Green Lake if we follow the automobile road. We can also continue to the north from the Green Lake and return to Danisparauli Village via Dzhachara. The route can be passed by both, mountain bike and horse.
2. Goderdzi Pass-Beshumi Resort; for 6.5 km we can follow the automobile road. After we pass the summer station Dzhachara, we come to the picnic place, where Sharmtoeba Fest takes place every first Sunday of August. From here the route brings us to Beshumi resort located at the altitude of 1,850-1,900 m. It starts functioning in mid-June and season lasts till the beginning of September. Here are the lots of cottages and villas. From Beshumi resort you can take the horse-riding and off-road vehicle tours to Beshumi Village (12 km) and Kikhard Fortress (13 km).
3. Goderdzi Pass-Upper Station of Cable Way; distance - 4.1 km. The route goes through the zone of alpine meadows and from its first point (the adjacent area of upper station of the cable way) opens the fascinating panoramic view from here you can continue your route to Tikhvint and Bakhtalo Villages (13.6 km).



Department of Tourism and Resorts of Ajara A.R. 2014
www.gobatumi.com



SYMBOLS		Information centre		Automatic teller machine		Seaport		Restaurant		Spring		Resort	
Church/Monastery	Information centre	Hotel	Bank	Seaport	View point	Restaurant	Spring	Resort	Ropeway station	Cave	4X4, Bike	Hut	Car, Bus
Fortress	Guesthouse	Gas station	Visitor centre	View point	Arch bridge	Rural tourism	Canyon	Ropeway station	Cave	4X4, Bike	Hut	Car, Bus	
Museum	Medical centre	Police	Customs	Arch bridge	Camping	Wine tourism	Waterfall	Cave	4X4, Bike	Hut	Car, Bus		
Synagogue				Camping	Picnic area	Birdwatching	Natural monument	Waterfall	Landmark				
Mosque				Picnic area				Landmark					

დანართი 4 - მეწარმეობისა და მომსახურების მაგალითები სოფლის ტურიზმში

ადგილობრივი სერვისების ტიპები	საქმიანობის სახე	ღირებულება ერთეულის მიხ. სტანდარტული ღირებულება	ტევადობა ერთეულის მიხ. ვიზიტორთა რაოდენობა	მოთხოვნა	მითითებები და მაგალითები
1. ლაშქრობის და ღირსშესანიშნაობების დათვალიერების ტური	ინდივიდუალური ჯგუფი	25\$ დღეში	ვიზიტორთა 1 – 6 კაციანი ჯგუფები	მეგზურობის გამოცდილება, ენა, უსაფრთხოების დაცვა	გავრცელებული პრაქტიკა ყაზბეგსა და მესტიაში
2. სამთო და სხვა სათავგადასავლო სპორტში მეგზურობა	ინდივიდუალური კვალიფიციური გიდი ან ტურისტული კომპანია	50-150 \$ დღეში	1 – 4 კაციანი ჯგუფი	გიდის მოწმობა ტრეკინგში, ჯომარდობაში, ველოსიპედით სიარულში, უსაფრთხოების პირობების დაცვასა და ენაში	სერტიფიცირებული ტურისტული გიდების შეზღუდული რაოდენობა; საქართველოს სათავგადასავლო ტურების ლიდერთა სკოლა მაგალითი ATS.
3. ტრანსპორტი	ინდივიდუალური, ადგილობრივი კომპანია	50-80 \$ დღეში	სატრ. საშუალება – კაცი ავტობუსი – 12 მგზავრი	უსაფრთხო, კომფორტული ჯიპები	ბიზნესი ადგილობრივი მფლობელებისთვის. პრობლემას წარმოადგენს გზის ხარისხი და უსაფრთხოება
4. კვების მომსახურების საოჯახო საქმიანობა	სწრაფი კვების ობიექტები, საოჯახო სამზარეულო, კაფე	5\$ ერთი კერძი 15\$ ერთ პერსონაზე სრული კვება	12 – 20 კაცი	სუფთა და ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქტი, ადგილი, სადაც სთავაზობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კერძებს	მოთხოვნები გაცილებით მაღალია და გაიზარდება საავტომობილო გზის გასწვრივ და ტურისტული დანიშნულების ადგილებში
5. განთავსება (კერძო და საქმიანი)	ქოხები/საერთო საცხოვრებლები, საოჯახო სასტუმროები	5\$ ღამეში 15\$ ღამეში 25\$ ღამეში	4-12 კაცი 4-6 საწოლი 12 – 20 საწოლი	ტრადიციული საცხოვრებელი, მიწა, ახალი შენობა, როგორც კერძო სახლი	მაღალი მოთხოვნა განთავსებაზე, ავთენტური არქიტექტურის სტანდარტების და

	მცირე სასტუმროები				ელემენტების საჭირო ხარისხი
6. ხელნაკეთი ნივთები	მაღაზია და წარმოება	5 – 15 \$ ერთ ვიზიტორზე	არაა შეზღუდული	ხელნაკეთი ნივთების წარმოება	ხელნაკეთობების წარმოება დაბალია და მაღაზიებიც არაა. უნდა მოხდეს ადგილობრივ ნაკეთობათა მწარმოებლების ასოციაციასთან დაკავშირება.
7. დანიშნულების ადგილების განვითარებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება(DMO)	ღამის გართობა, სიმღერები, ცეკვები, ფესტივალები	5\$ ერთ კაცზე	არაა შეზღუდული	მწარმოებელი ჯგუფები, მხარდაჭერა მუნიციპალიტეტიდან, ადგილმდებარეობები, ტერიტორიები პროექტირება	ეს ძალიან საჭიროა და არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს. ღონისძიებების კალენდარული თარიღი წინასწარ უნდა დაიგეგმოს. 6-9 თვით ადრე.
8. ადგილობრივი ტურ-ოპერატორი ან დესტინაციის მართვის ორგანიზაცია	საინიციატივო ჯგუფი, NGO ან ადგილობრივი შპს	გაყიდვის საკომისიო 10 - დან 15% -მდე	არაა შეზღუდული	ადგილობრივი კომპანია კვალიფიციური პერსონალით	საინტერესოა ამ ასპექტის განვითარება, პროექტის ინვესტირების მიღმა მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დანართი 5 - პოტენციური ინვესტიცია – მცირე გრანტები და კონტრიბუცია ობიექტების მიხედვით

ბიზნესის გაფართოების წინადადება	აპლიკანტი	აღწერილობა	ბიუჯეტი * \$1000	საინვესტიციო გრანტის მაქსიმუმი	შემხვედრი დაფინანსება	ნატური
საოჯახო სასტუმრო	ინდივიდუალური საოჯახო/რეგისტრირებული საწარმო, შპს.	გაფართოების პოტენციალი 8-10 ნომრამდე ობიექტებში შედის ლუქსები ტუალეტით და საშხაპეთი, კვება	35-50	50%	30%	20%
სოფლის სახლი	ინდივიდუალური, საოჯახო, ინდემწარმე	სასტუმრო ოთახები, საერთო სამზარეულო და სასადილო, მარტივი საკანალიზაციო ქსელი	15-25	50%	20%	30%
მთის თავშესაფარი, საერთო საცხოვრებელი, კოტეჯი	ინდივიდუალური, ასოციაცია	მარშრუტზე არსებული თავშესაფარი, ქვის ან ხის ნაგებობა, სუფთა ღამის გასათევია ადგილი	5 – 15	50%	25%	25%
კვება ხელნაკეთი ნივთების მალაზია	საწარმო, კოოპერაცია	კაფე/სასადილო	10 – 15	50%	25%	25%
ტურიზმის სარეკლამო ცენტრები	NGO / კერძო	მარკეტინგი, ტრენინგი, რეკლამირება, მეგზურობა, ტრანსპორტირება	20 – 30	75%	No	25%

დანართი 6 – წარმოებული ძირითადი მოსავალი თემების მიხედვით (2017)

ადმინისტრაციული ერთეული	ოჯახების რაოდენობა	საერთო ფართობი	კარტოფილი		სიმინდი		პომიდორ ი		კიტრი		პილპილი		სტაფილო		ჭარხალი		ხახვი		წიორი		კომბოსტ ი	
			ფართობი (ჰა)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა)	მოსავალი(ტონ ა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი(ტონ ა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ჰა.)	მოსავალი (ტონა)
დაბა ხულო	401	5,5	2,5	62,5	1	2,1	0,5	6	0,6	7,8	0,2	0,4	0,2	0,9	0,1	0,9	0,1	0,6	0,1	0,2	0,2	2,2
დეკანაშვილებ ი	179 7	349,5	176, 8	4420	153	321,3	6,7	80,4	5,8	75,4	3,2	6,4	0,8	4,8	0,9	8,1	1,1	5,5	0,5	1,8	0,7	8,4
ვაშლოვანი	946	217	50,3	1257, 5	146	306,6	5,3	63,6	6,1	79,3	5,2	10, 4	1,1	6,6	0,9	8,1	1	5	0,8	3,2	0,3	3,1
თბილვანა	439	92,4	48,1	1202, 5	35	73,5	2,9	34,8	3,2	41,6	0,4	0,8	0,4	2,4	0,6	5,4	0,2	1	0,5	2	1,1	12,7
დიდაჭარა	605	158,6	68,4	1710	79	165,9	3,5	42	2,9	37,7	2,5	5	0,5	3	0,6	5,4	0,4	2	0,3	1,2	0,5	6
დიოკნისი	122 9	422,1	290, 6	7265	111	233,1	7,1	85,2	5,8	75,4	3,2	6,4	0,8	4,8	0,8	7,2	1,1	5,5	0,8	3,2	0,9	10,8
საციხური	331	101	44,6	1115	56	117,6	3,8	45,6	3,8	49,4	2,3	4,6	0,4	2,4	0,5	4,5	0,5	2,5	0,3	1,2	0,6	7,2
ხიხადირი	462	125,4	67,5	1687, 5	54	113,4	1	12	1,3	16,9	0,4	0,8	0,2	1,2	0,3	2,7	0,1	0,5	0,2	0,8	0,4	4,8
აგარა	232	86,1	48,9	1222, 5	35	73,5	0,7	8,4	0,9	11,7	0,1	0,2	0,1	0,4	0,1	0,9	0,1	0,3	0,1	0,4	0,1	0,8
ლორჯომა	827	238,3	119, 2	2980	113	237,3	2,7	32,4	2,3	29,9	0,1	0,2	0,2	1	0,2	1,8	0,2	0,8	0,2	0,8	0,2	2,8
ფუმრუკაული	290	188,7	32,5	812,5	154	323,4	0,7	8,4	0,8	10,4	0,2	0,4	0,1	0,7	0,1	0,9	0,1	0,5	0,1	0,4	0,1	1,6
სხალთა	627	119,7	61,1	1527, 5	45	94,5	7,4	88,8	4,4	57,2	0,6	1,2	0,2	1,2	0,3	2,7	0,1	0,5	0,3	1,2	0,3	3,2
რიყეთი	567	256,5	179, 5	4487, 5	65	136,5	3,7	44,4	3,1	40,3	2,6	5,2	0,7	4,2	0,6	5,4	0,4	2	0,4	1,6	0,5	6
სულ	875 3	2372, 6	1190	29750	104 7	2198, 7	46	552	41	533	21	42	5,6	33, 6	6	54	5,3	27	4,5	18	5,8	69,6

დანართი 7 – წარმოებული მრავალწლოვანი კულტურები თემების მიხედვით (2017)

ადმინისტრაციული ერთეული	ოჯახების რაოდენობა	საერთო ფართობი	მრავალწლოვანი კურკოვანი ხილი		მრავალწლოვანი კურკოვანი და თესლოვანი ხილი		მრავალწლოვანი კენკრა		საშუალოდ ერთ ოჯახზე (ჰა)
			ფართობი ი (ჰა)	მოსავალ ი (ტონა)	ფართობი ი (ჰა)	მოსავალ ი (ტონა)	ფართობი ი (ჰა)	მოსავალ ი (ტონა)	
დაბა ხულო	401	7,45	2,5	2,2	4,9	32,65	0,05	0	0,02
თხილვანა	439	9,6	1,47	1,276	8,1	54,2	0,03	0	0,02
ფუშრუკაული	290	11,48	2,95	1,8	8,5	59	0,03	0	0,04
ღორჯომი	827	35,21	3,9	3,42	31,1	220,15	0,21	0	0,04
ხიხაძირი	462	20,84	7,81	6,948	13	114,5	0,03	0	0,05
აგარა	232	11,44	1,4	0,9	10	70,5	0,04	0	0,05
დიოკნისი	1229	69,86	22,85	20,08	45,9	312,9	1,11	0	0,06
დეკანაშვილები	1797	105,19	35,79	31,132	68,9	475,25	0,5	0	0,06
სხალთა	627	41,95	8,1	7,18	33,7	232,95	0,15	0	0,07
დიდაჭარა	605	41,18	14,31	12,748	26,8	183,3	0,07	0	0,07
საციხური	331	22,97	3,92	3,436	19	128,5	0,05	0	0,07
რიყეთი	567	41,6	14,03	12,424	27,5	190	0,08	0	0,07
ვაშლოვანი	946	70,52	24,77	21,916	45,6	322,35	0,15	0	0,07
სულ	8753	489,29	143,8	125,46	343	2396,25	2,5	0	0,05

დანართი 8 – რქოსანი პირუტყვი თემების მიხედვით (2017)

ადმინისტრაციული ერთეული	რქოსანი პირუტყვი		ცხვარი	თხა
	სულ	მათ შორის ფური		
ღორჯოში	4990	2762	5	
დეკანაშვილები	2818	1802	5	
ვაშლოვანი	1578	761	2	5
დიოკნისი	3715	1594	17	
სხალთა	2816	1361	34	19
რიყეთი	2634	1147	78	45
ფუშრუკაული	1187	555	12	6
ხიხაძერი	1228	630	30	24
საციხური	1039	535		15
თხილვანა	1225	543		1
დიდაჭარა	2479	1602		
აგარა	910	347		
დაბა ხულო	21	12		
სულ	26640	13651	183	115